

825  
1986

I S S N : 0763 - 7247



# ජාත්‍යන්තර

ශාරීරික පොලිටික්ස් වේරික්වුල් මර්ගාන් ප්‍රස්ථාන

පාරිඛෙද

N° 10 PARIS

ඡාලුවෙ

1986 JUILLET



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, უსაფრთხოება  
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ეკეტისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“ - ი ლ ი ა

## 62 წ ლ ი ს თ ა ვ ი

ერთი თვეც და, 62 წელი შესრულდება 1924 წ ლ ი ს აგვის-  
ტოს ეროვნული აჯანყებიდან, რომლის დროსაც რამდენიმე  
ათასი მგრძნებარე მამულიშვილი ბრძოლის ველზე დაეცა.  
ამ აჯანყების დამარცხება სრულიადაც არ ნიშნავს,  
რომ იქ დაღვრილი სისხლი და გაღებული მსხვერპლი უკ-  
მი და უნაყოფო ჭოფილიფას. არა, პირიქით, მაშინ გაღე-  
ბული ქართული სისხლი, საწინაარია მომავალი გამარჯ-  
ვებისა.

აგვისტოს სისხლიან დღეებს შეწირულ მამულიშვილთა  
ხსოვნა ისევე მარადიულია, როგორც მათი ბრძოლის მიზანი.  
კიდევ და კიდევ დიდება აგვისტოს მებრძოლ მამულიშვილებს!  
გაუმარჯოს დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოს!

63



ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ლიბიის მთავარი ქალაქების დაბომბვის შემდეგ დასავლეთის დემოკრატიულმა ქვეყნებმა, ამერიკის ჩათვლით, საერთაშორისო ტერორიზმისაგან აშოთსუნთქმეს. ისინი, ვინც წინად პრეზიდენტ რეიგანს ამ რეპრეზენტატორულ აქტის გამო მკაცრად პკიცხავდენ, ახლა იძულებულნი არიან ენაზე მწარედ იყბინონ.

ამერიკის პრეზიდენტის ლინჯი სიმტკიცე მოგვებიანი გამოდგა გორგაბარის თეატრალური იერიშების მოსაგერებლადაც. უნევის შეხვედრის შემდეგ, საბჭოთა დიპლომატიის მთელი იერი-შები მიმართული იყო იქითკენ, რომ ამერიკის მთავრობისათვის ხელი აეღებინებია *I.D.S.*-ის პროექტზე. ბარონ რეიგანის ურუვი პოზიციის შემდეგ და აგრეთვე იმის შემდეგაც, რაც საბჭოთა დიპლომატიამ ვერ შეძლო ამ საკითხში უთანხმოება ჩამოედო ამერიკასა და მის მოკავშირეთა შორის( გორგაბარი განსაკუთრებით იმედს ამყარებდა საფრანგეთის მთავრობაზე), საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მის რუსულ „ოტკაში“ ცოტა წყლი გაურია. ახლა ის აღარად წინააღმდეგი, რომ ბირთვული სტრატეგიული ბომბებისაგან თავდაცვის საშუალებების კვლევა-ძიება მიმდინარეობდეს ლაბორატორიებში, არამედ, რომ ეს იარაღი არ იქნას განლაგებული სამხედრო ობიექტებზე. ამ უკანასკნელად მ. გორგაბარი, სიტყვით მაინც, თანახმაა სერიოზული საერთაშორისო კონტროლის, ბირთვული იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულების დასადებად, ამერიკის მთავრობისაგან წინა პირობად აღარ მოითხოვს აღარც *I.D.S.*-ის პროექტზე ხელის აღებას და აღარც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბირთვული არსენალის სათვალავში მიღებას. მაშ, სიტყვიერად მნიშვნელოვან დადგებით ცვლილებას აქვს ადგილი საბჭოთა საერთაშორისო პოლიტიკაში და დღეს მთავარია, რომ მ. გორგაბარი სიტყვა საქმედ აქციოს: უენე-გაში დათქმული პირობის თანახმად, ყველგვარი წინა პირობის გარეშე, ამერიკას ესტუმროს და იქ პრეზიდენტ რეიგანთან შეთანხმების პირობები ეძიოს.

ამ უკანასკნელ ღროს საბჭოთა წინადაღებებში რომ სერიოზულ გაუმჯობესებას აქვს ადგილი, ეს პრეზ. ჩერიგანმაც დამოწმა 19 ივნისს ამერიკის ქ. გლაზბოროში (სწორედ იქ, საღა 19 წლის წინად ერთმანეთს შეხვდენ პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგი-

ნი.) ეურნალისტებს საგანგებოდ განუცხადა: „სტრატეგიული მე-იარაღების დარგში საბჭოთა ახლი წინადაღებები მუქმიშვილის ბას წარმოადგენს ამერიკა-საბჭოთა მოლაპარაკებაში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ( საბჭოთა წინადაღებები) შეიცავენ ბევრ მიუღებელ ელემენტებს, მანც ჩანს, რომ საბჭოებმა დაიშვეს სერიოზული ძალისხმევაო.“ მაგრამ იმისთვის რომ საბჭოთა ხელისუფალნი უფრო მნიშვნელოვან დათმობებზე წამოვიდენ და, რომ შეიქმნეს მშვიდობიანი ოანაცხოვრებისა და უშიშროების პირობები, ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე, როგორც პრეზ. რეიგანისაგან, ისე დემოკრატიული დასავლეთის ყველა სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგანაც, და ეს სიმტკიცე და სოლიდარობა უნდა მულავნდებოდეს არა მხოლოდ შეიარაღების დარღვი, არამედ აგრეთვე ერისა და ადამიანის უფლებების, თავისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის სფეროებშიაც. დიახ, მართალია გამოთქმა: „ვისაც მშვიდობა სურს, ომისთვის უნდა ემზადოსო.“ საბჭოთა მუქარას, ისევ მოღერებული მუქარის მუშტი თუ შეაჩერებს, მაგრამ მარტო მუშტის ტრიალითაც საბოლოოდ მშვიდობის დამკვიდრება შეუძლებელია. თავისუფლებამ რომ მშვიდობაში იზეიმოს, ამისათვის საჭიროა, რომ სამხედრო ძალასა და ხასიათის სიმტკიცესთან ერთად არსებობდეს მუდმივი პოლიტიკა საბჭოთა იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ ხალხების გამხნევებისა და ყაველგვარი დახმარებისა. დღევანდელ საომარ ტექნიკის ღონებზე მხოლოდ ეს ერთადერთი გზაა მოგებიანი, ნაკლები მსხვერპლით: საბჭოებს ომი კი არ უნდა გამოეცხადოს, არამედ ეროვნული პროვინციები უნდა აუჯანცუნ. და ვინაიდან დღეს საკითხი დგას ავღანეთზე, რომელიც ექვსი წელია გმირულად ეწინააღმდეგება კრემლის საოკუპაციო ჯარებს, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ავღანეთს ყაველგვარი ვაჭრობის გარეშე უნდა გაეწიოს, რაც შეიძლება ფართო დახმარება, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიურ და ჰუმანურ სფეროებში.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ჩ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ს კ ა ტ ა ს ტ რ ი ფ ა

როცა ცისფერ ეკრანზე ამერიკულ კოსმოსურ ხომალდების მიმოსვლას ვუცემეროდით ხოლმე, გული სიამაყო გვევსებოდა იმის წარმოდგენით, თუ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, რა ტექნიკურ და სამეცნიერო წარმატებებს აღწევს მთელი კაცობრიობა ერთად აღებული. ნავეტების: კოლომბია, დის-

კოვერი, თუ ჩელენჯერის უზადო და უხილათო ფრენზე მცირდება  
შეგერიეთ, რომ *NASA (National Aeronautics and Space Administration)*-  
ს პატენტის მგებლები ნახევარ-ღმერთებად გვესახებოდა,  
რომლებისთვისაც შეცდომა და მით გამოწვეული მარცხი თით-  
ქოს არ უნდა არსებულიყო. ასეთ მომჯადობებელ ატმოსფეროში  
მართლაც დამეცვასავით იყო ნავეტ ჩელენჯერის კატასტროფა  
ამ წლის 28 იანვარს. როგორც ყელასთვის ცნობილია, ნავეტი  
ჩელენჯერი აფეთქდა დედამიწიდან მოწყეტიდან ერთნახევარი  
წუთის შემდეგ ერთი ასეული კილომეტრის სიმაღლეზე. **11** სა-  
ათზე და **38** წუთზე კალიფორნიის დროით. ნავეტიან ერთად  
კატასტროფაში დაიღუპა მისი შვიდკაციანი ეკიპაჟი (5 მამაკა-  
ცი და 2 მანდილოსანი), რომელთა ხსოვნის წინაშე ღრმა პატი-  
ვისცემით თავსა გხრით, რამეთუ ისინი არიან წმინდა მსხვერ-  
პლი საკაცობრიო პროგრესის დიდი საქმისა.

მართალი არიან ისინი, ვინც ამბობენ, რომ: „ყველი პროგ-  
რესი მის წილ მსხვერპლს მოითხოვს.“ ციურ სამყაროში მოგ-  
ზაურობა ისეთი არაჩეულებრივი და დიდი რისკის საქმეა, რომ  
აქ განსაკუთრებით სამართლიანია ეს ხალხური სიბრძნე, მა-  
გრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საკითხავია: იყო ეს მსხვერ-  
პლი გარდაუვალი? თუ, შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება?  
ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ: რა იყო მიზეზი ჩელენჯერის  
აფეთქებისა? ამის დასადგენად სჭირო იყო მიუკერძოებელ დიდ  
სპეციალისტთა კომისია და მართლაც პრეზ. რეიგანმა ავარიის  
მეორე დღესვე დანიშნა ცამეტი სპეციალისტისაგან შემდგარი  
ავარიის მიზეზების შემსწავლელი ჯგუფი, რომელსაც უთავა  
ყოფილი სახელმწიფო მდივანი ვილიამ როჯერსი. როცა ეს სტრი-  
ქონები იწერება სწორედ იმ დღეებში პრეზ. რეიგანს გადაე-  
ცა და პრესაშიც გამოქვეყნდა ამ კომისიის ძიების დაწვრილე-  
ბითი ანგარიში, საიდანაც გამომდინარეობს, რომ:

ნავეტის აფეთქების მიზეზი გახდა ორი დამხმარე რაკეტიდ-  
ან ერთზე, მარჯვენაზე მყაფი ხრახნი. ეს ხრახნი რაკეტაში  
მყაფ გახურებულ გაზს გარეთ გამოსავალს უკეტავს. ჩელენჯე-  
რის წინა მოგზაურობის დროს ეს ხრახნი დაზიანებულა, რაც  
გასინჯვის დროს ფრენის პასუხისმგებლებს ვერ შეუმჩნევიათ  
და ახლა ამ ახალი გაფრენის დროს ატმოსფეროს ძლიერმა და-  
წოლამ ეს ხრახნი სრულიად მოაძრო და დამხმარე რაკეტაში  
ჩიმწვდეულმა გავარვარებულმა გაზმა, რომლის ტემპერატურა  
ათას გრადუსზე მეტია, გზა იშოვნა, სწორად გახვრიტა ნა-  
ვეტის კედელი, რომლის საცავებში დაგროვილია 600 ტონაზე



მეტი უაღრესად ფეთქებადი წყალბადისა და მჟავბადნები - ები, რის აფეთქებამაც გამოიწვია ისეთი სწრაფი ჰარატები, რომ ეკიპაჟს არც კი უგრძენია საფრთხის არსებობა. ამას ადასტურებს ეკიპაჟის უკანასკნელი საუბარი კაპ კანავერალის სა-დგურთან.

ანკეტა პიროვნულად ბრალს არავის დებს ავარიისათვის, მაგრამ ხაზგამით აღნიშნავს *NASA*-ს ხელმძღვანელობის კოლექტი-ური ურადღების მოდუნებას, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრით, წარსულში მიღწეულ დიდი წარმატებებით და, მეორე მხრით, კომერციული მოთხოვნილებით ფრენის დაჩქარება. სიფხი-ზლის მოდუნებამ კი გამოიწვია ის, რომ ჩელენჯერის ორბიტ-ზე გაშვების წინ მხედველობაში არ იქნა მიღებული გაფრთხი-ლებები საბედისწერო ხრანის დაზიანების შესახებ. ამრიგად, ავარიის მიზეზი მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაყლიბოთ: ნავეტ ჩელენჯერის ერთი პატარა ნაწილაკის დეფექტიანობა, რაც მომავლისთვის უნდა გაუმჯობესდეს, და ფრენის პასუხის-მგებლების არასაკმარ მომთხოვნელობა.

სანამ განახლდებოდეს კოსმოსური ფრენა, მანამ, ანკეტის მიხედვით, დამხმარე რაკეტების კონცეფცია ისე უნდა შეკეთ-დეს, რომ მათი ვარგისიანობის შემოწმება გაფრენის წინ შე-იძლებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში. ვ. როჯერსის კომი-სიის დასკვნაში სხვა მეორეხარისხოვანი წინადადებებიცაა, რო-მელთა რეალიზაცია საკმაოდ დააგვიანებს ამერიკის კოსმოსური ფრენის განახლებას. სპეციალისტების აზრით, ფრენის განახლე-ბას ალბათ დააგვიანდება სულ ცოტა 18 თვე. მარტი 1986 წ-ლისათვის დაგვეგმილი იყო ნავეტის 16 ფრენის მისია, ხოლო მომავალი წლიდან – კვირეში თითო მოგზაურობა. ეს გეგმები ვეღარ შესრულდება და ვადები გადაიწევა ერთი, მეტი-მეტი ორი წლით, მაგრამ, ისეთი საქმისათვის, როგორიც ციური სა-მყროს ათვისებაა, ერთი და ორი წელიწადი რას წარმოადგენს? მაშინ, როცა იგი თაობებით გაგრძელდება და თანდათან სულ მეტად და მეტად განვითარდება. მაგრამ ისინი, ვინც ფიქრო-ბენ, რომ ამ კატასტროფისა და ადამიანების მსხვერპლის შემ-დეგ ამერიკელებს გული გაუზღდებათ და კოსმოსში ადამიანების გაშვებაზე ხელს აიღებენ, ისინი სასტიკად ცდებიან. ციური სამყრო ახალი უსაზღვროდ დიდი ამერიკაა და ამერიკელები ისე გიუები არ არიან, არც ისე მხდლები, რომ ასეთი მცირე მარცხის წინაშე შეშინდენ, მის კოლონიზაციაზე ხელი აიღონ და ის რუსებს მიუტოვონ.

ავარიის შემთხვევებს მომავალშიაც დაურჩება ადგილზე მუშაობები არადა, ტრანსპორტის ისეთ კლასიკურ დარგებში, რომელიც მანივენი და ავიაციაა, აქაც ავარიებს ხშირად აქვს ადგილი, მაგრამ ამის გამო ტრანსპორტის ამ საშუალებებზე ხელი არავის აუღია. პირიქით ავარიის შემთხვევები იძლევიან ტრანსპორტის საშუალებების შემდეგი სრულყოფის შესაძლებლობებს. ასევე მონდება კოსმოსური ტრანსპორტის შემთხვევაშიდაც.

### შეჯიბრი სამყაროს დასაუფლებლად

საინტერესო ხანაში გვიხდება ცხოვრება: ერთი მხრით, დამოკლეს ხმალივითაა გადმოკიდებული მთელი კაცობრიობის თავზე ატომ-ბირთვული ბომბები და, მეორე მხრით, მოწმენი ვართ დიდი საკაცობრიო ავანტიურის დაწყბის, რომელიც მდგომარეობს ჩვენი მზის სისტემის პლანეტების დაუფლება-ათვისებაში.

ასტრონომი მეცნიერები დიდი ხანია, რაც ოცნებობდნენ დედამიწიდან მოწყვეტაზე, დედამიწის ირგვლივი ატმოსფეროდან გაკრის შესაძლებლობაზე, მზის სისტემის პლანეტების მონახულებაზე, იქ შესაძლებელ სიცოცხლის აღმოჩენაზე და სხვა და სხვა... პრაქტიკულად ამ ოცნებათა განხორციელების შესაძლებლობა დადგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ორი დიდი გამარჯვებული სახელმწიფო: ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მაშინვე ჩაებენ დედამიწის მიღმა სამყაროს დაპყრობის გიგანტური ავანტიურის შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრებას მარტო სპორტული მნიშვნელობა კი არ პქონდა, არამედ სამხედრო-სტრატეგიულიც. მომავალში: ის, ვინც იბატონებს კოსმოსში, იბატონებს დედამიწაზედაც.

ზედმეტი არ იქნება, აქ გავიხსნოთ ერთი დამახასიათებელი ანეკდოტი. სამოციანი წლების დასაწყალში, როცა გახშირდა დედამიწის ირგვლივ ორბიტებზე ხელოვნური საბჭოთა და ამერიკული თანამგზავრების გაშვება, გავრცელდა შემდეგი გონებამახვილური ხუმრიბა: „ამერიკისა და საბჭოების ხელოვნური თანამგზავრები ცაში ერთმანეთს რომ ხვდებიან, მათი ეკიპაჟები ერთმანეთს გერმანულად ესაუბრებიან.“ მართლაც, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოსმოსში მოგზაურობას საფუძვლად უდევს V2 ტიპის რაკეტა, რომელიც გერმანელებმა პირველად გამოცადეს შუაგულ ომის დროს—1942 წელში. ამერიკა თუმცა ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც იმ წელსვე სივრცეში ისროლა 2 სართულიანი ფიუზე, რომელმაც 400 კილომეტრს მიაღწია. საბჭოთა კავშირი კი იმ დროს აღბათ ამაზე არც ფიქრობდა.



გერმანია რომ **1945** წელში არ დამტკიცებულიყო, უცხოურებული ის იქნებოდა პიონერი კოსმოსისათვის შეჯიბრებაში. შემდეგ თუ რა მოხდებოდა ამის ვარაუდი ძნელია, რადგანაც, ომის წინ თუ ამერიკის მეცნიერება ამ დარგში ჩამორჩებოდა გერმანიისას, სამაგიეროდ მას გერმანიაზე გაცილებით უფრო მოწინავე ტექნიკური ბაზა გააჩნდა.

ომის დამთავრებისთანავე ამერიკისა და საბჭოთა დაზვერვებმა დაუჭირებლივ დაიწყო გერმანელ ატომური ფიზიკის და რაკეტულ დარგის მეცნიერ-ტექნიკოსთა ძებნა-გადაბირება და მოტაცებაც კი. ამერიკელებს ეს არც დაუმაღლავთ. ის კი არადა, დასაწყისში ამერიკულ ასტრონავტიკას გერმანელი მეცნიერი, **V1**-ისა და **V2**-ის შემოქმედი, პროფესორი ფონ ბრაუნი უთავა. ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირს არასოდეს საჯაროდ არ უღიარებია ის დიდი, შეიძლება ითქვას: გადამწყვეტი ამაგი, რომელიც გერმანელ მეცნიერებსა და ტექნიკოსებს მიუძღვით საბჭოთა კოსმონავტიკაში, და განა მარტო კოსმონავტიკაში!?

ასე იყო თუ ისე, კოსმონავტიკის პირველი სენსაციური ამბები საბჭოთა კავშირიდან მოვიდენ:

**1957** წლის **4** ოქტომბერს, პირველად ისტორიაში, საბჭოთა კავშირი დედამიწის ორბიტზე (**228-945** კილომეტრის სიმაღლე) უშვებს „სპუტნიკ-1“ რომლის სიჩქარე საათში აღწევს **28.160** კილომეტრს და, რომელიც დედამიწის ირგვლივ წრეს შეკრავს **96,17** წუთის განმავლობაში.

— მეორე რეკორდი ისევ საბჭოებისაა: კოსმოსში პირველად იქნა გაგზავნილი ცოცხალი არსება, ძალი „ლაიკა“-ს სახით.

— **1959** წლის **7** იანვარს საბჭოთა კავშირი მთვარისაკენ აგზავნის **ლუნაI**, რომელიც **6.000** კილომეტრით გაუვლის მთვარეს და მეჩტა-ს სახელშოდებით იქცა მზის მიმართ პირველ ხელოვნურ თანამგზავრად. იმავე წლის **12** სექტემბერს საბჭოები მთვარეზე აგზავნიან პირველად საგანს (სონდი). იმავე წლის **4** ოქტომბერს საბჭოთა სპუტნიკი „ლუნიკ3“ მთვარეს შემოუვლის გარშემო და მთვარის ჩევენთვის მუდმივად დაფარულ ზედაპირის ფოტოგრაფიებს აგზავნის დედამიწაზე.

— მაგრამ კიდევ უფრო სენსაციურია ადამიანის გაგზავნა უპარეო და უწონადო სამყაროში. **1961** წლის **12** აპრილს, საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი „ვოსტოკI“-ის კაფსულში ერთხელ შემოუვლის დედამიწას ირგვლივ და ორბიტზე დარჩება **1** სა-



ათსა და 48 წუთს, ხოლო მეორე საბჭოთა კოსმონავტი გარეშემატენებული მეტოვი, რომელიც იმავე წლის 6 აგვისტოს „გოსტოკII“-ის კაფსულში მყოფი, დედამიწას 17-ჯერ შემოუცვლის გარშემო და დედამიწის ორბიტზე დაჰყოფს 25 საათსა და 25 წუთს.

— საბჭოთა ამ მიღწევების საპასუხოდ ამერიკა 1961 წლის 5 მაისს პირველად ახდენს „მერკურ“-ის, რომლის კაფსულშიც იმყოფებოდა კოსმონავტი ალექს შეპარ, გასროლას, რომელიც აღწევს 190 კმ.-ის სიმაღლეს, 15 წუთის განმავლობაში რჩება დედამიწის ატმოსფეროს გარედ და უკან პარაშუტით ბრუნდება ოკეანეში, ხოლო ამერიკის კოსმოსური ხომალდის, რომელიც იმყოფებოდა, ორბიტაზე გაშვებას ადგილი აქვს მხოლოდ 1962 წლის 20 თებერვალს. ამ დღეს ამერიკელი კოსმონავტი ჯონ გლენ „მერკურII“-ის კაფსულში მყოფი გაშვებული იქნება დედამიწის ორბიტზე.

მაგრამ ამ დროს საბჭოთა ასტრონავტიკას ჯერ კიდევ გვარიანად ჩამორჩება ამერიკის, რაც, გასაგებია, მეცნიერულად და ტექნიკურად გაცილებით წინ მყოფ ამერიკისათვის დაუშვებელია და მართლაც პრეზიდენტად ახლად არჩეული ჯონ კენედი საჯაროდ აცხადებს სენატში: „ამ ათი წლის ბოლომდე იანქის ქუდი იფრიალებს მთვარეზეო.“ ამის შემდეგ ამერიკის ასტრონავტიკა მართლაც გიგანტურ ნაბიჯებით წავიდა წინ და საბჭოთა კაშირი მაღე უკან ჩამოიტოვა.

მივჰეთ მთავარ მიღწევათა ქრონოლოგიას:

— 1964 წელს პირველად მწყობრში დგება საბჭოთა პილოტირებული კოსმოსური ხომალდი „გოსხოდ“, რემეზზედაც შესაძლებელია, რომ ფრენის დროს კოსმონავტი თუ კოსმონავტები კაბინაში დარჩენ უსკაფანდროდ ვოსხოდები წინამორბედები არიან „სოიუზებისა“, რომლებიც ჯერ კიდევ ხმარებაშია საბჭოთა კოსმონავტიკაში.

— 1965 წლის 18 მარტს საბჭოთა კოსმონავტი ალექსი ლეონოვი, „გოსხოდ2“-ის ბორტიდან გარედ გამოდის სტრატოსფეროში და იღებს წოდებას: „სტრატოსფეროში პირველი ფეხითმოსიარულისას.“ ამით მთავრდება საბჭოთა კოსმონავტიკის უპირატესობა.

— 1966 წლის 18 ივნისს, „უემინი 10“-ის ორბიტული ხომალდით ამერიკელი ჯონ იუნგი და მიერალ კოლინსი პირველად ახორციელებენ ორბიტზე მოძრავ ხელოვნურ თანამგზავრთან შეხვედრ-



ას, რაც დიდ პერსპექტივას უხსნის კოსმონავტიკის შემთხვევაში  
განვითარებას.

- 1968 წ. 21 დეკემბერს ამერიკელები მთვარის ირგვლივ ორბი-  
ტზე ათავსებენ „უემინის“ კოსმოსურ ხომალდს, რომელზედაც  
იმყოფებოდენ კოსმონავტები: ფრანკ ბორმანი, ჟიმ ლოველ და  
ვილიამ ანდერსი. მათ მთვარის ორბიტზე გაატარეს შობის დ-  
ლესასწაული და პირველებმა საკუთარი თვალებით დააკვირდენ  
მთვარის ნახევარ ზედაპირს, რომელიც მუდამ დამალულია დე-  
დამიწიდან.

- 1969 წლის 21 ივლისი 3 საათი და 56 წუთი კულიმინაციური  
წერტილია მთვარის დაპყობის გზაზე. სწორედ ამ მომენტში  
დააღვამს ფეხს მთვარის ზედაპირზე ამერიკელი ასტრონავტი  
ნეილ ამსტრონგი, რომელმაც იმოგზაურა „აპოლონII“ ხომალდ-  
ით და ამით ვადამდე შესრულდა პრეზ. კენედის დანაქადი:  
მთვარეზე აფრიალდა იანკის ქუდიც და ვარსკვლავებიანი დრ-  
ოშაც. ამის შემდეგ „ნასა“-მ 1972 წლამდე მრავალი მოგზაუ-  
რობა მოაწყო მთვარეზე, რომელმაც ტელევიზორის თვალის  
წინ ჩაიარეს. იქ ხელსაწყოები და მანქანა-იარაღებიც ჩაზიდეს,  
უკან დედამიწაზეც მთვარის ნიადაგის საკმაოდ დიდი რაოდე-  
ნობა ჩამოზიდეს საანალიზოდ. როდესაც ანგარიში გააკეთეს,  
ამერიკლებს ძვირი ეჩვენათ. მთვარის დაპყობის პროექტი თუ-  
რმე მათ დაუჯდათ 75 მილიონი დოლარი. სამოცდაათიან წლე-  
ბის დასაწყაში 5.ა.ს.ა.-ს მოსამსახურეთა რაოდენობა 400.000  
კაცუმჭვ აღწევდა. ვინაიდან მთვარის კოლონიზაცია დროებით  
საინტერესო არ ჩანდა, ამერიკამ სრული რეფორმა მოახდინა  
მის კოსმონავტიკის პროექტში, ნასას შტატები და ბიუჯეტი  
მკვეთრად შეამცირეს და ახლა კოსმოსის კალევისათვის მიზნად  
დაისახეს მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის  
აგება, რომელსაც „ნავეტი“ უწოდეს. „ნავეტის“ მოდელებს  
დასაწყისი მიეცა რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის დროს-  
1971 წლის 5 იანვარს. მისი ღირებულება ნაანგარიშები იყა  
10,5 მილიონი დოლარი და ოპერატორული უნდა ყოფილიყა 1979  
წლისთვის. სინამდვილეში პროექტის განხორციელება დაჯდა  
გაცილებით უფრო ძვირი და პირველ გაშეებასაც თითქმის 2  
წელიწადი დააგვიანდა, მაგრამ, შემდეგ ნავეტის ფრენები  
(სულ 24 ჩელენჯერის ავარიამდე) მუდამ უზადოდ და დიდი

ჭარბაზებით მიმდინარეობდენ, ნავეტ „ჩელენჯერის“ 28:րიცხულის  
ავარიამდე.



### ისტორიული პაემანი კოსმოსში

ამას ადგილი ჰქონდა 1975 წლის 17 ივნისს. ორმა საბჭოთა  
და სამა ამერიკელმა კოსმონავტებმა, რომლებიც თავთავიანთი  
ქვეყნის რაკეტებით მოგზაურობდნენ, ერთმანეთს ხელი ჩამოარ-  
თვეს დედამიწიდან 220 კილომეტრის სიმაღლეზე. საბჭოთა ასტ-  
რონონავტები: ალექსი ლეონოვი და ვალერი კურბასოვი რაკეტა  
„სოიუზ-19“-ით 15 ივნის მოწყდენ დედამიწიდან და გაფანილი  
იქნენ დედამიწის ორბიტზე, ხოლო ამერიკელი კოსმონავტები:  
დონალდ სლეიტონ, თომას სტაფორდ და ვანს ბრანდ, „აპოლონ-  
-18“-ით, დედამიწიდან მათ შესახვედრად გაუშვეს 17 ივნისს.  
ეს ისტორიული შეხვედრა მოხდა ვერიკელების ინიციატივით  
და მათვე შეასრულეს უკეთო როგორი იღეთები: კოსმოსური  
ხომალდების შეპირაპირება-გადაბმა, ერთობლივი ფრენის შემ-  
დეგ, განცალკევება და სხვა. ეს სიმბოლური უესტი საბჭოთა-  
ამერიკის თანამშრომლობისა, სიცოცხლის უნარს მოკლებული  
გამოიდგა. მას შემდეგ ასეთი ცდა აღარ განმეორებულა, არა-  
მედ აღრინდელი ურთიერთ შეჯიბრების გზა გააგრძელეს და  
თუ ვისი გამარჯვებით დასრულდება, ამას მარტო სპორტული  
მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ დიდი სამხედრო-სტრატეგი-  
ულიც.

### პროგრესის მსხვერპლი

ამერიკის ასტრონავტიკის მხრით, ჩელენჯერის კატასროფამდე  
ცნობილია შემდეგი უბედური შემთხვევა:

1967 წლის 27 იანვარს, ადგილზე ვარჯიშობის დროს, კაფსუ-  
ლში ელ-დენის დაცლის შედეგად ცეცხლი გაჩნდა და დაიღუპა  
ხომალდ „აპოლოს“ მომავალი სამი კოსმონავტი: ვირჟილ გრის-  
ომ, ედუარდ უჰიტ და ედგარ შაფე.

რაც შეეხება საბჭოთა ასტრონომურიას, მის მიერ გაღებული  
მსხვერპლის დაგენა ჯერჯერობით ნააღრებია და ცნობილია  
მხოლოდ ორი შემთხვევა: 1. იმავე 1967 წლის 23 აპრილს,  
კოსმონავტი ვლადიმირ კომაროვი, რომელიც „სოიუზ-1“-ზე  
იმყოფებოდა, უკან დაბრუნების დროს, პარაშუტის გაუშლელო-



ბის მიზეზით დაიღუპა. ეს ტრაღედია დიდხანს საიდუმლოდ და რჩა, სანამ ამერიკლებმა არ გაამუღლავნეს. მათ რადიოთი ჟეი-ტუეს, რომ: „სოიუზის“ ხომალდი, რომელზედაც ვ. კომაროვი იმყოფებოდა, თავიდანვე, როგორც კი ორბიტზე იქნა გაშვებული, თავისთავის ირგვლივ დაიწყო გიუური ბრუნვა, რაღაც მასტაბილირებელი მოწყობილების ამუშავება შეუძლებელი გახდა. კომაროვი მიხვდა, რომ მას, სასწაულის გარდა, ვეღარაფერი დაბრუნებდა ცოცხალს დედამიწაზე, ამიტომ მან გამოსამშვიდობებლად რადიოთი ელაპარაკა ცოლს.

2. მეორე გამომუღლავნებულ უბედურ შემთხვევას საბჭოთა კოსმონავტიკაში ადგილი ჰქონდა 1971 წლის 29 ივნისს. საბჭოთა კოსმონავტები: გიორგი ჭობროვლესკი, ვ. პაცავეგი და ვლადისლავ ვოლკოვი, რომლებიც 23 დღე დარჩენ დედამიწის ორბიტზე მოძრავ „სალიუტ“-ის გემბანზე აღმართ ხანგრძლივი ფრენის რეკორდის დასამყარებლად, აუხსნელი მიზეზის გამო ისინი აჩარებულად უკან დედამიწაზე დაბრუნეს რაკეტა „სოიუზის“ კაფსულით. როცა ეს უკანასკნელი გახსნეს დედამიწაზე, სამივე კოსმონავტი მკვდრები დახვდათ, კაფსულში ჰაერის უკმარისობისაგან. ამ შემთხვევაში მისტერიას ადგილი არ ჰქონებია, მათი სიკვდილი მაშინვე საჯაროდ გამოცხადდა.

— ამათ გარდა, ვინც გულმოღინეთ თვალყურს აღევნებს სსრკასტრონავტიკას, მათთვის სერიოზული ეჭვები არსებობენ და ვარაუდობენ, რომ ამ ცნობილ მსხვერპლთა გარდა საბჭოთა ასტრონავტიკას შეეწირა სულ ცოტა 6 კაცი, მანამ სანამ იური გაგარინი მის ცნობილ „ექსპლუას“ განახორციელებდა. ამ 6 მსხვერპლთა შორის ანგარიშობენ ცნობილი თვითმფრნავის კონსტრუქტორ ილიუშინის ვაჟიუშვილს, ვლადიმირ ილიუშინს, რომელიც 1960 წელში, საცდელ კოსმოსურ ფრენიდან დაბრუნებული, მოულოდნელად გარდაიცვალა.

### ასტრონავტიკის მომავალი

რა მდგომარეობაშია ამჟამად ამერიკა-სსრკ-ს შეჯიბრება დედამიწის მიღმა სამყაროს დასაუფლებლად? ჩელენჯერის აფეთქებამდე ამერიკის უპირატესობა უდავო და მნიშვნელოვანი იყო. ჩვიდემეტი წლის წინად მათ შეძლეს მთვარეზე დასხდომა და უკან მშვიდობით დაბრუნება, რაც საბჭოებისათვის ჯერაც პრო-



ბლემატიულია. ამერიკის ასტრონავტიკის ნავეტური ცენტრის მიერთებულ გაცილებიც მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონისაა უკიდურესად ბჭოთა „სალიურისა“ და „სოიუზის“ სისტემა. ამათ გარდა აღ-სანიშნავია ამერიკის ასტრონავტიკის დიდი დაწინაურება მზის სისტემის პლანეტების შესწავლის საქმეში. 24 იანვარს, სულ ოთხი დღით ადრე ჩელენჯერის მარცხამდე, ამერიკულმა სონდმა „ვუაია-2“ (მოგზაური)-მა ახლოს გაუარა მზის სისტემის მეშვი-დე პლანეტა ურანს, რომელიც დედამიწიდან სამი მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული, გადაიღო და დედამიწას გადმო-სცა 2.000-ზე მეტი ფოტო-გამოსახულება და გასწია წინ მერვე პლანეტა ნეპტუნის მოსანახულებლად. საბჭოთა ასტრონავტიკამ კი დღემდე შეძლო მთვარის, ვენერის და მარსის ფოტოგრაფიუ-ლი შესწავლა.

სამაგიეროდ, არის დარგები, სადაც საბჭოები რეკორდმანები არიან. ესაა დედამიწის ირგვლივ ორბიტზე ფრენის ხანგრძლი-ვობა. 1984 წლის 7 თებერვალს საბჭოთა კოსმონავტებმა: ლე-ონიდ კიზიმ, ვლადიმირ სოლოვიევმა და ოლეგ ატკოვმა ხანგრ-ძლივი ფრენის ახალი რეკოდი დაიმუარეს. ისინი უწონადო სივრცეში დარჩენ დედამიწის ორბიტზე 237 დღე-ლამე.

— წელს 20 თებერვალს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დღე იყო საბჭოთა ასტრონავტიკაში. დედამიწის ორბიტზე გაუშვეს „სალიურის“ ტიპის სადგური, რომელსაც თანდათანობით ექვსი სხვა მისი მსგავსი ბაქანი უნდა გადააბან და, ამრიგად, შეი-ქმნება დასახლება სულ ცოტა 12 კაცისა, რომლებიც ხანგრძლი-ვად დარჩებიან აღვილზე და შეასრულებენ ლაბორატორიულ თუ სხვა ნებისმიერ ხასიათის სამუშაოებს. როგორც შეითხველიც აღვილად შენიშნავს, ასეთი ორბიტული სადგურების მუდმივად მოწყობას ძალიან დიდი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რაღაც მათზე შეიძლება განლაგდეს ბირთვული ბომბე-ბის საწინააღმდეგუ ლაზერული იარაღები. როგორც ამ საქმის სპეციალისტები იჩინებიან, ლაზერული იარაღის გახედნის საქმეშიდაც საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად წინ ყოფილა. ასე, რომ: თუ ამერიკის ასტრონავტიკა წინაა წმინდა მეცნიე-რული ხასიათის სამოქალაქო მნიშვნელობის დარგებში, საბჭო-თა კავშირი წინაა სამხედრო მნიშვნელობის ასტრონავტიკაში. ხოლო თუ ამერიკელებს გაუჩნდათ, ისე როგორც ვიეტნამში დამარცხების შემდეგ, ჩელენჯერის სინდრომი, მაშინ მ. გორბა-

ჩოვის ტრიუმფს წინ ვეღარავინ გადაუდგება. უკრაინული  
მინაწერი. რა თქმა უნდა, ეს ორი დიდი თუმცა საყრდენი არ  
წინ უსწრებენ სხვებს, მაგრამ ისინი მარტონი არ არიან ციური  
სამყაროს დაპყობის საქმეში. ასტრონავტიკის სრულფლებიანი  
წევრები არიან: 1962 წ. 26 აპრილიდან დიდი ბრიტანეთი,  
1965 წ. 26 ნოემბრიდან საფრანგეთი, 1970 წ. 11 თებერვლიდან  
იაპონია და იმავე წლის 24 აპრილიდან ჩინეთი. 1976 წლის  
ივნისიდან კურსში ჩაება ევროპა მისი მსროლელი „არიან“-ით,  
სადაც მთავარი აქციონერი საფრანგეთია. ევროპის კოსმოსური  
სადგური, რომელიც საფრანგეთის გიანშია მოთავსებული, სერიო-  
ზული კონკურენტია ამერიკისა და საბჭოების ორბიტებზე გამშ-  
ვები სადგურების.

პაპუნა ლუბაშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ჩ ე რ ნ თ ბ ი ლ ი ს კ ა ტ ა ს ტ რ თ ფ ა

ჩერნობილი უკრაინის ერთი პატარა დასახლებაა, რომლის არ-  
სებობაც 28 აპრილამდე ბევრმა არ იცოდა თვით საბჭოთა კავ-  
შირში, ხოლო მას შემდეგ ის ცნობილი გახდა დედამიწის ყა-  
ველ კუთხეში. ამ დღეს საბჭოთა ახალი ამბების სააგენტომ  
გამოაცხადა: „ჩერნობილის არმოური ელექტრო-სადგურის ოთხი  
რეაქტორიდან ერთი დაზიანდა. მიღებულია სათანადო ღონის-  
ძიებანი შედეგების დასაძლევად. მსხვერპლთ აღმოეჩინათ სა-  
თანადო მკურნალობა.“ რაში მდგომარეობდა ეს „დაზიანება,  
ან რა ხასიათის და მნიშვნელობის იყო იგი, ამაზე ლაკონიური  
კომუნიკე არაფერს ამბობდა, რაც სამართლიანად აშფოთებდა  
პირველ რიგში ეგრძის მეზობელ ხალხებს, რომლებიც უშუალო  
საფრთხის წინაშე იღენ. მღელვარებას აძლიერებდა ის ფაქტი,  
რომ, სანამ საბჭოთა მთავრობა ინციდენტს გამოაცხადებდა,  
მანამ შვეციაში არმოსფეროში აღმოაჩინეს არაჩეულებრივი  
რადიოაქტიურობა. ცხადი იყო, რომ თუ ამ სიშორეს ასეთ  
საშიშ რადიოაქტიურობას ჰქონდა ადგილი, რაღა უნდა ყოფილიყა  
ავარიის ადგილზე. საბჭოთა რეეიმის კონსპირაციული ხასიათი  
კიდევ უფრო აძლიერებდა შიშიანობას, მითქმა მოთქმასა და  
პანიკასაც კი. მდგომარეობა ისე სერიოზული გახდა, რომ  
ტოკიოში შექრებილმა შვიდმა დიდმა ჯელაზე უფრო განვი-

თარებული ქვეჭის უმაღლესი დონის თათბირშა შეშუცილებული მოთქვა საჯაროდ და უკეთეს თანამშრომლობისაკენ მისამართ საბჭოთა ხელისუფლებას.

კარმა, რომელმაც პირველ დღეებში რაღიოაქტიურობით დამუხტიული ღრუბლები ჩრდილოეთი სკანდინავიის ქვეჭებისაკენ გააქანა, ახლა მხარე იცვალა, დასავლეთ ევროპისაკენ დასძრა საშიში ღრუბლები, საშიშროების პირველ ხაზზე აღმოჩნდენ პოლონეთი და გერმანია. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა თვით უკრაინასა და ბალტიის ქვეჭებში. კიევი, რომელიც 133 კილომეტრითაა დაშორებული ჩერნობილიდან, ერთ თვეზე მეტ ხანს აკრძალული ქალაქი იყო უცხოეთის უურნალისტებისათვის. შემდეგმა დღეებმა გამოამჟღავნეს, რომ კატასტროფის ადგილზე ნამდვილი ქაოსი და ანარქია სუფედა და თვით ხელისუფლებამ არ იცოდა თუ რა სახეს მიიღებდა ატომური რეაქტორის აფეთქებით გამოწვეული მატერიის ბირთვული დაშლის ჩააქცია.

კატასტროფის ნამდვილ მიზეზსა და მოცულობას აღბათ არასოდეს არ გვეტჭიან, მაგრამ კატასტროფის დაწყებიდან ორ თვეზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა საინფორმაციო უწყებები იძულებული იქნება აღელვებულ საზოგადოების დასამშვიდებლად ზოგიერთი გასამხელი ფაქტი მიეგდოთ.

პირველად 5 მაისს დაიბეჭდა „პრავდაში“ ცნობები ჩერნობილის „ავარიის“ (არასოდეს საბჭოთა პრესას სიტყვა „კატასტროფა“ არ უხმარია.) შესახებ და ისიც დასავლეთის უურნალისტებისათვის გამართული პრეს-კონფერენციის ოფიციალური ანგარიშის სახით. „პრავდას“ ეს ცნობა შემდეგ გადახეჭდეს საბჭოთა სხვა გაზიერებმა, მათ შორის ქართულმა „კომუნისტმა“ გამოაქვეჭა რვა მაისის ნომერში მეორე გვერდზე, მაშინ, როცა პირველი გვერდი დათმობილი პქნდა ანგოლის კომუნისტი დიქტატორის ვიზიტს მიხაილ გორბაჩიოვთან. „პრავდის“ ამ ოფიციალურ ცნობიდან, დასავლეთის პრესის „პანიკური“ კამპანიის კრიტიკასთან ერთად მკითხველი გაიგებს: პარასკევს 26 აპრილს დილის 1 საათ. და 23 წუთზე აფეთქებულა ჩერნობილის ატომური ელექტრო-საფურის ოთხი რეაქტორიდან ერთი. აფეთქებას გამოუწვევია ხანდარი, რომელსაც შენობის ნაწილი უმსხვერპლია, ირგვლივ გავრცელებულ სიცოცხლისათვის საშიში

\*\*\*\*\*  
რადოაქტიურობა, აფეთქების დროს დაღუპულა ორი უკანასკნელი, 30 კმ. რად. ტერიტორიიდან, როგორც საშიში ზონა, მოსახლეობა გადაუსახლებიათ, რომელსაც ასი ათას სულს ანგარიშობენ, ხოლო რადიოაქტიურობით მძიმედ დაავადებული ერთი ასეული კაცი ღებულობს სამედიცინო მოვლას მოსკოვის საავადმყოფოში.

კატასტროფის მომენტიდან მხოლოდ 18 დღის შემდეგ, გორბაჩივმა საბჭოთა ტელევიზიით მიმართა საკუთარ და მსოფლიო საზოგადოების. საბჭოთა სახელმწიფოს უაღრესად ბიუროკრატიულ აპარატს საერთოდ დიდი დრო სკირდება მოულოდნელ მოვლენებში გარკვევისათვის, მაგრამ ჩერნობილის შემთხვევაში ამას ისიც დაემატა, რომ ამაზე აღრე კატასტროფის ადგილზე არ არსებობდა ისეთი მდგომარეობა, რომ გორბაჩივს შეძლებოდა ეთქვა: საშიშროება აღარ არსებობს. გორბაჩივს ბევრი რამ არ უთქვამს თვით კატასტროფის შესახებ. მან დაადასტურა აფეთქების დროს ორი კაცის დაღუპვა, 199 კაცი მეტ-ნაკლებადაა გამოსხივებით შეცყობილი, რომელთაგან შეიძიო გარდაიცვალა. გორბაჩივი განსაკუთრებით თავს დაესხა დასავლეთის პრესასა და პოლიტიკურ წრეებს „შემაშფოთებელი და ცილის-მწამებლური ამბების გავრცელებისათვის, რომლის მიზანიცაა საბჭოთა კავშირისადმი უნდობლობის ჩამოვლება.“ ამ გამოსვლის დროს გორბაჩივმა ისიც თქვა, რომ: „პირველადაა, რომ აღმოვჩინდით ასეთი საშიში ძალის პირისპირ, როგორიცაა კონტროლს დაუქვემდებარებელი ატომური ენერგია.“ აქ გენერალურ სეკრეტარს უკაველად მახსოვრობა ღალატობს, თორემ როგორ შეიძლება, რომ მან არ იცოდეს შემდეგი ამბები:

**1. 1957 წლის ბოლოს რადიოაქტიურ ნივთიერებათა საწყიბი აფეთქდა ურალში ქალაქ ჩელიაბინსკის მახლობლად. სიცოცხლისათვის საშიში რადიოაქტიურობა გავრცელდა რამდენიმე ასეულ კვადრატულ კილომეტრის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა სულ ცოტა ერთ ათეულ ქალაქს. მოსახლეობის ევაკუაცია საშიშ ზონიდან ძალიან გვიან გადაწყდა. დაიღუპა ათასობით ადამიანი. მთელ საშიშ ზონას ალქა შემოარტყას ჯარისა და პოლიციის ნაწილებმა. მომხდარი უბედურების შესახებ არსაც კრინტი არ დაძრულა. მხოლოდ ათი წლის შემდეგ, ცნობილმა დისიდენტმა ძმებმა: როი და უორეს შეღვედევებმა გაამჟღავნეს ეს „სახელმწიფო საიდუმლო“ და ორნიშნეს, რომ იმ რა-**



დიოიქტიურ კატასტროფის დროს დაიღუპა მრავალი ზოგადი ცხოველი შემცირდა  
ვშვი, ქალი და კაცი.

2. მეორე ცნობილ კატასტროფას ადგილი ჰქონდა ისევ ურა-  
ლში ქ. სვერდლოვსკის მახლობლად 1979 წლის პარილში. აფეთ-  
ქდა ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ქარხანა, რომელმაც შეიწირა  
სულ ცოტა ათასი ადამიანის სიცოცხლე. ეს ტრალიკული შემ-  
თხვევაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაუმალა საზოგადოებას.

1980 წლის 18 მარტს შეერთებული შტატების სახელმწიფო დე-  
პარტამენტი შეეკითხა საბჭოთა ხელისუფლებას ამ კატასტროფ-  
ის შესახებ, მაგრამ ამაოდ დაშვრა, პასუხი ვერ მიიღო. მას  
შემდეგ ამერიკაში თავი შეაფარა პროფესიონალი პოპოვმა, რო-  
მელიც სწორედ იმ ბაქტერიოლოგიურ ქარხანაში მსახურობდა.  
პროფ. პოპოვის განცხადებით, ქარხანა, რომლის დირექტორიც  
გენერალი სმირნოვი იყო, ამზადებდა საომარ ბაქტერიებს, ეწ.  
„ნაცშირის ბაქტერიებს“ რაც მომაკვდინებელია ადამიანისათვის  
მას შემდეგ, როცა განსხვავებული ჯიშის ბაქტერიები ერთმანე-  
თში აირევიან. ომის ველზე გამოყენების დროს ხელოვნურად  
ახდენენ ამ არევას, იქ კი საბედისწერო აფეთქებამ გამოიწ-  
ვია შერევა და იმსხვერპლა დიდალი მშვიდობიანი მოქალაქე.

ამათ გარდა კიდევ ბევრი უბედური შემთხვევა შეგვიძლია  
დავასახელოთ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელ  
ათი წლის განმავლობაში და, რომლებიც ხელისუფლებას არ გა-  
უსურავნებია. ჩვენ დარწმუნებული ვართ: ქარს რომ სკანდინა-  
ვიის ქვეყნებისკენ არ წაედო რადიოაქტიურობა და შვეციის  
მთავრობა რომ არ შეშფოთებულიყო, საბჭოთა ხელისუფლება  
ჩერნობილის ატომურ აფეთქებასაც საჯაროდ არ გაამხელდა.  
გორბაჩინოვი იძულებული იყო ელიარებია ის, რის დამალვაც აღ-  
არ შეიძლებოდა, სამაგიეროდ მან დამალა მთავარი: მიზეზი,  
რადგანაც, უმიზეზოდ ამ ქვეჭად არაფერი არ ხდება.

-26 მაისს, მოსკოვში პრეს-კონფერენცია მოაწყვეს, რომლის  
დროსაც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა  
აკადემიკოსმა ევგენი ვოლხოვმა უურნალისტებს სხვათა შორის  
განუცხადა, რომ რადიაციის მსხვერპლთა რაოდენობა უკვე 19  
უდრიდა. იმავე დროს ამერიკელმა გამოსხივებით დაავადებულ-  
თა მკურნალობის სპეციალისტმა ექიმმა გაღმა განაცხადა:  
საშიშ ზონიდან ევაკუირებული იქნა 90-100 ათასი მცხოვრები,  
რომლებიც მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ უნდა

იყენ, რადგანაც მათ შეიძლება გამოაჩნდეთ კიბოს ფასურულებული. მკურნალობაში მყოფ სამ ასეული კაციდან 35 მძიმე მდგრადი მომსახურებული იბაშიან.

- 3 ივნისს, მოსკოვის №6 საავადმყოფოს(სადაც მკურნალობენ ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაავადებულებს) ღირექტორმა ლეონიდ ილინმა ურნალისტებს განუცხადა: ავარიის პირველ დღეებში 18 ათასი კაცი იქნა რამდენიმე დღით მოთავსებული საავადმყოფოში და შემოწმებულიო, აქედან სამასამდე იქნენ მუდმივ სამკურნალოდ დატოვებულნი, დღეისათვის 25 გარდაიცვალა, ოცდაათი ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშიან.

- 5 ივნისის ს.კ.კ.პ. ცენტ. კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის ოფიციალური ანგარიში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, სხვათა შორის გვაუშუბს, რომ: „მოისმინა მთავრობის კომისიის ცნობა ჩერნობილის ატომურ ელექტრო-სადგურში მომზდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მიმდინარეობისა და ამ სამუშაოთა გაძლიერების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა: „ელექტრო-სადგურის მოედანზე და მის გარშემო ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ტერიტორიის, შენობებისა და ნაგებობების დაზარდებული გაკუჭანებისა და გადატევების დაცვის სამუშაოები. რადიაციის დონე სტაბილურად ქვეითდება.“

ამ ცნობიდან ცხადია, რომ კატასტროფის მომენტიდან ორმაცი დღის გასვლის შემდეგ ელ.-სადგური და მისი მიმდებარე 30 კვ. კმ. რადიუსის ტერიტორია კვლავ აკრძალული ზონაა, სადაც მცხოვრებთა დაბრუნების საკითხი ჯერ-ჯერობით არ დგას, „რადიაციის დონე სტაბილურად ქვეითდება“ ნიშნავს, რომ რადიაცია კვლავ გრძელდება.

- 15 ივნისის გაზ. „პრავდა“ გვაუშუბს: „ყაფილი ღირექტორი და მთავარი ინჟინერი(ჩერნობილის ელ. სადგურის) ბრიუხანოვი და ფომინი განთავისუფლებული არიან თანამდებობებიდან. როგორ სიტუაციაში მათ ვერ შეძლეს ვერც სათანადო ხელმძღვანელობა და ვერც საჭირო დისციპლინის გამოჩენა და გამოავლინეს უპასუხისმგებლობა და არაკომპეტენტურობა. მათ ვერ შეძლეს ვერც იმის შეფასება თუ რა ხდებოდა და ვერც იმ ღონისძიებების მიღება, რომელიც საჭირონი იყნენ მაშველ ჯგუფების დასარაზმავად.“ ბრიუხანოვის მაგივრად დაინიშნა ამ.

პოზდიშევით. ამავე სტატიიდან ირკვევა, რომ რეაქტორის აუგვებების შემდეგ აღგილი ჰქონებია ელსადგურის მუშაობის ურეთა პანიკას. ბევრი მათგანი გაქცეულა სადგურიდან და ბევრი მათგანი ჯერაც არ დატრუნებულა უკან.


— ამასვე უნდა დავუკავშიროთ რვა ივნისის გაზეთ „ტრუდ“-ში გამოქვეყნებული ცნობა: ჩერნობილის ელექტრო-სადგურის მშენებლობის სექტორის დირექტორად დაინიშნა ამხ. ვლადიმირ გორა. გაზეთში არაფერია ნათქვამი ყაფილ დირექტორზე. გაზ. „ლე მონდ“-ის გამოკვლევით, **15** მაისამდე ჩერნობილის მშენებლობის სექტორის დირექტორად იხსენებოდა ვასილი კიზიმა, რომელიც ჩერნობილის პარტიული ბობოლაც ყაფილა და უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც. თქმა არ უნდა, რომ ვასილი კიზიმას ბრალი დასდეს რეაქტორის ნაკლიანად ფეხის და, როგორც პარტიული ბობოლა, ჩუმად მოაშორეს საქმეს.

#### დ ა ს კ ვ ნ ა

ჩერნობილის კატასტროფით გამოწვეული ზარალი, თვით ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოსათვის როგორც საბჭოთა კავშირია, განუზომლად დიდია. წინასწარ შეუძლებელია თქმა იმისა, თუ რა მანძილზე და რამდენ ხანს გაგრძელდება დედამიწის ნიადაგის საშიში რადიოაქტიურობა ამ კატასტროფის შემდეგ.

— ჯერჯერობით **30** კილომეტრის რადიუსის მქონე ტერიტორია სრულიად გაუდაბნოებულია, იქიდან აურილი რადიაციით მეტ-ნაკლებად შეცყობილი **90-100** ათასი ადამიანი არავინ იცის რა პირობებში ცხოვრობს, თუ მათ ყოფა შეიძლება ცხოვრება ეწოდოს.

— კატასტროფამ, საბჭოთა მესვეურების განცხადებით, უკვე იმსხვერპლა სამი ათეული ადამიანი, სამი ასეული პირველ რიგში დგას, ასი ათასი კი მუდმივ საშიშროებაში. ამ საშიში ზონის გარედაც მოსახლეობის ჯანმრთელობა დაზღვეული არ არის. უკრაინის დედაქალაქი, რომელიც **133** კილომეტრითაა დაშორებული ჩერნობილიდან, ორი თვე აკრძალული იყო დასავლეთის უუჩრნალისტებისათვის და სადაც ჯერ კიდევ გრძელდება ქუჩებისა და შენობების დეზაქტივაცია, თავისი ორი მილიონი მოსახლეობით შეიძლება აღმოჩნდეს მეტად სავალალო ბიოლო-



გიურ გართულებათა წინაშე-

-ჩერნობილის კატასტროფით მძიმედ დაზარალდა არა მარცვა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი, არამედ მეზობელი სკანდინავიისა, და ცენტრალური და დასავლეთი ევროპის ქვეყნებიც.

-საბჭოთა კავშირის ადამიანებისა და ცხოველების კვების საკითხში მოსალოდნელია კიდევ უარესი გართულებები.

კატასტროფაა ეს, მა რა ჯანაბაა, იტუდა წვივმაგარი ქართლელი კაცი, მაგრამ გორბაჩივებისათვის ეს უბრალო ავარიაა და საწყალ ჩერნობილს ცილს სწამებენ დასავლეთის მტრული პოლიტიკური წრეები.

- ყველაფრიდან ჩანს, რომ საბჭოთა ატომურ ელსადგურების უწყებას გათვალისწინებული არ ჰქონებია ჩერნობილის მსგავსი ინციდენტი, ამიტომ ჩერნობილში მომხდარ რეაქტორის აფეთქებას მოჰყავ დაბნეულობა და პანიკა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უბედურების სიკრცე და დრო.

-კატასტროფა გამოიწვია რეაქტორის დეფექტიურობამ. იგი არ აქმაყიფილებდა დასავლეთის ქვეყნებში მიღებულ უშიშროების წორმებს.

-საბჭოთა წესის თანახმად, ჩერნობილის ატომურ ელ-სადგურს განაგებდენ არაკომპეტენტური და უნებისყოფო კომპარტიის წევრები. მათმა უთავბოლობამ საბედისწეროდ დააგვიანა მაშველი ღონისძიებები.

-ჩერნობილის კატასტროფამ გამოაშვარავა საბჭოთა ეკონომიკის და ტექნიკის ჩამორჩენილობა. გაამართლა ფრანგი არაგონის ერთი გამოთქმა: „ს.ს.რ.კ., ეს კონგრა, პლუს თერმო-ბირთვული რაკეტებით.“ საბჭოთა კავშირში არ აღმოჩნდა ერთი „რობოტი“ რადიოაქტიურ გარემოში გამოსაყნებლად. კატასტროფის შემდეგ დაიწყუს მათი შესყდვა დასავლეთში. საშიშ რადიოაქტიურობის პირობებში მეხანძრები მომარაგებული არ ყოფილან სპეციალური კომბინეზონებით და ნიღბებით. ალბათ ეს უბედურები არიან ფერაზე მეტად პირველ რიგში რომ დაზიანდენ.

- ვინ არის მაინც მთავარი დამნაშავე და პასუხისმგებელი ჩერნობილის კატასტროფისა? არა პირადად მიხაილ გორბაჩივი, არამედ ის სახელმწიფო სისტემა, რომლის წარმომადგენელიც იგია. საბჭოთა ტიპის სახელმწიფოსთვის, საღაც არ არსებობს



საზოგადოების თავისუფალი ზედამხედველობა და კონტროლის ჩერნობილის მსგავსი უბედური შემთხვევები მოსალოდნების არა გარდაუვალიცაა.

— ჩერნობილის კატასტროფამ კითხვის ქვეშ დააყნა საზოგადოდ მსოფლიოში ატომური ელექტრო-სადგურების მშენებლობა. მან საბაზი მისცა ბუნების დამცველთა და უპირობო პაციონისტთა პოლიტიკურ დაჯგუფებებს გააძლიერონ ბრძოლა ბირთვული ენერგიის, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო გამოყენების წინააღმდეგ. ჩერნობილის კატასტროფა კიდევ უფრო ცხადყოფს თერმო-ბირთვული ომის აკრძალვის აუცილებლობას.

— 15 ივნისის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის ლექსი „ფიზიკოსები და ლირიკოსები“, რომელიც ჩერნობილის კატასტროფის შთაბეჭდილებითა დაწერილი. ლექსი ფიზიკოსებისადმი შემდეგი მიმართვით თავდება:

„...თქვენი ზემინი გულს უხარებს პოეტს ჟაველოვის, როგორც სულ დღემდე უხარებდა გულს ჩერნობილიც. არა, ჩვენ არა. ჩვენ არ ვმართავთ მა ქვეყნის ბორბალს; დღეს მხოლოდ თქვენკენ, მხოლოდ თქვენკენ სმენაც და მზერაც...“

ფიზიკოსებო, მოუარეთ ატომის ერას.“

ბატონო პოეტო-აკადემიკოსო, თქვენი ქვეყნის ბორბალს არც ფიზიკოსები მართავენ, არამედ მცირე კულტურის მქონე ხელი-სუფლების წყურვილით შეპყობილი თქვენი ამხანაგი კომუნისტები. თქვენ მისამართი გეშლებათ და მით შეცდომაში შეგავთ სხვებიც. მაგ თქვენი გაფრთხილებით კომუნისტ ხელისუფალთათვის უნდა მიგემართათ, რომლებიც განაგებენ ჩერნობილებსაცა და ატომ-ბომბებსაცა.

### ეკოლოგია და საბჭოთა კავშირი

1978 წელს რუსულ „ოვითგამოცემა“-ში დაიბეჭდა ანონიმური სტატია: „ბუნების განადგურება“-ს სათაურით, რომელიც ეხებოდა ბუნების მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. სტატიის ავტორი იყო ზევე ვოლფსონი, რომელიც აზერბაიჯანისა და მოსკოვის ბუნებრივ რეზერვებში მსახურობდა და, ამრიგად, ეკოლოგია მისი ხელობა იყო. ბატონი ზ. ვოლფსონი მის შემდეგ ის-



რაელში გადმოიხვეწა. ზემოდ აღნიშნული მისი ნარკოტიკული დანართი განვითარდა, ხელისუფლების მიერ საბჭოთა კავშირის მიერ ნების განადგურების შესაწყვეტად. მასში მრავალი უდავო ფაქტებია დასახელებული, რომელთა კითხვის შემდეგ ჩერნობილის კატასტროფა აღარ გვაკვირვებს. მოვიხმოთ ზოგიერთი:

**I.** 1975 წლიდან დასავლეთის მეგალოპოლისებმა, მათ შორის ტოკიომ, მომწამლავი გაზების კონცეტრაცია შეამცირეს, მაშინ, როცა მოსკოვში ის სულ უფრო იზრდებოდა.

ევროპის ქვეწებმა და კანადამ ვალდებულება აიღეს, რომ 30% შეემცირებიათ სულფიურ დიოქსიდების გამოყოფა პაერში 1980-1993 წლების პერიოდში. საბჭოთა კავშირმა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა უარი თქვეს ამ კლუბის წევრად გახდომაზე. საბჭოთა ბუნების დაცვის თავმჯდომარებ იური ისრაელმა განაცხადა, რომ 1984 წელში საბჭოთა კავშირმა ატმოსფეროში გაავრცელა 23 მილიონი ტონა სულფიური დიოქსიდები, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეწებმა 12 მილიონი ტონა, მაშინ, როცა საფრანგეთმა, გერმანიამ და ინგლისმა ერთად აღებულმა -11 მილიონი ტონა. ბელორუსიაში მეტავე წვიმებმა გააჩინა გეს მუხის ტჰები, უკრაინაში კი მოიწამლა მდინარეები და წყლის საცავები.

**II.** 1974 წელს შვედებმა ბალტიის ზღვაში აღმოჩინეს საშიში რაოდენობა პოლიქლორიული ბიფენილის, რომლის სულ მცირე რაოდენობა საკმარისია ცხოველთა ჯიშების რეპროდუქციის მოსაშელელად. საკმარისია ერთ ლიტრში გრამის მეათმილო-ონედი, რომ მთელი ოკეანე გადაიცცეს უდაბნოდ. ბალტიკაში აღმოჩინილი PB მოდიოდა მდინარე ნივენის შესართავიდან.

როცა საბჭოთა კავშირს შეეკითხენ, მთავრობამ უპასუხა, რომ ამ ნივთიერებას არ იმუშავებდენ. სინამდვილეში კი ის სსრკ ჟელა მდინარეში იპოვებოდა. საქმე იმაშია, რომ სამხედრო სამინისტრო ჯერ ქ. ძერეინსკში და შემდეგ ბევრ სხვა ადგილებშიც აწარმოებდა სამხედრო მიზნებისათვის ამ ნივთიერების წარმოებას და ჰიგიენის სამინისტროს ამის შესახებ არას ეუბნებოდა, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებას.

სამხედრო ინდუსტრია, რომელიც დაზღვეულია საიდუმლოების დაცვით, მდინარეებს იყნებს, როგორც კანალიზაციის საშუალებას და ის წელიწადში ჩრდილოეთის ზღვაში ჭის 3 მილ.

ტონას, ბალტიის ზღვაში—ათ მილიონ ტონას და აზოვის უდიდეს ში სამ მილიონ ტონა მინერალურ მარილებს. მიტონმცირებულებების აზოვის ზღვაში, სადაც ჯერ კიდევ 1945 წლამდე 270.000 ტონა თევზს იკერდენ, ჰქომად ძლივს სამი ათასს. აზოვის ზღვაში მეავგბადის რაოდენობა სულ კლებულობს. დონისა და ყებანის წყლების უსაშეველ გამოყენებით საირიგაციოდ, აზოვის ზღვის დონემ ორი მეტრით დაიწია. ერთი მაღალი თანამდებობის მოხელის განცხადებით: „ჩვენ(საბჭოთა კავშირმა) პრაქტიკულად უკვე დავგარეთ აზოვის ზღვა, არალის ზღვა, პრობლემატიურია კასპიის ზღვა და, თუ ასე გავაგრძელებთ, ჩვენ დავკარგავთ ბაკიალის ტბასაცაო.“ ეს ტბა, რომელიც შეიცავს მტკნარი წულის მსოფლიო რეზერვის 8%ს, ცნობილია მისი წყლის განსაკუთრებული სისუფთავით. სამოციან წლებში მის ნაპირზე ააშენეს სინთერიურ ცელულოიზის ფიბრის დამაზადებელი ქიმიური ქარხანა, რომლიდანაც განსაკუთრებით აკეთებენ მძიმე ბომბდა-მშენ თვითმფრინავების საბურავებს. ეს ქარხანა ტბაში ყრის ნარჩენ მინერალურ მარილებს, რომელიც უწყვლოდ ანადგურებს ტბის ფლორასა და ფაუნას.

**III.** საბჭოთა კავნომიური სისტემაც დამლუპველია გარემო-ბუნებისათვის. რაღაც წყლი უფასოა საბჭ. კავშირში, მას ხარჯავენ უთავბოლოდ. საბჭ. კავშირში ერთი ტონა ფოლადის და-სამზადებლად ხარჯავენ 25-დან 75 ტონამდე წყლს, მაშინ, როცა ერთი ტონა საკმარისია საფრანგეთში.

საირიგაციოდ მდინარეების წყლის პომპაჟი ისეთია, რომ რიგი მდინარეებისა ამოშრენ, სხვებში კი დონემ ძლიერ დაიწია. წყლის დონემ დაიწია აგრეთვე ბარაჟებსა და ტბებში. მეგალო-მანური გეგმები, რომელთა მიზანია „ბუნების დამორჩილება“, უნაყოფოდ აქციეს 1.450 მილიონი კგადრატული ნაყოფიერი მიწები. მარტო დიდმა ბარაჟებმა დაფარეს 120- ათასი კბ. კბ. მიწებისა და ყველწლიურად ისინი ნოქავენ 100.000 ჰექტარ ნაყოფიერ მიწებს. (ამ მხრივ სრული განუკითხაობა სუფევს ჩვენს სამშობლოში, სადაც პილო-ელსადგურების უზარმაზარმა წყლსატევებმა შოთნებს ისტორიით დატვირთული რიგი სოფლებისა. ავტორის შემჩნევა.)

დასავლეთის დემოკრატიულ ქვექებში, სადაც კანონი ძალაშია, თითოეულის თავისუფლება შეზღუდულია იქ, სადაც იწყება სხვა-

\*\*\*\*\*

თა უფლებები. საბჭოთა კავშირში კი, სადაც პარტიის უფლებები ებს საზღვარი არა აქვს, აღამიანების უფლება ნულმდგრადი განილი. საბჭოთა ქვეყნას ესაჭიროება ხელისუფლების მაწონა-სწორებელი ორგანიზმები, ისეთები როგორებიც არსებობენ და-სავლეთში. აბსოლუტურ ხელისუფლებას, განუსაზღვრელ ძალაუფ-ლებას, შეცდომაც განუსაზღვრელად დიდი შეიძლება დაემარ-თოს და ამის ერთ ერთი გამოვლინებაა ჩერნობილის კატა-სტროფა. იგი არ ჩაითვლება უცნაურ შემთხვევად, არამედ რე-უიმის ბუნებრივ პირმშობ.

### გულბათ გულბათიშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### კომკავშირი და ახალგაზრდობა

საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ წლებშივე კომუნისტუ-რმა პარტიამ შექმნა მისდამი ყაველმხრივ დამორჩილებული და კომუნისტური იდეების გამტარებელი ახალგაზრდობის ორგანიზა-ცია— კომკავშირი. მისი მოღვაწეობის მთავარ მიზანს ახალგა-ზრდობაში სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების გავრცელე-ბა წარმოადგენს და ამავე დროს, იგი რაზმავს ახალგაზრდო-ბას საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შესასრულებლ-ად. კომკავშირი, რომელიც, თავისი კომპარტიისადმი მონური დამოკიდებულების გამო, არავითარი ავტორიტეტით არ სარგებ-ლობს ახალგაზრდობაში, თავისი ფართო ქსელით ეწევა ახალ-გაზრდობის მორალურ-ფსიქოლოგიურ დემუშავებას პარტიისადმი სიკარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით. იგი ზაველმხრ-ივ ცდილობს ჩააბას ახალგაზრდობა, ეგრეთ წოდებულ პატრიო-ტულ, უფასო შრომაში, მოვონილი „ნათელი კომუნისტური მომა-ვლის“ შექმნისათვის.

როდესაც ვაკვირდებით კომკავშირის მოქმედებას, პირდაპირ გული კვდება, ვინაიდან არააღამიანური კომუნისტური ზეგავ-ლენით იგი სრულიად ასახიჩრებს ახალგაზრდობას. საქართველოს ახალგაზრდობა დღეს ძალიან რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ პი-რობებში იმყოფება. ერთი მხრივ, იგი მავნე კომუნისტური პრო-პაგანდის მსხვერპლია, ხოლო, მეორე მხრივ, დღეს მას საკმარი-სად დიდი ინფორმაცია გააჩნია დასავლეთის სამყაროს ცხოვრე-ბის შესახებ და ის ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს კომ-

კავშირის ზედამხედვლობას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სამწუხაობა, ამას ის ვერ ახერხებს. ამის შედეგია, რომ საქართველოს დღვევანდელი ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირისა, ვულჩიათხრობილია და საზოგადოებრივი შრომისადმი პასიურობას იჩენს. დღეს, როგორც არასდროს, ახალგაზრდობაში გავრცელებულია ლოთობა, ნაკომიანია, დანაშაულობრივი ქმედებანი. ახალგაზრდობა ყოველდღიური ცხოვრებით რწმუნდება, რომ მას შავ-ბნელი მომავალი აქვს და იმის გამო, რომ იგი წინააღმდეგობას ვერ უწევს რეჟიმს, ვარდება ღრმა პესიმიზმში.

როდესაც საბჭოთა მმართველნი ახალგაზრდობას სულიერად და მორალურად ჩაგრავენ, ისინი არ ითვალისწინებენ იმ მდგომარეობას, რომ ამით მას უნებისყოფისა და უპრინციპოს ხდიან, რაც მასში ეგოიზმსა და ადამიანების მიმართ სიძულვილს აღვივებს. სწორედ ეს არის ყველაზე საზარელი. კომუნისტ მმართველთათვის მთავარი ძალაუფლების შენარჩუნებაა და ამ მიზნისათვის ისინი ახალგაზრდობის სულიერ და მორალურ განადგურებაზეც კი მიღიან.

ახალგაზრდობის მტერს-კომპაგნირს ფესვები ღრმად აქვს გადგმული საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში და წამლავს ახ აღგაზრდობას. ის განსაკუთრებით აქტიურობს სასწავლებლებსა და ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ყველაზე მეტადაა თავმოყრილი ახალგაზრდობა.

გარდა იმისა, რომ კომპაგნირი მავნე კომუნისტურ იდეებს ავრცელებს ახალგაზრდებში, იგი ამასთან ერთად, თავისი განუშევრებელი შეკრებებითა და კრებებით, სხვადასხვა დავალებებით, სწავლისაგან აცდენს სტუდენტსა და მოსწავლე ახალგაზრდებს.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ისევე როგორც წარმოება-დაწესებულებებში, კომპაგნირის ორგანიზაციები ცდილობენ ჩაუნერგონ ახალგაზრდობას სიყვარული კომუნისტურ პარტიისადმი, მიუხედავად იმისა, რომ როგორც მთელ ხალხს, ისე ახალგაზრდობას და თვით კომპაგნირის მუშაკებსაც კი, უკვე დიდიხანია აღარ სჯერათ პარტიის არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკისა. კომპარტიის ძალდატანებით კომპაგნირის ორგანიზაციების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი ყველმაღური და ფიქტიურია. მათში ყველთვის



ხაზგასმულია პარტიის პოლიტიკისადმი მხარდაჭერა. უმაღლეს თრგანოთა პარტიულმა და კომკავშირულმა მილიციურმა კარგად იციან ასეთი გადაწყვეტილებების სიყალბის შესახებ, მაგრამ უარყოფით რეაქციას არ ახდენენ, ვინაიდან სიყალბე და სიცრუე კომუნისტ ხელმძღვანელთა მოღვაწეობის მთავარ დედაარსს წარმოადგენს.

პარტია და მთავრობა მაღალ თანამდებობებზე აწინაურებს იმ კომკავშირულ აქტივისტებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩინიან ფორმალიზმის, სიყალბისა და სიცრუეს თვისებებით. კომპარტიის დღევანდელ ხელმძღვანელებში ხომ თითქმის ყველა ყოფილი კომკავშირელი აქტივისტები არიან, რომლებსაც სისხლ-ში აქვთ გამჯდარი სიცრუე და სიყალბე. მათ ცხოვრებაში 2 სახე აქვთ: ერთი ოფიციალური, როდესაც კომპარტიისათვის დამახასიათებელ თვალის ამხევე პოლიტიკას ეწევიან და მეორე, მათი რეალური სახე, რომელიც მომხვეჭელობასა და მექრთამებაში გამოიხატება. რამდენი ხელმძღვანელი პარტიული და კომკავშირული მუშაკი ვიციო, რომლებიც მაღალ ტრიბუნიდან ცინიკურად ქადაგებენ პარტიული და კომკავშირული რიგების სიწმინდეზე, ხოლო ცხოვრებაში აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოქმედებებს ეწევიან. ბევრი ვიციო ხელმძღვანელები, რომლებიც ოფიციალურ თათბირებზე და მიტინგებზე ხალხს მოუწოდებენ პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისაკენ, ხოლო კერძო საუბრებში კი აკრიტიკებენ, როგორც კომპარტიის, ისე მის ხელმძღვანელობას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებს შორისაც კომუნისტურ იდეებისადმი რწმენა დიდი ხანია დაკარგულია და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს, პარტიისა და კომკავშირს ამოფარებით თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, პირადი ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნა.

მაგრამ, ასეთ პირობებში, რა ჭნას პატიოსანმა ახალგაზრდობამ? ხომ არ შეიძლება რომ ყველამ დაკარგოს სინდისი და პარტიის რიგებში შევიდეს ან კომკავშირის მონა-მორჩილი გახდეს?! აი, სწორედ ასეთი ახალგაზრდობა იჩაგრება, რომელსაც დღეს საქართველოში თავისუფალი, შემოქმედებითი, შედეგიანი შრომის საშუალება არ აქვს. ასეთები კი უმრავლესობას წარმოადგენს.

მიუხედავად პარტიისა, კომპავშირისა და სახელმწიფოს უფრო უფრო როგორც არ გვიჩვენოთ უსაშველო ზემოქმედებისა, ამ ბრძოლის მიზნების ში მაინც იგრძნობა პროგრესიულ ახალგაზრდობის გააქტიურება. ეს ახალგაზრდობა იმედს არ კარგავს და იცის, რომ მხოლოდ მაქსიმალური გააქტიურებით შეიძლება ბოლოს და ბოლოს სიკეთემ გაიმარჯვოს სიბოროტეზე.

### გურამ გელოვანი

შეცდომის გასწორება. „გუშაგი“-ს წინა ნომერში, ბარონ გ. გელოვანის სტატიაში (გვერდი 25, პრეკარი 12) შეცდომით დაბეჭდილია: დადასტურებული მონაცემების საფუძველზე, სსრკ-ს კ. პ. ც. კ.-ს ყოფილ პირებელ მდივანს ნ. ხრუშჩოვს თურმე განზრახული ჰქონებია...“ უნდა იყოს კი პირიქით: დაუდასტურებელი მონაცემების საფუძველზე...“ („რუსულ-კომუნისტური შოვინიზმი“ გურამ გელოვანისა)

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### პოეზიის განყოფილება

#### ლტოლვილის სიტყვა პარიზს

მიუბარს პარიზი, მე, ქალაქი თავის ხმაურით,  
მონმარტის მთიდან გადაშლილი, მართლაც დიადი;  
მოსავს მის სახეს სილამაზე მთლად უცნაური,  
ქალურ სინაზის საოცნებო ერთობ ზვიადი.

ოიპ, პარიზო, შენს წინაშე ჩემი ვეღრება,  
მინდა ლოცვებით მოვიყრო აქვე მუხლები;  
ამ შენს მშვენებას ამაღლებულს ვერვინ ედრება,  
ასე შემკული, მომხიბლავი, წინ რომ იშლები.

მძულს მე უგულო კაცის სიტყვა, ცრუ და ოხერი;  
ოიპ, პარიზო, რომ იცოდე ვღვარე რამდენი  
მწარე ცრემლები სამშობლოსათვის, მან კი, თავს მტვერი  
მე დამაყრა, თითქოს ვიჟვე ცუდის ჩამდენი.

განა ღირსია წრფელი გულის მამულიშვილი



იყს დევნილი, დაჩაგრული და ან დასჯილი? უკრავეული  
სამშობლოსათვის არ იწამოს მტრისა წადილი ჭიდული  
ატაროს გულში სასოებით მისი მანდილი.

მწარე ფიქრებით უცხო მხარეს ლტოლვილი ვლიდეს,  
მტერი ხარობდეს და ლესავდეს რისხვით მახვილებს,  
აღრჩობს სამშობლოს მტრის ვაება, და დღესაც კიდევ  
სიკვდილი ცელავს ჭართველ გმირებს, მამულიშვილებს.

რა საშიშია და მტარვალი ორგულის ზრახვა,  
ოიკ, პარიზო, მშვენიერო, შენ ეს არ იცი;  
ვხედავ შენს გმირულ-თავდადებულ ცხოვრების სახვას  
ავსებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა და ფიცი.

იქ, სადაც ერთხელ შენს კარებთან მოდგა ატილა  
და, სადაც თრთოდა ქალწულ გრძნობით გმირი უან დ'არკი,  
თავისუფლების შენ აღმართე დროშა ახდილად  
და ბატონობის დაამსხვრიე მძიმე ბანაკი.

იქ, სადაც ძველად იდგა სიტე პარისელების  
და სავსე სენა თან ეკვროდა ნაპირებს მწვანეს,  
მორის დე სულის აღმართული მლოცველ ხელებით  
დგას ღვთისმშობლისა სამლოცველო წმინდა სავანე.

იქ, სადაც ბუკის საჭირებით ლუტეცის კარზე  
გლადიატორთა მოდიოდა მებრძოლი ჯარი,  
დღეს, აღმართული რკინის თვალით კოშკების ცაზე,  
შუქი დაგნათებს, ვით ფერია და, ვით სიზმარი.

შენს სასახლეებს ამშვენებენ კოცნა მზიური,  
ვით პაგანინის მთრთოლავ თითებს სიმზე მიზრაფი,  
კარიბჭეებთან კალიოპა გეგმრის ღვთიური,  
კრიალა თვალით ცა დაგცერის, როგორც სადაფი.

ლამის წყვდიადი დაილევა მზეზე ნაური,  
სენას აჭება შაიოდან სევდა მანსინის;  
ზოგჯერ მხურვალე ამორძალი, ვით პომპადური,



შენ მოგაწყვება ავარდნილი როგორც ხიზანი, უკროცხადები ვართ მათთვის

ଗୁଣଶି ନିର୍ମାଣ ପାନତ୍ତରିଣୀ ଶେର୍ସ ରହୁଣ୍ଡ ଶବ୍ଦିଲେବୁ; ଘେମିଲିବୁ ମେ କରେନ୍ଦ୍ରା ପ୍ରେରଣୀରେ ବିଭିନ୍ନ ଅନ୍ତରିଣିକିର୍ଣ୍ଣିତ କରେନ୍ଦ୍ରାରେ; ଶେର୍ ନିଷ୍ଠାରୁଣ୍ଣିଲିବୁ ଗର୍ଦନ୍ଦିନୀରେ ଅଳିତ ଗାଉଥାବ୍ରିଲ୍ଲେ ଗୁଣି ଲାଭାର୍ଥିକିନ୍ଦ୍ରା, ମନୀଶ ରୂପେ, ପ୍ରେପକ୍ଷିତେ ନାକୁବେଳି.

ლოცვამ და ბრძოლამ შენი ძალა ბევრჯერ აღიდა,  
მოგაქვს ლირიკა და გულს უგსებ ვარდივით დანტეს,  
მძიმე ტაძრების შენ გახდები კარიატიდა  
და პოეტებსაც, ვით მებრძოლებს, ისე აღანთებ.

ბევრჯერ ყაფილია შენი მიწა სისხლით ნათოში და ცხელ ცრემლებით სენის გული შავად ნაღები, ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოზრდილი ბავშვი გავროში მღერას მოვიძევნის, ვით მაისის ვარდის ბალები.

იქ, სადაც იდგა მრისხანებით ციხე ბასტილი, ძმობა-ერთობის შენ აღმართე ცხოვრების კერა; ბატონიშვილის გარდმეშლება მეც აქ შატილი, თავისუფლების და სამშობლოს იგი სიმღერა.

ბევრი უნახავს ჩემს სამშობლოს ძველად წამება და შენს სენასაც კარგად ახსოვს საბა მოსული; საღაც იარა ვერსად ჰპოვა სულის მან შვება, თანვე წაიღო უცხო მხარეს ბეღი მზაკვრული.

ମିନ୍ଦା ଗୋଟିଏମ ଥାଇ ଫିଲେବିଲେ ମେ ଜାରାଗାନୀ,  
ମଲେରୀଲେ ତେଣୁ ଶେବେ ଉଦ୍ଦେଶ୍ୟ କାହାରେ ଲାଗିଲା,  
କାହାର ମେ ଲେଖିଲୁଗିଲୁ ଉପାଧିଶବ୍ଦଙ୍କ, କେବଳ କାର-ନାଗାଲି,  
କେବଳ କିମ୍ବା ଗୁରୁମହାରଙ୍ଗ ଉମିତ୍ତେଖାଲେ କାହାର ପାଇଁଲାଗିଲା।

მარტივი არის ჩემი ლოცვა, ჩემო უფალო,  
ვარ მე ნაცარი, მიწის მტვერი, ერთი აჭილი;  
იქნებ, პარიზო, ჩემი სიტყვა არის უბრალო,  
ვარ მე ვედრებით შენს წინაშე მუხლებმოყრილი.  
გიორგი ტოვონიძე (პარიზი 1950.)



## ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს

დიდი ხნიდან შეთვის დამიაქვს ტრფობა გულს დათქმული და, ამისთვის შემოგვიცე ძმური სიყვარული.

დღეს სხვა გრძნობა მე არ მათბობს, არც სხვა სიხარული, შენ ცისკარის ხატება ხარ, ქვეჭად ფერასხმული.

შენ ედემის წალკოტი ხარ, და შვენების კერა, ციურ ხმათა ტკბილ ჰანგების საიდუმლო მღერა.

ო, სულმნათო, ქვეჭის ვარდო, ზღვა სიამით შლილო, სათნოების ლურჯ ფერებით ღვთისგან გამოზრდილო.

შენ კრძალვა ხარ გრძნეულების მიწურვ მღოცველ გულთა და, ცისკრული ეშხის სხივით განთიადი სულთა.

შენ მშვიდობის გზის კერა ხარ, მისი გზა და ფონი, ქვეჭის სივრცეთ გატარცნილი, ღვთაებრივი ღონით.

მთას ეკვრება თუ ბარს ხარობს შენი კერის სიბრძნე; შენ შუქი ხარ მარადობის და უქრობი ცის მზე

ო, მეოხევ, ეხლა, როცა ხელაპყობით ცისკენ შენ წინაშე მე ვღოცულობ და გული მით მიძგერს, მსურს მე ამ დროს, რომ ვემთხვიო შენს მიწას და ზეცას და ვადიღო, ვინც შენს ცაზე უკვდავება თესა.

მსურს შენს ველებს, ზურმუხტ ჭალებს, ზვრებს და წარბა კონცხებს ყელას ერთად ველივლივო, როგორც ძველად ოცხეს.

მსურს შენს ტაძრებს, მისნურ კერებს, ცისკენ აზიდულებს, შენი სულის, შენი გულის განუხრელ ერთგულებს, მე მიუძღვნა ჩემი სულის საიდუმლო ტრფობა, როგორც გულში ანთებული ციურ გრძნობის ხმობა.



მსურს შენს ერთგულ გრძნეულ შვილებს, ზეცით გრძნებულებს,  
მოწიწებით თაყვანი ვცე, ვით შვენების გზირებს.

ო, ნუ მკითხავთ თუ ვინა ვარ ან რომელი მხრისა,  
გეტჰით მხოლოდ, რომ მე ვეტრფი ღვთიურ გრძნობის მიზანს,  
ის ამაღლებს კაცთა შორის სამშვიდობო ზრახვებს,  
და გზას უხსნის ერთობისკენ ჭელა კეთილ გრძნობებს.

ანკი, რად ღირს ეს ცხოვრება, თუ რომ მართლაც იგი,  
სულ იქნება ბოროტების და მზაკვრობის მზიდი.

ჯერ კიდევ ყრმამ უარესავი, რაც სიავის არი,  
დავგმე ომი, მძულვარება, სისხლის ნიაღვარი,  
მე მას ვეტრფი და მას ვლოცავ, ვინც რომ ხალხთა შორის  
სიყვარულის სითბოს თესავს დაძმური ამბორით.

და, რომ ვითხრათ წრფელი გულით ჩემი რწმენა ჭელა,  
შენ ამ გრძნობის შვენება ხარ, მისი ცისარტჭლა,  
და მეც მსურს, რომ შენს ამ სათნო კაცთაძმობის გრძნობებს,  
მუდამ თან ვჭვე ერთგულებით, ვით ციურ მნათობებს,  
რომ დევნილმა, უსამშობლომ შენგნით ვპოვო შვება:  
ჭირთა ძლევა, ხალხთა ძმობა, ქვეჭის დაზავება.

გიორგი ტოგონიძე (პარიზი, 1954. )

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

რუსთველი 800 წლის

შენ რუსთველო გამოგიტადე,  
სიტყვა გკადრო მხოლოდ ერთი:  
უზადო ხარ, მშვენიერი,  
ერთადერთი, როგორც ღმერთი.

მგოსანთ ტაქს მიაშურებ,  
გამოვიდეს დიდი დრონი;  
ჭელა ერთად გააკვირვე  
სწავლული და კაცი მგონი.

შაგიკითხე, გამიტაცა,  
დავეშაფე, როგორც ვეფხი;  
ჩვენი ქვეჭის სიმღიდეე ხარ,  
შაუშლელი სიბრძნის მერხი

შენ დარეჯან და თინათინ,  
ავთანდილი და ტარიელ,  
გაავსე სული მშვენებით,  
არ დავრჩეთ გრძნობა-ცარიელ.

ამბავი მათი გვიამბე,  
მოკრძალებით და რიდითა,  
გაგვაკვირვე და დაგვატებე,  
შეგვიძყარ კიდეთ-კიდითა.

მსახური ხარ შენ გმირების,  
ვით ერთგული თვისის თვისი,  
საარაკოდ მოთხრობილი,  
გაგვიტაცებს თქმანი მისი.

მაგ ნაშერის მორჩილი ვართ,  
ამ შაირის მაქებარი,

  
სიტყაკაზმულ მწერლების შეფერ  
არსად არის შენის დასახური

შენ მესხეთის გვირგვინი ხარ,  
საქართველოს ჩირალდანი;  
სადაური სად მოხვედი,  
შეიქმენი ძეგლი მძღავრი.

ამაღლებულ ზეცად ფრენით  
მკითხველი გჭავს მაღლიერი;  
ყველამ გულით შეგითვისა,  
თაჭაანსა გცემს მთელი ერი.

### ირაკლი ოთხმეზური

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### მ ა რ ტ ო მ ბ ა

დავრჩი კვლავ მარტო, მწუხარებამ მკერდს მიმიხურა,  
სადღაც წავილნენ მეგობრები: ილო და ხუტა;  
აღარვინ დამრჩა, რომ მიუბნოს სიტყვა ქართული;  
აქ ძლიერ ცივა, ვეღარ მათბობს თხელი ფარდული...

რატომ დამტოვეთ, მეგობრებო, ეული ასე,  
გამექცენ სადღაც ფიქრები და ლექსთა სინაზე,  
ჩემს ახლოს ვიღაც კვდება ტიფით, სიცხით დამწვარი,  
გარეთ კი ჰყანავს, დათარეშობს სტეპების ქარი...

მოდით ბიჭებო, უქართველოდ ვეღარ ვძლებ, ვერა,  
მიკვირს უცოდველთ ლექტო რატომ გადაგვემტერა;  
ჩვენ ვერ გვიშველის პაშაშინა პურის ნატეხი  
და ვერც სიზმარი, ბაიბურში ძილის გამტეხი...

ზუზუნებს ქარი, უკრაინის ზამთარი ჰყანავს,  
ნეტავ ქართული მზის სხივები აქ რად ა ბრწყნავს;  
დაბრუნდით ძმებო, ღამე არის უკვე გვიანი,  
მე გეტვით ზღაპარს, გეამებათ აზრი ფხიანი.



და თუ თქვენ არ გსურთ მოისმინოთ კარგი ზღაპარი,  
მაშინ აღვანოთ ისტორიის დღეთა ღამპარი,  
მოგითხოვთ ამბებს, რას გვაუწყებს „ქართლის ცხოვრება“,  
სიცხე მიწვეს, მაგრამ ბევრი რამე მემახსოვრება.

ჩვენი ძველები დადიოდნენ ლაშქრად სპარსეთში,  
გამოუვლიათ მწარე დღენი სასტიკ ქარცეცხლში,  
იქ სიცხე იყო აუტანი, არ ჰქონდათ წყალი,  
ჩვენ კი ამ ყნვას გადურჩებით ნეტავ ცოცხალი!?

დაბრუნდით ძმებო, უთქვენობით ვეღარ ვძლებ, ვერა,  
მწარე გამოდგა ჩვენი ყაფა და ბედისწერა!  
ვიღაც ჩემს ახლოს მოკვდა ტიფით... სიცხით დამწვარი,  
გარეთ კი ჰყანავს, დანავარდობს სტეპების ქარი...

### გივი შაორელი

( ქ. როვნო. სამხედრო ოჯეთა ბანაკი,  
7 დეკემბერი 1941 წელი )

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### სამშობლო

არ იფიქრონ ობოლი ვირ,  
ან ლარიბი, მე საწყლი,  
სამშობლო მყავს სასახელო,  
საყვარელი მიწა-წყლი.

დაგიპყრეს და დაგიმონეს,  
გაგიჩინეს სამართალი.

თავს დაგესხენ, რას გერჩოდნენ?  
ვინ რუსია, რისი ვალი!

დროს მოტანილს დრო წაიღებს,  
გაირჩევა მტყან-მართალი,  
გაიმარჯვებს საქართველო,  
გაიხარებს მომავალი...

### † გალოდია კვაჭანტირაძე

ძვირფასო მკითხველო, ვალოდია კვაჭანტირაძის ეს ლექსი 1974  
წლის 16 აპრილით დათარიღებული შემდეგ წერილთან ერთად  
მივიღე: „მშავო გოგი! გამარჯობა. არ იფიქრო ოდნავად, ლექ-  
სის წერის პრეტენზია მქონდეს. გამოვთქვი გრძნობა სამშობ-  
ლოს სიყვარული უბრალო ენით და ისიც ძველი სტილით.  
სხვებს ამას ვერ შევეკითხები, სიცილს დაიწყებენ. არაფერზე  
არ შეწუხდეთ, როდესაც ერთ წერილს მომწერო, მიუდგომლად



მაცნობე თუ რამდენად და შესაფერისად მოყვანილი ეპიტეტები  
არის გამოთქმული. შენი აზრი მჭირდება და გმირობის მიერთებულის  
დიდი ხნის უღვთო ტკივილების შემდეგ, შორს თანამემამულეთაგან, გარდაიცვალა ეს თავდაბლი, სათნო და უებრო მჭირდის შვილი, და თან წარიტანა დიდი სიყვარულით გამობარი გული. ამაფა იყო იგი სამშობლოთი და სამშობლოსთვის ტანჯვა-წამებაც მას ეამაჟებოდა.

მკიოხველო, შესანდობარი გაუგზავნე ვალოდია კვაჭანტირა-  
ძეს, ნუ დაიზარებ. „გუშაგი“

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ჯ ვ ა რ ს ა ც ვ, ჯ ვ ა რ ს ა ც ვ ე ბ ე !

დაღლილი და მოთენთილი სული საკრებულო ტაძარში შევასვენე. შევცემერი ამ ხელთუქმნელ ძეგლს და გული მისკენ მიიღოვის. შესავალ კარებთან გაუმეორებელმა სიტყამ შემაჩერა. გულზე ხელდაკრეფილი უხმობს იგი მოყვასთა:

„მოვედით ჩემდა მაშვრალნო და ტვირთმძიმენ!“

ორი ათასი წლის წინად იყო იგი ოქმული, და ეს სიტყა მარადიულია. „მოვედით ჩემდა მაშვრალნო და ტვირთმძიმენ, რამეთუ მე გასწავლოთ თქვენ სიყვარული და კაცომოყვარება, გასწავლოთ ერთობა და თავისიუფლება.“

უხმობს მოყვასთ სათნო თვალები და მეც აქა ვარ მასთან, ღვთის ტაძარში. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ გვიავ უხმობს იგი მოყვასთ...

აგერ საიდუმლო სერობა... „ამინ გეტზ თქვენ, ვითარმედ ერთმან თქვენთაგანმან მიმცეს მე, რომელ სჭამს ჩემთან.“

აგერ სურათი გრძნობათა უფრო ამშლელი. მრისხანე, მაგრამ ცბიერი პონტოელი პილატეს წინ წარსდგა იგი.

— მითხარ: ხარ შენ მეუფე ურიათა?

— შენ იტკ,—მიუგო ნაზარეველმა.

გარინდებული სახით დგას ნაზარეველი. მისი ბაგენი დუმან. მაშინ, პონტოელმა მსჯავრის გამოსატანად ბრბოს წარუდგინა იგი. — მე ცოდოში არ ვერევი, ხელი დამიბანია მისგან. დევ, ხალხმა მიუსაჯოს კუთვნილი, თქვა პილატემ.

ნაზარეველი წარსდა ბრბოს წინაშე. „ჯვარს აცვ ეგე!“-ჭირის



ხელების ქნევით ბრბო.

„ჯვარს აცვ ეგე!“ ყვირის ბრბო, რომელიც გუშინ ფართოდა რგვინით ეგებებოდა მას.

„ოსანა მაღალთა შინა, დიდება შენ! – კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“ – ხმის ჩახლეჩამდე გაჰყიროდა მაშინ ბრბო, „ჯვარს აცვ ეგე!“, ყვირის ეხლა ბრბო.

\*\*\*

აგერ სურათი გულის ამშელი. როგორ დასცინიან მას ფარისევლები. „იქსო ნაზარეველო, მეუფე ურიათა.“ და შევმოსეს მას ძმწეული, და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გვირგვინი. დასცინოდნენ მას, სცემდნენ და ლანძღავდნენ. მძიმე ჯვარი თავისი ხელით უნდა აიტანოს მან გოლგოთაზე. ოკ, რა მძიმეა ჯვარი. ლაზლანდარა ბრბო სიცილ-ხარხარით აცილებს მას. „გიხაროდენ, მეუფე ურიათ!“ – „საბრალონი, შეგინდოთ უფალმან, რამეთუ არა იცით თქვენ რას სჩადიხართ.“

ავედრებდა იგი ცოდვილთა სულებს.

\*\*\*

მესამეჯერ წაიქცა იგი მძიმე ჯვართან ერთად! საშინელია ეგ სურათი ჩემთვის. სიმონ კანანელი მიეშველა მას. ერთად მიაქვთ მძიმე ჯვარი. იქსო ნაზარეველმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და აღმართა იგი გოლგოთაზე.

„მესამეჯერ წაიქცა იგი“, დამდევს მძიმე ვარამი ჭველგან.

„მესამეჯერ წაიქცა იგი“, – მელანდება ჭველგან.

„მესამეჯერ წაიქცა იგი“, – არ მშორდება მე და აღბათ არა-ოდეს მომშორდება.

„მესამეჯერ წაიქცა იგი“, – აღმომხდა გულიდან და საკრებულო ტაძრის კედელს მივეჭრდენი.

„მესამეჯერ წაიქცა იგი“, გამომედევნა ეს მოუშორებელი სიტყა სულის მოსაშხამავად. უნდა მოგშორდე ამ მძიმე სურათს, მინდა გავიდე აქედან. „ჯვარს აცვ ეგე!“, ჩამესმის ხმა... უცბად თვალთ დამიბრელდა...სადღაც გრიალი მოისმა...საკრებულო ტაძარიც სადღაც გამქრალიყა. გულშემზარავი ხმა კი პელავ გაისმოდა: „ჯვარს აცვ ეგე!“

კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს ი რ ი ც ე ლ ი  
-----

რაც ფელა ქართველმა უნდა იცოდეს  
(დასასრული. იხ. №№ 8 და 9)

თუ დანტე „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთს ყოველი სიკეთის დასაწყისად—პრიმატად სახავს, რუსთაველის პოემაში სიკეთე ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ, მოვიგოთ, მოვიხვეჭოთ, დავიპყროთ ბოროტების დამარცხებით. სიკეთე რუსთაველისათვის ნიადაგი კი არ არის, მზამზარეულად ბოძებული, არამედ ბოლო მიზანი, შედეგი გრძელი და ძნელი ბრძოლის. დიონისიეს ციტატას სიკეთის მოძღვრების შესახებ შემთხვევით კი არ იხსენებს ჩვენი მგოსანი. რუსთაველი ამდიდრებს ამ ეთიკას და ცხოვრების ჩე-ალისტური გაგებით თავისუფლდება მისტიკურ-იდეალისტური აზ-როვნებიდან. აქ იგივე უნდა გავიმეორო, რაც „კავკასიონის“ XI ნომერში: „რუსთაველის პოემა არც მოჩვენებითი შეულლებაა გადაწყვეტელი ფილოსოფიური საკითხების, როგორც ეს ნიზამს ახასიათებს, და არც ღმერთისაკენ მისტიური გზის მაჩვენებელი, როგორც ღმერთი გენიოსი ორივე ფეხით მაგრად დგას მიწაზე და არ მიჰყება ფილოსოფიურ მოლექსე ხელოვნებას აღმოსავლეთისას; მაგრამ, მისთვის ისევე უცხოა იმ სახის კავშირი ხორცია და გონიერას შორის, მიწისა და ცის შორის, რომელსაც ასე ბეჯითად ემსახურება იტალიური რენე-სანი. რუსთაველი წინააღმდეგობათა გაერთიანებას კი არ ეძებს, არამედ წინააღმდეგობათა ერთიანობაში მოურიგებლობის მიზეზების გაქარწყლებას, მსოფლიოში ჰარმონიას, კეთილგანწყბილებას და სიმშვენიერეს.“

დანტეს მიერ, იმ დროის იტალიის პოლიტიკურ აფორიაქებულ ხანაში, შექმნილი ნაწარმოები, დღეს მხოლოდ პოეზიაა, და ნიზამი თავის „ლეილამეჯნუნიანში“ თუ საიმქვექნიო ბედნიერებად თვლის და სიკვდილი უკვდავყაფს სიყვარულს, რუსთაველი პირიქით, სიყვარულის უკვდავებას სიცოცხლით აგვირგვინებს, ამქვექნიური ბედნიერებით ალამაზებს და სრულყაფს.

რუსთაველისაგან უხვად გამოყნებას მზისა და მთვარე-პლანეტებისას საფუძვლად უდევს მგოსნის ეს ესთეტიკური გემოვნება. ის სილამაზეს და მშვენიერებას ეტრის და თვით პოემას „ვეფხისტყოსანი“-ს სახელწოდებას იმიტომ აძლევს, რომ

ვეფხი მას მშვენიერ ნადირად მიაჩინია ისე, რომ მშვენიერ დარეჯანის სახედაც კი დაუსახავს და მისი ტყვი ჟაზბად ჩატუ ცვამს ტარიელისთვის, აკი ტარიელი ავთანდილს უბნება: „რომე ვეფხი შევნიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიუარს ტყვი მისი კაბად ჩემად მომინახავს.“

რუსთაველი ცხოვრების არცერთ სამართლიან, მაგრამ იმ დრო ისათვის საშიშ პრობლემის წამოჭვნებას არ გაუჩინის. მისი ცნობილი აფორიზმი: „ლეგვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვალია“ მარტო საზოგადოების პრივილეგიური ნაწილის—მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორულებიანობას კი არ გულისხმობს, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰვონია, არამედ ეს აზრი პლატონისა რუსთაველმა საჭიველთაოდ, ფართოდ დააჭინა, ღრმა ადამიანური საფუძველი მისცა და ჟავლად შემძლე ღმერთიც საბუთად გამოიყნა, როგორც შემქმნელი ორივე სქესისა. უამისოდ ხომ გაუგებარი დარჩებოდა იმ დრისათვის ასეთი გაბედული ეთიკური და პოლიტიკური თავისუფლების იდეა დედაკაცისა და მამაკაცის, რომელსაც გააფორმებით ეწინააღმდეგებოდა საშუალო საუკუნეების, როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური სარწმუნოებები. მარტო ამ მოქალაქეობრივი მოთხოვნილებისათვის უნდა მიენიჭოს რუსთაველს მსოფლიო ჰუმანისტის გვირგვინი.

მეგობრულ-მეზობლური დამოკიდებულებაც ხალხთა შორის და მათი საერთო, თანხმოვანი ბრძოლა სიმართლისა და სამართლიანობისათვის აშკარავდება პოემის სამ გმირში, რომელთა მეგობრობა-ერთგულებაზე დამჭარებულია შოთას ლიტერატურული შედევრი. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ეკუთვნიან სამ სხვადასხვა ხალხს, ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, რაც მათ ხელს არ უშლის გონებრივი და გრძნობიერი ძალები ძმურად გააერთიანონ და საერთო ძალით უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოლონ. რუსთაველმა შეიგნო რა სიჭარულის ძალა, მასზე აღმოცენებული მეგობრობაც ადამიანის საუკეთესო გრძნობათ განავთარა. და მართლაც, განა აჩსებობს მეგობრობაზე ულამაზე-სი და უმშვენიერესი გრძნობა?! მეგობრისადმი სიჭარული, გამტანლობა, ძმადფიცობა—ეს თვისებები მუდამ ასპეტაკებდა ქართველ კაცს და ის სიკეთისა და ბოროტის ბრძოლაში კეთილშობილ, ადამიანურ გზას ადგა, მორალურ განსახიერებას წარმოადგენდა, ხორცს ასხამდა ფაქიზ ზნეობას, გმობდა ბოროტე-

ბის ყოველნაირი სახის გმოვლინებას. ეს, რომ ასე კრიკეტის იქნებოდა გასაგები ქართველის ჰუმანისტობა? მუდმივი უძლიერებელი ბას, სისხლისღრას, ოჯახისა და მამულის დარბევაზაპარტაცებას ნუთუ არ უნდა განევითარებია მათში ზიზღი და მტრობა მათ მიმართ, რომელთაგანაც საქართველოს მოსვენება არ უნახავს?! მაგრამ ქართველი მაინც ჩეხებით მდიდარი, სიკეთის, ძმობის, ერთობის, კაცომფუარეობის, სამართლიანობის, რაინდობის და ზღაპრული სტუმართმოფუარეობის განსახიერება; და, თუ ქართველ ადამიანში თითქმის ყველა საუკეთესო თვისებებს თავი მოუჭირა, ეს ვეზებისტყოსნის სასწაულს მიეწერება, რომელიც მთავარ, უნივერსალურ და უკვდავ იდეას სიყვარულისას ასე მომჯადოებლად უმღერდა და საკაცობრიო მიზანს ეროვნულ სამოსელში გენიალურად ხატვდა.

არწივი ფრინველთა შორის, ქართულ პოეტურ ნაწარმოებებში მიჩნეულია ლამაზ და ძლიერ ფრინველად და როგორ შეიძლება, მის ლამაზ სხეულში მახინჯ აგსულს დაესადგურებიოს?! ესეც ხომ ქართული გემოვნების, ესთეტიკური შემეცნების გამომედავნებაა, როცა ფრინველთა და ცხოველთა მეფეებისაგან ქართული თქმულებები იმასვე თხოულობენ, რასაც ხალხის მეთაურებისაგან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, როცა ბერძნულ მითოლოგიაში არწივი აგსულადა წარმოდგენილი, ქართულში, პირიქით, სიკეთეს ანსახიერებს.

რუსთაველი თავის პოემას მეფის განდიდებით იწყებს:

„იყო არქეოს როსტევან, მეფე ლმრთისაგან სვიანი,  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ქიანი,  
მოსამართლე და მოწყლე, მორქმული, განგვებიანი,  
თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი.“

სიტყვებში: „მეფე“ და „ხელმწიფე“ მწიფე ხელი ჩანს, ყელგან რომ უნდა წვდებოდეს და მის გადაწყვეტილებებშიც საჭირო-თაო ჰუმანიზმის ნიშნებს ვხედავთ: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ჭოველი ობოლი, არას მქონები.“ განა ასეთი მეფისათვის, რომელიც მზრუნველია ქართველთა საერთო კეთილდღეობის, დასაშურია პი-რადი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანაც კი? და მართლაც: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ცათა ჩბიანო“, მებობს პოეტი. ამ აფორიზმით, რუსთაველი სიკვდილზედაც იმ-არჯვებს. სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემა გამოუცნობელი

სფინქსია ადამიანის გონებისათვის და შიშით შეპყრობილს, სენი კვდილის მოახლოების მოლოდინში მთრთოლავს, ვერცხლით შენების მიერ დაწესებული სიბერე და თვით განუკურნებელი სენით ავადმყოფობაც, სიკვდილთან შესარიგებლად ვერ ამშვიდებს. რით შეიძლება სიკვდილის დათრგუნვა, მოგერიება, სიკვდილის, რომელიც: „ვერც გზის სივიწროვე და ვერც მაღალი მთები ვერ იჭირავს და, რომლისგანაც ყოველი სწორდება, სუსტი და ძალგულოვანი, მდიდარი და ღარიბი, ხარბი და გულმოწყვლე? სიკვდილს, ამ ბუნების კანონს, ვერ მოიგერიებთ უსარგებლო ცრემლთა დენით, არამედ მხოლოდ მაღალი იდეალებით, სიყვარულის ულრმესი ძალით, სიცოცხლის ნამდგილი ღირსეული შემეცნებით: „რაღაა იგი სინათლე (სიცოცხლე), რასაცა ახლავს ბნელია“, ანდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.“ განა ამ ადამიანური, ღირსეული სიცოცხლის მოპოვებას სიხარულით და გმირულად არ ეწირებიან დღესაც კაცობრიობის საუკეთესო შვილები?! განა თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეისათვის ბევრს არ მიუტანია პირადი სიცოცხლე მსხვერპლად? ტკბილია სიცოცხლე, მაგრამ რას ნიშნავს მასზე ხელის აღება, სამშობლოსათვის თავგანწირვასთან შედარებით, რომლისადმი სიყვარული გაცილებით ძლიერია, ვიდრე სიცოცხლის წყურვილი და უღირს სიყვარულის მორჩეში ჩახრჩიბას ჩვენი გენიოსი პოეტი მკაცრად სჯის: „ბნედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გვონია, სჯობს სიყვარულსა უჩვენე საქმენი სფრინძია.“

დღეს ქართველებზე გავრცელებულია აზრი და მათში ხედავენ: კეთილშობილს, პატიოსანს, მამაცს, გულუხვს, გამტანს და ამას, ჩვენ უგვირვებინო მეფეს-რუსთაველს უნდა უმაღლოდეთ. ვ. ტუასანი ქართული სულისა და ფიქრის მუსიკაა, უკიდურესად მელოდიური და მარადიული. ეს მას უნდა უმაღლოდეთ, თუ ჩვენ დღემდე მოვალწიეთ როგორც ერმა და მომავალი ხომ თანამედროვეობის დაძლევაში არის მხოლოდ შესაძლებელი. ამასც შევძლებთ, თუ არ დავივიწყბოთ, რომ: „ბედის მორჩილი, მონბაში მოკვდებაო.“, როგორც ამას კლასიკური ქართული ანდაზა ამბობს.

**შენიშვნა:** ეს პატარა მონოგრაფია გულის სიღრმიდან ამოკვნესილი ვეფხისტყოსნის თაჯვანის შედეგად იწერება. იცოდენ საქართველოში, რომ 63 წლის სკომბლოს უნახობაშ ვერ შემუსტა ქართველ გადმოხვეწილთა გულში ზღვადქცეული

გრძნობა სამშობლოს სიუფარულისა და ეს იმიტომ, რომ კულტურული  
ობა ვეფხისტყოსანზე აღზრდილა და დავაუკაცებულ ჭიდულობის

ქართული ემიგრაცია მსხვერპლია სამშობლოში გამეფებული  
უსამართლობის, რომელიც წითელ ქაჯებს ტჰედ ჰყავთ, მაგრამ  
ჩვენ გვწამს რუსთაველის სიბრძნე: „ღმერთი არ გასწირავს  
კაცსა შენგან განაწირსა“ და „ბოროტსა სძლია კეთილმან,—  
არსება მისი გრძელია.“

დავით ვაშაძე

1984 წელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

დიდ ქართველთა გახსენება

კათალიკოსი ამბროსი

7 სექტემბერს 125 წელი შესრულდება ივერიის მართლმადიდე-  
ბელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის, წმინდა მოწამე მამების  
სწორის ამბროსის დაბადებიდან. მართლაც ის დაიბადა 1861 წ.  
7 სექტემბერს, სამეგრელოს ისტორიულ დაბა მარტვილში ზოსი-  
მე ხელაიას ოჯახში და სახელად უწოდეს ბესარიონი.

მომავალი კათალიკოსი განეკუთვნებოდა ილიასა და აკაკის  
მომდევნო თაობას და აღიზარდა სამოციანელთა იდეებზე.  
ბავშვობა და ჭმობა გაატარა სამეგრელოს ერთ-ერთ უმშევენი-  
ერეს მხარეში, მდინარე აბაშის ნაპირებზე, სადაც მისი მშო-  
ბლიური დაბა მარტვილია გაშლილი. შორს არაა ტეხურის თვა-  
ლწარმტაცი ხეობა, ლებარდეს ენით აღუშერელი მოიანეთის მშ-  
ვენიერი კალთები, წაჩიხურის მთავარანგელოზთა მეტვიდმეტე  
საუკუნის ეკლესია, თამაკონის მეთექვსმეტე საუკუნის ციხე,  
აბედათის ციხე-დარბაზი მეთექვსმეტე საუკუნისა, ნოღის ციხე  
მეთექვსმეტე საუკუნისა და სხვა ისტორიული ძეგლები და ად-  
გილები. მაგრამ, მარტვილის სიმაფეა მისი უძველესი ჭურდიდის  
სამონასტრო ანსამბლი, დაარსებული ჯერ კიდევ მეშვიდე საუ-  
კუნეში და მარტვილის დიდებული არქიტექტურული, მეათე სა-  
უკუნის ძეგლი-ეკლესია.

 ჭუნდიდში იყო კათედრა ჭუნდიდელთა სრულიად საქართველოს მწიგნობართუხუცესის სახელისუფლო, რომელიც დიდ როლს თა-მაშობდა გერთიანებულ საქართველოს სამეფოს საქმეებში. ამ-რიგად, არ შეიძლებოდა, რომ ამ დიდებულ მხარეს გავლენა არ მოეხდინა მოზარდზე, მისი სული არ გამსჭვალულიყა წმინ-და ნათლით და მის გონებაზე არ აღბეჭდილიყა წინაპართა სა-ხელი და დიდება და იქნებ ამიტომაც დაადგა იგი ჭუნდიდელთა სახელოვან სასულიერო გზას.

ბესარიონ ხელიამ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინა-რია 1985 წელს და შეუდგა სამღვდელო მოღვაწეობას. 1887-96 წლებში იგი მღვდლობდა სოჭასა და შემდეგ სოხუმში. იმავე დროს, ის იყო სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის სამრევლო სკოლების ზედამხედველი და ქართული ენის მასწავლებელი. სწორედ ამ დროს აღიმაღლა მან ხმა ცარიზმის რუსიურიკატორულ-შოვინისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზებთში. იგი გაბედუ-ლად გამოიიდა პრესაში გონებამახვილური და მამხილებელი წერილებით შავრაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენი იზორვის წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზებს ქართველების სი-ძულვილს უნერგავდნენ და დევნილნენ ქართულ ენას.

თუ თვალს გადავავლებთ ქართულ თვითგამოცემის მასალებს თანამედროვე აფხაზეთის შესახებ, გავითვალისწინებთ იქ მიმ-დინარე ვითარებებს ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობასთან დაკავშირებით, ქართული ენის დევნას, დაუძინებელი მტრის ბი-ნძურ ცდებს ერთმანეთს გადაპჰიდონ ორიათასწლოვანი სისხლხო-რუელი აფხაზი და ქართველი ხალხები და სხვა შემაძრეულ-ბელ მოვლენებსაც გავისიგრძევანებთ, — დაგინახავთ საოცარ მს-გავსებას წითელი ფერისა და შავი ფერის რაზმელთა მოქმედე-ბასა და პოლიტიკას შორის.

1897 წელს ამბროსი შევიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, უკვე ბერად აღკვეილი, 1901 წელს გრამწესეს რაჭაში, ისტორიაში კარგად ცნობილ ჭელი-შის მონასტერში, რომლის არქიმანდრიტი იგი გახლდათ 1904 წლამდე. ჭელისის მონასტერი მდებარეობს მდინარე შარეულას ულამაზეს ხეობაში, დიდებულ ნიკორწმინდიდან სამი კილომეტ-რის მოცილებით. ეს მხარეც, ისევე როგორც ამბროსის მშობ-ლიური მარტვილი, მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ციხე-ეპ-



ლესიებით, ისტორიული აღგილებით, საუცხოო, თავისუფლებული ფლებით, მიმზიდველი ოდა-პალატიანი სახლებით, ტექსტების დორ-სათიბ-საბალახით, მდინარენაკადულ-წყაროებითა და მინერალური ჭყალებით, და, რასაკვირველია, დიდებული მოსახლეობით – რაჭველებით, რომელთაც ისევე მოხიბლეს არქიმანდრიტი ამბროსი, როგორც მასზე უშინაარეს დიდი და სახელოვანი მღვდელთმთავარი გაბრიელი, ეპისკოპოსი სრულიად იმერთა. სიკვდილის წინ ეპისკოპოსმა გაბრიელმა ინატრა რაჭისა და რაჭველთა ნახვა. ვინაიდან ავაღმზუფ-დავრდომილ მოხუცს სიარული აღარ შეეძლო, მისთვის საგანგებოდ შეკრეს ურემი, გააბეს მასში ჰამაგი, რომელში მოათავსეს წმინდა კაცი და გაუყონეს ასე გზას რაჭისაკენ. შემოატარეს ჭელგან, ჭელა მთავარი სოფელი და დაბა, სადაც იყო ეკლესია. ჭელგან იქადაგა, დაემშვიდობა ხალხს, რომელიც მისთვის გულმხურვალედ ლოცულობდა და ცხარე ცრემლებით ეთხოვებოდა 35 წლის მანძილზე მათ მწუმსა და სულიერ მამას. ციცაბო აღმართებში, სადაც ურემი ვერ აღიოდა, გაბრიელი ციმციმით აპულდათ რაჭველ ვაჟკაცებს. ბოლოს გამოატარეს ჭელიშ-ნიკორწმინდის სანახები და ნაქერალის უღელტეხილის გადავლით დაბრუნდნენ ჭუთაისს. ამის შემდეგ სულ ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა ეპისკოპოსი გაბრიელი და დაკრძალეს დიდებულ გელათის ტაძარში.

განვლო სულ ხუთმა წელმა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებიდან და რაჭის მოევლინა სს ვა სულმნათი ადამიანი–არქიმანდრიტი ამბროსი, რომელიც მაშინ 40 წლისა იყო. ოთხი წლის განმავლობაში მან ხალხის უსაზღვრო პატივისცემა და სიყარული დაიმსახურა. იგი გახლდათ ბრძენი მრჩეველი და მომრიგებელი, დამხმარე და ხელის აღმძყობი მშრომელი ხალხისა. იგი იყო მსაჯული და მოჭირნახულე ჭელასი, განურჩევლად და მიუდგომლად. მის სიტყვას არავინ გადავიდოდა, თავმდაბლად შეიწყარებდნენ, დაუჯერებდნენ და უდრტვინველად მიიღებდნენ.

მამა ამბროსი განსწავლული ბერი გახლდათ, დაკვირვებული და გამჭრიახი ეთნოგრაფი. მან შემოიარა მთელი რაჭა-ლეჩხუმი, შეკრიბა ხალხური საუნჯის მარგალიტები, ხალხური სამართლის ნიმუშები, დამუშავა და დაბეჭდა მისი ცნობილი შრომა: „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.“ საერთოდ მამა მმართო

იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს და ქართულ და რუსულ პრესაში აქვექვებდა წერილებს „ამბერის“ ფსევდონიმზე; ადვილი მისახვედრია, რომ „ამბერი“ გახსნით ნიშნავს: ამბროსი ბერს.

ჭელიშვილი ყოფნისას მამა ამბროსიმ აღმოაჩინა უძვირფასესი ისტორიული ძეგლი, ეგრეთ წოდებული „მოქცევაი ქართლისაი“ -ს ჭელიშვრი ვარიანტი, რომლის შესახებ 1907 წელს მოხსენება წაიკითხა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე, ხოლო 1911 წელს ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა თბილისში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მანამდე „მოქცევაი ქართლისაი“-ს ერთადერთი ვარიანტი-შატბერდის მოგვეპოვებოდა, მაშინ დავრწმუნდებით და ვიგრძნობთ თუ რა ძვირფასი ძეგლი შესძინა ნეტარხსენებულმა ამბროსიმ საქართველოს ისტორიას საზოგადოდ და საეკლესიო მატიანესა და წყარომცოდნეობას კერძოდ.

მე მსურს მოგითხროთ ამბავი მამა ამბროსის მიერ ამ იშვიათი ძეგლის პოვნისა:

ერთ მშვენიერ დღეს არქიმანდრიტი ამბროსი ბოლთას სცემდა მონასტრის ეზოში. მისი ნათელი სახე მზრუნველ ფიქრს მოეცვა ხელთ ჰქონდა კრიალოსანი და მისი დამარცვლით იქცევდა თავს. დააბიჯებდა დინჯად, აუჩქარებლად. ერთ მომენტში მას მოეჩენა, რომ ეზოს ცენტრალურ ნაწილში იმ აღვილას, რომლის ახლოს ასწლოვანი ვეებერთელა, ტოტებგაშლილი კაქლის ხე იდგა, მიწა არ გამოსცემდა ჩვეულებრივ ჭრუხმას, არამედ სიცალიერის ექოს. დაიწყო იმ აღვილას ფეხების ცემა და სიცალიერის ხმა უფრო საცნაური გახდა. ამბროსიმ ანაფორა აიკეცა, ჩაიჩოქა და ახლა მუშტის ცემა დაიწყო მიწაზე, თანაც ჭურს მიუპყობდა ხოლმე. შემდეგ მოთელი ტანით გაწვა მიწაზე და კვლავ იმეორებდა მუშტის ცემასა და მიუყრადებას. ამას თვალი მოჰკრეს სენაკებში მყოფმა ბერებმა და ძალიან გაუკვირდათ და თანაც შეწუხდნენ: რა დაემართა ჩვენს წინამდლვარსო. მამა ამბროსიმ მოიხმო ისინი, აუწყო რაში იყო საქმე, თანაც თხოვა მოეტანათ ბარი და წალკატი. იწყს მიწის ფრთხილი თხრა. ცოტა ხანმა განვლო და გამოჩნდა ყლდამის კარი. გახსნეს. შევიდა შიგ ამბროსი და რას ხედავს: ასვენია ჩინჩხი, აღბათ ამ მონასტრის ერთ-ერთი სახელოვანი წინამდლვრისა, რომლის სახელი მხოლოდ ღმერთმა

იცდა, და მის თავის ქალასთან კი იდო ტყავის ჰდეჭურუჭულებ  
მული, ტყავზე ნაწერი წიგნი. ეს გახლდათ „მოქცევის უფასოდადება  
ისაი“ მეცამეტე საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერი!

მონასტრის ქვემოთ ბერებს პქნდათ დიდი აუზი, რომელიც  
ყველთვის სავსე იყო სახელგანთქმული შაორის კალმახით, ხო-  
ლო აუზის მიღმა საკმაო ფართო არეზე, გადმოცემით დაკრძა-  
ლულია სხვადასხვა დროს გარდაცვლილი სამასი ბერი. ამბრო-  
სის დროს საფლავები კარგად ჩანდნენ. ის ქართველ საზოგა-  
დოებრიობას გულმხურვალედ მოუწოდებდა ეწარმოებინათ ჭე-  
ლიშის ამ უძველესი პანთეონის არქეოლოგიური შესწავლა, მა-  
გრამ მისი ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ჭელიშიდან მამა ამბროსი 1904 წელს გადაიჭანეს თბილი-  
სში სინოდის კანტორის წევრად და ფერიცვალების მონასტრის  
წინამდღვრად. მან იწყო აქტიური საქმიანობა და ბრძოლა სა-  
ქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რაც მას  
არ აპატიეს და 1905 წელს რუსეთში გადასახლეს. 1908 წელს  
მას კიდევ ახალი ბრალდება წაუყნეს: თითქოს მონაწილეობა  
მიეღოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში. 1910 წელს როგორ-  
ლაც გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება  
მაინც არ მისცეს. ის მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევო-  
ლუციის შემდეგ განთავისუფლდა და იმავე წლის ზაფხულის  
მიწურულს საქართველოში დაბრუნდა. ის ჯერ თავის მშობლი-  
ურ ჭყნდიდში მსახურობდა მიტროპოლიტის ხარისხით და შე-  
მდეგ კი ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტად 1921 წლამდე, ამ  
წელს კი იგი აირჩიეს სრულიად საქართველოს მართლმადიდე-  
ბლური ეკლესიის საჭეთმცყობლად, როგორც კათალიკოს-პატ-  
რიარქი.

თუ ნეტარხსენებული ამბროსი თავგამოდებით იბრძოდა მე-  
ფის რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ და  
საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსაღენად, მან  
აგრეთვე თავისი კვერთხი აღმართა ბოლშევკური რუსეთის  
წინააღმდეგაც. 1922 წლის 7 აპრილის თარიღით, საქართველოს  
დაპყობიდან ერთი წლის თავზე პატრიარქა ამბროსიმ ეპის-  
ტოლე, ანუ ოფიციალური მემორანდუმი გაუგზავნა გენუის სა-  
ერთაშორისო კონფერენციას, რომელსაც საბჭოთა რუსეთის  
წარმომადგენელიც ესწრებოდა. თავის ეპოსტოლეში ამბროსიმ  
წამოაყნა ორი მთავარი მოთხოვნილება: I. დაუყოვნებლივ

გაფანილი იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთში უფრო უფრო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა ამ უკანას ხოელთა თარეში და მძლავრება-მოტაცებისაგან. და **II.** სა-შუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანე-ბლად და უკარნახოდ მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზეჩევე-ულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

და ბოლოს, კათალიკოსი ამბროსი ამ ეპისტოლეში ბრძანებს: სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივებმული კონფერენცია არ უგულებელყოს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცვი-ნო კლანჭებისაგანო.

ეს ისტორიული ოკუმენტი შეტანილია ინგლისურ ენაზე პა-რიზში 1953 წელს გამოცემულ მინისტრ კონსტანტინე კანდე-ლაგის წიგნში: „ქართული საკითხი თავისუფალ მსოფლიოს წინაშე“, რომელიც „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგე-ნის ამერიკულმა საბჭომ“ დაუგზავნა შეერთებული შტატების უნივერსიტეტებს, ბიბლიოთეკებსა და ორგანიზაციებს და მათ შორის რამდენიმე ცალი გადასცა ამერიკის შეერთებული შტ-ატების კონგრესს. 1975 წ. 13 მარტს ეს ეპისტოლე კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ თავის პერიოდულ კრებულში შე-იტანა ლუიზიანის შტატის წარმომადგენლის კონგრესმან ჯო ვაგონერის თაოსნობით და შესავალი სიტყვით, რომლითაც მან მიმართა წარმომადგენელთა პალატას. იმავე წლის მაისში კა-თალიკოს ამბროსის ეპისტოლე, კონგრესმან ვაგონერის შესავა-ლი სიტყვით, დაბეჭდა ყაველთვიურმა უკრნალმა „ისტ იუროპ“-მა (აღმოსავლეთი ევროპა) ნიუ-იორკში, და, მეგვარად, უფრო ფართოდ გატაცელდა ინგლისურენოვან მკითხველთა შორის.

კონგრესმანი ვაგონერი აღნიშნავდა, რომ პატრიარქ ამბრო-სის მიმართვა დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორადაც იყა-ის 1922 წელს, არა მარტო ქართველი ერისათვის, არამედ ჯე-ლი ერისათვის, ვინც მიისწრაფის თავისუფლებისა და ეროვნუ-ლი დმოუკიდებლობისაკენ. კონგრესმანი ვაგონერი მიუთი-თებს უდიდეს გამბედაობაზე, რომელიც კათალიკოსმა ამბროს-იმ გამოიჩინა, ყავლადძლიერი „ჩეკა“-ს მკაცრი კონტროლის

მიუხედავად კათალიკოსი ამბროსი დაპატიმრეს და დარღვეული სტანჯავდენ ციხეში, სადაც მისი ჩეკისტ ჯალათების მიზნი მარად დაუვიწყარია: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული-საქართველოს და ლეში საჯიჯნად თქვენ გქონდეთო.“

თვით ქართულ საბჭ. ენციკლოპედიაშიც კი აღიარებულია: „საქ.-ს სახელმწიფოებრივი წყაბის საკითხში ამბროსი ანტი-საბჭოთა თვალსაზრისის იდგა“-ო. მრავალტანჯული დიდი მოწმე კათალიკოსი ამბროსი გარდაიცვალა 1927 წლის 29 მარტს და დაკრძალულია სიონის ტაძარში.

საუკუნო იყოს ხესნები მისი აწ და მარადის და უკუნი-თი უკუნისამდე. ამინ.

### თელო რაჭველიშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ბ ა ს კ ე ბ ი

---

არ ვიცით ბოლოს და ბოლოს თუ ბასკები მართლაც ქართვე-ლების სისხლით და ხორცით ნათესავი ხალხია, როგორც ამას ბევრი სერიოზული ენათმეცნიერი ამტკიცებდა და ამტკიცებს, მაგრამ უცნაური პარალელური დამთხვევები კი გვაქვს ამ ორ ხალხს. ქართველებიცა და ბასკებიც მცირერიცხოვანი არიან; (ესპანეთსა და საფრანგეთში სულ 2,1 მილიონ ბასკს ანგარი-შობენ, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში შემავალ საქართველო-ში 3,5 მილიონი ქართველია.) ქართველ ხალხს ქვეწად სხვა ნათესავი ხალხი არ გააჩნია, ბასკებიც მარტონი არიან დასა-ვლეთ ევროპაში ინდოევროპულ ზღვა ხალხებით გარშემორტჟ მული. ერთსაცა და მეორესაც ჯიშის გადასარჩენად მაღალ მთებისთვის შეუფარებია თავი: ქართველებს ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთით, კავკასიონის გადუღახავ მთებისთვის, ბასკთა წინაპრებს, პირიქით, ამ ზღვის უკიდურეს დასავლე-ით, პირინეების საშუალო სიმაღლის მთებისათვის. ბასკები ისევე უდეველესი ხალხია ევროპის კონტინენტზე, როგორც ქა-რთველები ახლო-აღმოსავლეთ-წინა აზიაში. რომაელები, არ ვიცით რატომ, ბასკების წინაპარსაც იბერს უწოდებდენ და

ჩვენს, ქართველთა წინაპარსაც. რომაელთა ასეთი მომცემული ეჭილნობოდა ჩაიმე სერიოზულ ცნობას თუ უბრალოდ შემოგვიანებული აღრევის შედეგი, აი საკითხი, რომელსაც ჯორ კიდევ სერიოზული კვლევა-ძიება ესაჭიროება. წერილობით შემოვვრჩა საბუთები, რომლებიც ღაღადებენ, რომ საშუალო საუკუნოებში ქართველი ბერები პირინეებისაკენ მიეშურებოდენ, რათა იქ ეცხოვრათ უკეთეს ქართველთა შორის. ძიება ჩვენი ორი ხალხის ურთიერთობაზე განსაკუთრებით ფართოდ და მეცნიერულ ნიადაგზე გაიშალა ამ უკანასკნელ ას წელიწალში. საკითხმა ნათესაობისა არაჩვეულებრივად წინ წაიწია, თუმცა აღფრთოვანებებს ხშირად ცვლიდა იმედის გაცრუება. რაც არ უნდა მოხდეს ნათესაობის კვლევა-ძიების მეცნიერულ დასკვნებში, ჩვენ ვვონია, რომ ჩვენი ნათესაობის მითი მაინც სათუთად უნდა შევინახოთ და ყაველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ ბასკებისა და ქართველების ურთიერთ უკეთ გაცნობასა, დაახლოებასა და დამეგობრებას. სწორედ ამას ემსახურება ეს ჩვენი კნინი ეტიუდი.

*Ce petit peuple qui chante et qui danse au pied des Pyrenees* (ეს პატარა ხალხი, რომელიც მღერისა და ცეკვავს პირინეების ფეხთან) – ბრძანებდა დიდი ვოლტერი ბასკების შესახებ, და ეს კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ბასკთა და ქართველთა ხასიათების მსგავსებისა. ეს ხასიათი კარგად შენიშნა და აღმასრიდა ქართველმა ხელოვანმა ოთარ იოსელიანმა, მის მიერ საფრანგეთის ბასკებში გადაღებულ კინო-ფილმში.

### ბასკების ბიოლოგიური თავისებურება

ბასკები არა მარტო ენითა და ხასიათით განსხვავდებიან, ესპანეთისა და საფრანგეთში მცხოვრებ სხვა ხალხებისაგან, არამედ, როგორც ახლა იჩკვევა, ბიოლოგიური მონაცემებითაც. გამოჩენილი ფრანგი ემატოლოგის პროფესორები: უაკ რუფიე და უან ბერნარი, მათ მონუმენტურ შრომაში: *Hematologie geographique* ამტკიცებენ, რომ ბასკთა სისხლი ხასიათდება „O“ ჯგუფის სიხშირით და „B“ ჯგუფის იშვიათობით. ბასკური ბიოლოგიური ტიპი გვხვდება პირინეების ქედის მთელ სიგრძეზე და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში. მათ მიხედვით, ბასკური ტიპი უკეთაა შემონახული პირინეების ჩრდილოეთით,



ვიდრე სამხრეთით და საერთოდ, მიუხედავად მრავალი დაღი ვრებისა, ბასკური სისხლი დარჩა შეურეველი. სისტემის ბრინჯაოს ხანაში მთელი დასავლეთი ევროპა უკავიათ ლიგი-ურებს, რომელთაც პროტო-კელტებსაც უწოდებენ. რკინის ხანის დასაწყაში პროტო-კელტები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოდიან, აძლიერებენ ბრაშისეფალებს, რომლებიც, თავის მხრვე, პირინეების ქვეშ დაბლობებზე ცხოვრობდენ მათ მოსვლამდე. ეს ცივილიზაცია ცოტათი აღწევს პირინეების ხეობებში. ისინი სახლდებიან დაბლობებში და იქ მკვიდრობენ რომაელების მოსვლამდე.

მერქვეს საუკუნეში ქრისტეს წინ ადგილი აქვს კელტების პირველ მიგრაციას, გალები იკავებენ ვაკეებს. მეხუთე საუკუნეში ქ.წ. იბერები, ხმელთაშუა ზღვის ხალხი, დოლისეფალები, რომლებიც სამხრეთიდან მოდიან გადაულიან პირინეებს. მეოთხე საუკუნეში კიდევ ახალი ხალხის ინვაზია, ამჯერად ვოლკები სახლდებიან დასავლეთ ლანგედოკში. 120-115 წლები ქ.წ. მათ დაიმორჩილებენ რომაელები. 72 წელს ქ.წ. რომის პროკონსული კრასიუს პომპე აგარცხებს აჯანყბულ რომაელ გენერალ სერტორიუსს და დატჟვევებულ ჯარისკაცებს ასახლებს ერთად და ქმნის რამდენიმე რომაულ კოლონიას. რომაელთა მცყორბელობა არ ცვლის პირინეების ეთნიურ შემადგენლობას.

რომაელების შემდეგ ესპანეთსა და პირინეებს დალაშქრავენ ვანდალები (409 წ.) და შემდეგ კი ვიზიგოტები, რომლებიც დოლისეფალები არიან და ქერები. ბასკებზე ვერც ესენი ახდენენ გავლენას და მათზე უფრო გვიან, ვერც სარაცინები.

### ფრანკებსა და კასტილიელებს შორის

„ვერც საფრანგეთმა და ვერც ესპანეთმა ვერ შეძლეს ბასკთა ჯგუფის დაშლა ოთხი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში და ის ჯერ კიდევ მოჩანს, როგორც კრატერი ტბის ქვეშ“ - წერდა საფრანგეთის დიდი პოეტი ვიქტორ ჰიუგო, რომელმაც ერთი საუკუნის წინ იმოგზაურა პირინეებსა და ბასკთა მხარეში. მისი დაკვირვება „ბასკთა მატერიალურ ოჯახზე“ და გამოტანილი დასკვნა დღესაც უთუოდ ძალაშია.

ესპერენტში ოთხი პროვინცია ბასკების, საფრანგეთში-სამი. პირინეების გადაღმა, ესპანეთში „ვასკოგანდას“ პროვინციებ-

ია: ბისკაია (დედაქალაქი ბილბაო), ალაგა (დედაქალაქი გრანადა)  
რია), გიპუზკუა (დ.კ.: სენ-სებასტიანი), ნავარი (დ.კ.: უნანიშნიშვილი). სულ 28.000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 1,9  
მილიონი მცხოვრებით. საფრანგეთის ბასკების ქვეყანა იმყოფება  
ატლანტიკის პირინეების დეპარტამენტში, მას საზღვრავს  
ოლორნისა და ალურის მდინარეები და შეიცავს შემდეგ კუ-  
თხეებს: ლაბურდიკანტონებით: უსტარიც, ბაიონ, ნახევარი გა-  
სკონია, ბიარიელი, სენ-ჟან-დე-ლიუზ), ქვემო ნავარი (სენ-ჟან-  
პიე-დე-პორ, სენ-ეტიენ-დე-ბაგორი), და სულ(მოლეონ-ლიშარელ).  
საფრანგეთის ბასკების ქვეყანაში სულ ცხოვრობს 200.000 სუ-  
ლი 3.000 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე.

ესპანეთში ბასკური ენა უკან-უკანი იწევს იმდენად, რომ  
ენობრივი საზღვრები აღარ მისდევენ ბასკური პროვინციების  
ისტორიულ საზღვრებს. საშუალო საუკუნეებში ბასკურ ენაზე  
ლაპარაკობდენ ჭ. ბურგოსის მისაფგომებამდე. დღეს კი მხო-  
ლოდ ნიშნებიღა არსებობენ ალაგასა და ნავარის პროვინციე-  
ბში. ესპანეთის 500.000 ბასკოფონები იმყოფებიან ბისკაიში  
(რომლის დედაქალაქი ბილბაო ისპანოფონია) და გიპუზკუაში  
(სადაც ბასკურად მოლაპარაკე მცხოვრებთა 40 პროცენტია).  
საფრანგეთის ბასკეთში კი კანტონების მიხედვით საშუალოდ  
მცხოვრებთა მხოლოდ 20-30 პროცენტი თუ ლაპარაკობს ბას-  
კურ ენაზე. მეოცე საუკუნის დამდეგიდან საფრანგეთში ბას-  
კები გეოგრაფიულად მყარ გარემოში ცხოვრობენ, მაგრამ მა-  
ინც ბასკურად მოლაპარაკეთა რიცხვი საფრანგეთში 40.000  
არ აღემატება.

როგორც გაკვრით აღვნიშნეთ, ლინგვისტებს ბასკური ენის  
ძიება ჯერ არ დაუმთავრებიათ. არის ორი მთავარი შეხედულ-  
ობა: 1. უპირატესობას აღევს ბასკურისა და ქამიტური ენე-  
ბის ნათესაობას. ბიბლიურ ნოეს ვაჟის კამის შთამომავლებად  
თვლიან: ლიბიელებს, ეთიოპიელებს და ბერბერებს.  
და 2. ამტკიცებენ ბასკურისა და კაგვასიური ენების, კერძოდ  
ქართველური ენების ნათესაობას. ამ უკანასკნელი თეზისის კა-  
ლაზე ცნობილი წარმომადგენერალია საფრანგეთში უორჟ დიუმე-  
ზილი და იუ აშ განსვენებული პროფ. რენე ლაფონი.

ბასკური ენა რამდენიმე დიალექტისაგან შედგება. ესპანეთ-  
ში ლიტერატურულ ბასკურ ენად ითვლება ბისკაიური და გი-

პუზკური დიალექტები; რაც შეეხება ალავურსა და კუნძულურს, ისინი უკვე ცოცხალ-მკვდრები არიან.

საფრანგეთში არჩევენ ლაბურდულს, ქვემო ნავარულს და სულეტურს ბასკურ დიალექტებს. 1940 წლისათვის იქნა შემუშავებული ლიტერატურული ბასკური—ნავარულ-ლაბურდული ენა, ხოლო 1960 - 70 წლებში ის შეცვალა გაერთიანებულმა ბასკურმა ენამ (ბასკურად: *տսკარა ბატიუა*), რომელიც ძირითადად მიუვება ლაბურდულ დიალექტს და შეიცავს ჯელა სხვა პროგნიციების დიალექტების ელემენტებსაც. ამ ახალი ერთიანი ბასკური იღიობის შემქმნელები სეპარატისტული იდეოლოგიით ხელმძღვანელობდენ. ბასკი ტრადიციონალისტები მას არ ღებულობენ, რადგანაც მას თვლიან ხელოვნურ, ერთფეროვან, არა-ცოცხალ ენად.

პირველი ბასკური ტექსტი XVI საუკუნით თარიღდება. ქვემო ნავარის ერთმა ბერმა-ბერნარ დეშეპას—1545 წელს გამოსცა რელიგიური და საერო ხასიათის პოეზიის კრებული:

*Linguae Vasconum Primitiae*, ხოლო ახალი აღთქმა ბასკურად ითარგმნა 1571 წელს, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნემდე ბასკური ლიტერატურა ფოლკლორული ხასიათისა (ზღაპრები, ანდაზები, სიმღერები, თეატრი), ანდა რელიგიური (პოლოგეტური ან მორალური ხასიათის ნაწარმოებები). გასულ საუკუნეში განსაკუთრებით განვითარდა ლირიკული პოეზია, რომელიც რომანთან ერთად დღესაც წარმოადგენს ბასკი მწერლების რჩეულ დარგს.

ბასკური ენის სათავეებს მივყავართ თვით ბასკი ხალხის ეთნოლოგიურ ფესვებამდე. საყვალთაოდ მიღებულია, რომ ბასკები შთამომავლები უნდა იყენ იბერების, რომლებიც ინდო-ევროპეელებზე უწინარეს ცხოვრობდენ პირინების მთებსა და მის მიმდებარე კალთებსა და გავაკებებზე. ინდო-ევროპელთა შემოსვებმა ბასკები წალეკეს ვაკეებიდან, მაგრამ მთებში, დღევანდელ ბასკურ სამშობლოში, ისინი არ გაჩერებულან, ან ფეხი ვერ მოიკიდეს.

რომაელები რამდენიმე ხალხს არჩევდენ დღევანდელ ბასკთა ქვეყანაში: დღევანდელი ნავარის ტერიტორიაზე— ვასკონებს, რომლიდანაც შემდეგ წარმოსდგა ბასკი—ბასკები და გასკონებს. რომაელთა კოლონიზაციამ ამ ხალხებს დაღი ვერ დაა-

\*\*\*\*\*  
სვა. მათ შემდეგ კი ბასკებმა განიცადეს ვიზიგოტების დროის ფრანკების დაპყობები, რომლებსაც ისინი ხშირად უჯრდებოდნენ. როცა არაბები იბერიის ნახევარ კუნძულზე გადასხდებიან და მოიკალათებენ, მაშინ პამპელუნი წარმოადგენს წინა-აღმდეგობის მთავარ ცენტრს და აქედან იღებს სათავეს ნავარის სამეფო.

**939** წელს ისპანური სამეფოების კოალიცია: გალიციის, ნავარის და კასტილიის, იმარჯვებს მაკმადიანებზე. ნავარიის მეფე სანჩიეს დიდი თავის ძლაუფლებას ავრცელებს გასკონიდან არაგონამდე და კასტილიამდე, მაგრამ ბასკების ქვეყანა ამ გაერთიანებაში რჩება იზოლირებული და ქრისტიანობა იქ გვიან, მხოლოდ მეთე საუკუნეში ვრცელდება. სა-შუალო საუკუნეებში ბასკთა ქვეყანა წარმოადგენს კასტილიისა და ნავარიის სამეფოთა ცილობის საგანს. ლე გიპუსკუა განიცდის ხან ერთისა და ხან მეორის დაპყობას.

**1485** წელში ქორწინების გზით ნავარი ხდება ფრანგული ალბერტის გვარის საკუთრება. **1512** წელში მეფე ფერდინანდი შეესვეა პროვინცია და საქმე გადაწყვება მხოლოდ **1530** წელს, როცა შარლ-კინი ნავარს შეუერთებს კასტილიის სამეფოს, ხოლო ქვემო ნავარს დათმობს საფრანგეთის სასარგებლოდ. როცა ინგლისის მეფეები აკიტენის დუკები გახდენ, მაშინ სულისა და ლაბურდის ვიკონტები ხდებიან მათი ხელშევითი. (ბაიონი და მოლნი დიდხანს დარჩებიან ინგლისის დასაყიდენი სიმაგრეები). ინგლისის სამეფოს ბატონობა ბასკების ამ პროვინციებზე წყდება მეთხუთმეტე საუკუნის შუაში დაახლოებით: ლა სულ შეიერთებს საფრანგეთის სამეფო **1510** წელს და სულ ცოტა ხნის შემდეგ ლაბურდსაც. **1555** წელს ბურბონების დინასტია მემკვიდრეობად მიიღებს ნავარის სამეფოს და ანრიIV პირველი მეფე იყო ნავარისა და საფრანგეთისა. ამის შემდეგ საზღვარი ესპანეთისა და საფრანგეთის სამეფოებს შორის აღარ შეცვლილია და ბასკური პროვინციებიც მყარ გარემოში ცხოვრობენ: უმეტესი ნაწილი ესპანეთში, უმცირესი კი საფრანგეთში.

მეთერამეტე საუკუნეში ბასკთა პროვინციები, როგორც ესპანეთში, ისე საფრანგეთში იძენენ „განსაკუთრებულობის“ უფლებებს, რაც შედეგი იყო მათი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა. ისინი სარგებლობენ ფართო ავტონომიით, რაც გარანტირებული, იყო დაწერილი ჩვეულებებით: ესპანეთში *Les Fueros*

(ფიურეროს) და საფრანგეთში *les FORS* (ფორ). ამ წესტევები ბის თანახმად, ესპანეთში ალავა-სა და გიპუზკუა-სა და ბრიონი რჯახი წელიწადში იწვევდენ მოსახლეობის საერთო კრებას, რომელიც იღებდა საზოგადო ხასიათის დაღვენილებებსა და ლონისძიებებს. ბისკაის საკრებულო კი იკრიბებოდა ყველ ორ წელიწადში, განთქმული მუხის-გერნიკას ქვეშ.

საფრანგეთში ბასკთა ავტონომიური უფლებები შემდეგნაირად ხორციელდებოდა: სულის ვიკონტეში წესტევეულებათა ტექსტი შემუშავებული იყო ჯერ კიდევ **1520** წელს მეფე ფრანსუა I-ის ბრძანებით, რომელიც შემდეგ მიიღო და დაამტკიცა ქვეჭის საერთო კრებამ და, რომლის მიხედვითაც, თავადაზნაურთა და საეკლესიო პირთა კრება, რომელსაც „გრან კორ“ ეწოდებოდა, და პროვინციის ყველა გლეხთა საკრებულო, რომელსაც „სილვიეტ“ ეწოდებოდა, წელიწადში ერთხელ იკრიბებოდენ ერთად, რასაც კურ დორდრ (წესრიგის სასამართლო) ეწოდებოდა. ეს საკრებულო მართავდა პროვინციას, აწესებდა გადასახადებს, აწესებდა საზღვანის ესპანეთთან, განაგებდა გზებსა და ხიდებს და სხვა სახ ელმწიფოებრივ საქმიანობას. **1730** წელს სილვიეტი შეცვალა არჩეულ დეპუტატთა საკრებულომ, მაგრამ ვიკონტე ინარჩუნებდა ყველა მისთვის არსებულ განსაკუთრებულ უფლებებს. ლაბურდის პროვინციაში ყველა ოჯახების უფროსები ირჩევდენ ეგრეთ წოდებულ შიურატ-ს, რომელთა კრებას ბილკარს უწოდებდენ და ასრულებდა იგივე მოვალეობას, რასაც სულის ვიკონტეს კურ-დორდრი. ქვემო ნავარის პროვინციასაც ასევე გააჩნდა თავისი საკრებულო, რომელსაც „ეტა“-ს უწოდებდნ, რომელიც აგრეთვე ფინანსიურ ფტონომიას ახორციელებდა პროვინციისას და ამავე დროს თვალშურს ადევნებდა ლე-ფორით გრაზღვრულ განსაკუთრებულ უფლებების დაცვას.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ უეცრად და უხეშად ბოლო მოუღო საუკუნოების განმავლობაში ნაგებ ამ სახელმწიფოებრივ ნაგებობას ბასკთა ქვეჭისა. **4** აგვისტოს ღამით ბასკთა დეპუტატების კრება უქმებს ბასკთა პროვინციებისაოვის მინიჭებულ ლე-ფორის პრივილეგიებს. ამის შემდეგ ყველა ბასკურ პროვინციებს თავი მოუყრეს ბეარნში და შეიქმნა ერთი ფრანგული დეპარტამენტი „ქვემო პირინეების“ სახელწოდებით. დიდ ტრადიციების მიმდევარ მხარეში, საღაც კათოლი-

ციზმი ღრმად იყო ფეხმოქიდებული, რევოლუცია ძალიან შეტრიტა-  
ლად იქნა მიღებული. მეცე ლიუდოვიკ XVI მკვლევრზე მოგრძელდა  
მად დაამწუხარა საფრანგეთის ბასკთა ქვეყნა. ის მღვდლები,  
რომლებიც პატივს არ სცემდენ რესპუბლიკის კონსტიტუციის,  
იუდენ ლეგიონები. 1795 წელს, სარის, იტესასუს და ასკენის  
ძომუნების მთელი მოსახლეობა **4.000** სული აჭირილი და დაპა-  
ტიმრებული იქნა კოლექტიურად, მათი კონტრევოლუციონერობ-  
ისა გამო. რევოლუციამ საფრანგეთის ბასკებს თავისუფლების  
მაგივრად დევნა-სიკვდილი-ცრემლი მოუტანა.

საფრანგეთის რევოლუციის მსაგავსი შედეგები ხვდათ წი-  
ლად ესპანეთის ბასკებსაც, მაგრამ აქ ბასკებმა საწინააღმდე-  
ვო პოზიცია აიღეს, საფრანგეთში მცხოვრებ ბასკებისა. ესპა-  
ნეთში მათ ბურბონების დინასტიის წინააღმდევ კარლიზმი  
აირჩიეს. ესპანეთის მეფემ ფერდინანდVII -მ ფილიპ V -ის მი-  
ერ მფრიდში დაწესებული სალიური მეფობის წესი დაარღვია  
და მისი ქალიშვილი იზაბელა ტატრის მემკვიდრედ გამოაცხა-  
და, მისი ძმის დონ კარლოსის წინააღმდევ. 1833 წელს, რო-  
ცა ფერდინანდი გარდაიცვალა, დონ კარლოსმა თავი ესპანე-  
თის მეფედ გამოაცხადა დონ კარლოსV -ის სახელწოდებით და  
მის ძმიშვილს იზაბელ II ომი გამოუცხადა. ეს ომი შვიდი  
წელი გაგრძელდა, ბასკების პროვინციებმა ერთთავად მხარი  
დაუჭირეს დონ კარლოსს, რომლის მხარეზედაც თავს ისახელებს  
ბასკი გენერალი ჰიუმალაკარეგი, მაგრამ დონ კარლოსი, და  
მასთან ერთად ბასკებიც, დამარცხდა.

1846 წელში ისევ იფეთქა სამოქალაქო ომმა ესპანეთში. ამ  
დროს ესპანეთის ტახტს ჩემობდა დონ კარლოს-V -ის ვაჟიშვი-  
ლი, რომელმაც თავი გამოაცხადა დონ კარლოს-VI -დ. აქაც,  
მას მხარს უჭერდენ ბასკები და ისევ დამარცხდენ.  
უკანასკნელი დინასტიური ომი მოხდა 1873-76 წლებში, რომ-  
ლის დროსაც კარლიზმის დროშა ააფრიალა წინა დონ კარლო-  
სის ძმიშვილმა დონ კარლოს-VII -ს სახელით და, რომელიც  
ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკულად მეფობდა ბასკების ქვე-  
ყანაში, სადაც მან შექმნა საკუთარი ბასკური აღმინისტრა-  
ცია. კარლიზმი მარტო დინასტიური ბრძოლა კი არ იყო, არა-  
მედ ის გამოხატავდა განსხვავებულ პოლიტიკას. მაშინ, როცა  
მაღრიდში განმტკიცდა ლიბერალური და საპარლამენტო მონა-

რქია, კარლიზმი ერთგული დარჩა ძველი კათოლიკური ეკლესია  
ციების და ის ძალაში სტოვებდა ბასკებისათვის ეჭიშებოდა მართლი  
ბულ ფილეროსს, ე.ი. თანამედროვე პოლიტიკური ენით რომ  
ვთქვათ, კარლიზმი ბასკებს ძევებურად ავტონომიურ უფლე-  
ბებს ანიჭებდა ესპანეთის სამეფოში, რაც ბასკებს იზიდავდა  
განსაკუთრებით და ამიტომაც იყო, რომ კარლიზმმა ისეთი მხუ-  
რვალე მხარდაჭერა მოიპოვა ბასკთა შორის.

**1876** წლის დამარცხებამ ბასკებს მოუტანა მათი განსაკუთ-  
რებულობის სტატუსის გაუქმება, მათი აღმინისტრატიული და  
საგადასახადო ავტონომიის მოსპობა და ბასკთა პროვინციები  
ორგანიულად შეუერთდა დანარჩენ ესპანეთის პროვინციებს.

### სახლი – კერა

მთელი მეცხრამეტე საუკუნე მყაცრი სოციოლოგიური ხანაა  
ბასკებისათვის, როგორც ესპანეთის, ისე საფრანგეთის მხარეზე.  
ტრადიციულად ბასკთა საზოგადოება მეტად მყაცრი იყო. იგი  
შესდგებოდა მხოლოდ სოფლის მეურნეობაგან: მიწათმოქმედები-  
სა და მეჯოგებისაგან. ბასკი საზოგადოების ძირითადი უჯრე-  
დია ოჯახი, რომელიც სახლითაა წამოდგენილი. ვინაიდან მი-  
წა მცირე რაოდენობითაა და ძალიან მწირი, ამიტომ ბასკები  
სახლს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სახლი ხშირად  
რამდენიმე თაობის საცხოვრებელია. მას თან ახლავს მიწები,  
მუდამ ერთი და იგივე ფართობის. ყველა სახლს თავისი სახელი  
აქვ და ეს სახელი ხშირად იქცევა ოჯახის წევრთა გვარად.  
სახლი მემკვიდრეობით გადაის უფროს შვილზე, იქნება ის  
ქალი თუ გაუი სულ ერთია. ისეთი წჟილის შეულება, რომლე-  
ბსაც ორივეს სჭერილო სახლი აქვთ, აკრძალულია. ერთი  
მათგანი უსახლკარო უნდა იყოს და ის თუ კაცია, ჩაესიდება  
სახლის მემატრონე ქალს, თუ ქალიადა, ცოლად გაჯება სახლის  
მემკვიდრე ვაუს. ამრიგად, მამული დაცულია: მისი არც გაფა-  
რთოება შეიძლება, არც შემცირება-მოსპობა. საფრანგეთის ბა-  
სკების ქვეყნაში, სადაც საფრანგეთის სახელმწიფოს სამოქა-  
ლაქო კოდექსია ძალაში, ბასკები ახერხებენ შემოუარონ თფი-  
ციალურ კანონებს მემკვიდრეობისას. ამრიგად, თუ ოჯახში  
რამდენიმე შვილია, მხოლოდ უფროსი იღებს სამემკვიდროდ  
სახლს, მაგრამ დანარჩენი შვილები ქორწინების დროს მზით-  
ევის სახით იღებენ ანაზღაურებას.

\*\*\*\*\*

შვილები, რომლებიც სამემკვიდრო მამულს არ ღებულობენ, სა-  
ხლდებიან ქალაქებში ხელოსნებად, ვაჭრებად, სამოქადაგო მო-  
სამხედრო მოსამსახურებად, ანდა კიდევ კ, სრულიად სტოვებენ  
სამშობლოს და მიემგზავრებიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამე-  
რიკის ქვექებში. მაგალითად, 1830 - 1890 წლებში 80.000-მა  
ბასკმა დასტოვა სამშობლო. ბევრი მათგანი საბოლოოდ სახლ-  
დება ამერიკაში, ზოგი კი გამდიდრების შემდეგ უბრუნდება  
მშობლიურ მიწას და ხდება წევრი ბასკი ბურჟუაზიის.

პასტორალურმა ცხოვრებამ გადაარჩინა ბასკების ეროვნული  
სახე და იგი ჩენ საუკუნემდე გაგრძელდა. მეოცე საუკუნის  
ინდუსტრიალურმა რევოლუციამ და იდეოლოგიურმა მიმდინარე-  
ობებმა საკმაოდ გამოცვალეს ბასკების საზოგადოებაც. ესპა-  
ნეთში, ბისკაისა და გიბუზკოას პროვინციები გახდენ ქვექის  
პირველი ინდუსტრიული მხარეები, მაშინ, როცა ნავარი ერთ-  
გული დარჩა მისი ძველი რელიგიური და პოლიტიკური ტრადი-  
ციების და, ამრიგად, ბზარი გაჩნდა ესპანეთის ბასკების პოლი-  
ტიკურ მისწრაფებებშიც.

### სამშობლო და თავისუფლება

ბასკების მოდერნულ პრძოლას დამოუკიდებლობისათვის სათა-  
ვე ედება გასული საუკუნის სულ ბოლოს. 1893 წელს ესპანე-  
თის „ვასკოგანდას“ პროვინციებში არსდება ბასკთა ავტონო-  
მიის პარტია, საბინო არანა გოარის მეთაურობით, რომელიც  
იყო ძველი მხურვალე კარლისტი. მან მოიგონა სიტყვა *Euzkadi*  
(ევზკადი), რაც ნიშნავს „ბასკ სამშობლოს“. ერთი წლის შემ-  
დეგ მანვე შექმნა ბასკთა დროშა: წითელი ფერის, გაწყობილი  
ერთითეთრი ჯვრით და ერთი მწვანე ჯვრით, რომელიც სიმ-  
ბოლოები არიან „ფიურისი“, გერნიკას მუხის და კათოლიკუ-  
რი სარწმუნოების. საბინო გოარის სიკვდილის შემდეგ, ამ  
მოძრაობას სათავეში ჩაუდგებიან მარქსისტი რევოლუციონე-  
რები და კონფესიონალური ხასიათის დამწმებებს უკვე აღარ  
ახსენებენ.

1936 წლის სამოქალაქო ომში ბასკ ნაციონალისტთა პარტი-  
ამ რესპუბლიკელთა ბანაკი აირჩია ფრანკისტების წინააღმდეგ.  
რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა შემთხვევითი. რესპუბლიკური  
მთავრობა პატივს სცემდა ბასკთა ავტონომიურ მმართველობ-  
ას. ამ ომში ბასკებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს: 50 ათასი

კაცი დაიღუპა, ხოლო 130.000 -ზე მეტი გაიხიზნა ჭურვების სას სამხრეთ ატლანტიკისა და სამხრანეთში. **მეცნიერებები**

ესპანეთში მონარქიის რესტავრაციისა და დემოკრატიული წე-  
სტუბილების დამყარების შემდეგ ბასკთა ავტონომიური უფლე-  
ბები, ერთიან ესპანეთის სახელმწიფოში, პარტივებმული და გა-  
რანტირებულია, მაგრამ ბასკთა სხვადასხვა პროვინციების ერ-  
თობა ჯერჯერობით მაინც მიუღწეველი აღმოჩნდა, რადგანაც  
ნავარმა უარი თქვა ბასკების ავტონომიურ სახელმწიფოში გა-  
ერთიანებაზე. ამის გარდა, არიან მნიშვნელოვანი რიცხვი ბას-  
კებისა, რომელთაც ავტონომია იღარ აკმაყოფილებთ და მოით-  
ხოვენ ესპანეთის სახელმწიფოდან გამოყოფას და სრულ დამო-  
უკიდებლობას. ბასკთა ქვეყნის დამოუკიდებლობის ფერაზე აქ-  
ტიური და შეურიგებელი პოლიტიკური პარტია „E.T.A.-  
Euzkadi ta Askatusana“, რც ნიშნავს, „ბასკი სამშობლო  
და თავისუფლება“-ს და, რომლის ბრძოლის მეთოდია ტერორი.

ჯერჯერობით ტერორი და რეპრესიები გრძელდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ვართ ბასკთა პრობლემის გადაწყვეტის წინ. ესპანეთი სრულუფლებიანი წევრი გახდა დასავლეთ ევ- როპის კავშირის, ნელ-ნელა, მაგრამ უცილოდ ბასკების ყველა პროვინციები იცხოვრებენ ერთსა და იმავე კანონების ქვეშ, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივ ბასკთა ენობრივ და კულტურულ გაერთიანებას და მით არც ესპანეთსა და საფრანგეთს მოუკათ ზიანი.

ესპანეთში ბასკთა ავტონომიის წელია 1983. დემოკრატიული არჩევნების შედეგად შეიქმნა პარლამენტი და მთავრობა ავტონომიური ბასკეთის, რომელსაც გადაეცა ფინანსები და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო დარგები, მათ შორის პოლიცია და სწავლა-განათლება.



ერთი ბომბის ამბავი

ეს იყო 1941 წელს. მძვინვარე ომი იყო გაჩაღებული. ვმუშაობდი ბერლინში, ქიმიურ ფარმაცევტიულ „ტემპელჰოფის“ ქარხანაში. ეს ქარხანა იყო ცნობილი საპარაზიტო მინფერის ნაპირზე. ჩვენი ფანჯრებიდან საუცხოოდ მოჩანდა გახშირებული თვითმფრინავების მიმოსელა.

ჩემმა საზოგადოებამ ჰამბურგში შეიძინა „შტერთა საწინავლებელ ნივთიერებათა ქარხანა“ და მიმავლინეს იქ შარმოების ხერხების დასაუფლებლად, რადგანაც უნდოდათ რომ ქარხანა შემდეგ ბერლინში გადმოეტანათ. ჩავედი ჰამბურგში, მაგრამ გამოირკვა, რომ ხელისუფლება ჭინააღმდეგი იყო ქარხნის დარღვევისა და ბერლინში გადატანისა. ისედაც დამძიმებული სატრანსპორტო მოძრაობა გერმანიაში ხელს უშლიდა ამ მიზანს და, მერე, დიდი ხნით შეჩერება შარმოებისა არ იყო მიზანშეწონილი. უნდა ითქვას, რომ ამ დარგს გერმანელი ჯანმრთელობის ხელმძღვანელები დიდ უზრადლებას აქცევდენ. ჰსოვდათ თუ პირველი ომის დროს და მის შემდეგ რა საშინელი ავადმყოფობანი გავრცელდენ მშერთა გამრაღების გამო, რამაც უამრავი მსხვერპლი მოიტანა. რადგან მამის გამო სისუფთავე შეფერხებული იყა, ეპიდემიის შესაძლებლობა არსებობდა. თვით გერმანიაში გავრცელდა უამრავი ბანაკები: ჯარისკაცებისა, ტუკეთა, მილიონობით უცხოელ მომუშავება, დასჯილთა და საერთოდ აყრილი მოსახლეობა. ყველაფერი ეს საუცხოო ნიადაგი იყო მშერთა და ავადმყოფობათა გავრცელებისათვის.

მუშაობა გვქონდა დღე და ღამე. მაშინ სინთეტიური წამლები ჯერ კიდე არ იყო ხმარებაში. ვამზადებდით: „პირეტრის“, „რტენონის“ და სხვათა გამონახდებიდან წამლებს. მეტად დიდი მუშაობა მქონდა და არც უხიფათო, რადგან მანქანებისა და ანალიზების ხელსაწყოები დროის გამო დაზიანებული იყვნენ და მათი შეკეთებისათვის აკლდათ მასალები. ხშირად მიხდებოდა გაზის ნიღბით მუშაობა, მაინც დამიზიანდა ფილტვები. მაგრამ მიუხედავად ამისა კმაყოფილი ვიჭვი, რომ ამ „სისხლის წვიმების დროს“ ადამიანთა სასარგებლო საქმეში მომიხდა მუშაობა. იმ დროს გერმანელებს ყლდათ ტექნიკოსები და ქიმიკოსები, რადგან ჯარში გაყვდათ ისინი.

ჰამბურგი მომეწონა, ლამაზი ქალაქი იყო, თუმცა უკანასკნელი 2020 წლის ივნისი 57

რი, რადგან ზღვიდან თვითმფრინავები ადვილად შესრვალებოდნენ ხოლმე და დაგვაჭრიდნენ ბომბებს. ჰამბურგი მაინც მხიარულ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი უამრავი საპატიო ბუშტებით, რომებიც ქალაქის თავზე იჭნენ აშვებულნი მტრის თვითმფრინავთა შესაფერხებლად, მაგრამ მალე დარწმუნდნენ მათ უგარეთისობაში და მოხსნეს ისინი.

ერთ საღამოს თამარ და აკაკი პაპავას ოჯახში ვიზუვი. უცბად საპატიო განგაში ატყად. მათთან დაერჩი სანამ გათავდებოდა და გვიან დავბრუნდი სახლში. რას ვხედავ! ჩემ სახლს ბომბი დაცემია, ჩემი ითახისათვის ერთი კედელი ჩამოუცლია და საცოდავად გამოიყურება. მაინც კედების მინ არ ვიყვავი. ბინის დაკარგვა მაშინ ჰამბურგში დიდი უბედურება იყო, ისიც უცხოელისათვის, მაგრამ კიდევ იღბალი! ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა მითხრა: „მე ბინიდან გადავდივარ, თუ გინდა დაგითმობ ჩემსასო.“ (მხოლოდ გვიან გავიგე თუ რისთვის დამითმო მან ეს ბინა.) ამ ამბავმა მეტად გამახარა, მით უმეტეს, რომ ბინა საუცხოო გამოდგა „პეტკუმ შტრასეზე“ და მისმა პატრონმა „ფრაუ ფიშერმა“ სულ იაფად მომცა, მხოლოდ მთხოვა: „როცა სამსახურიდან სახლში დაბრუნდებით ხოლმე ჩემთვისაც იყდეთ საზრდოო, რადგან მე ვერ გავდივარ გარეთო.“ ეს, რასაკვირველია, ადვილი სკისახური იყო. სწორედ ბელგიიდან იმ დროს ვუცდიდი ჩემ დანიშნულ რუსუდან ყფიანის ქალს და ასეთი სუფთა და მოწყობილი ბინა იშვიათი იყო, ისიც ომის დროს. ის მალე ჩამოვიდა და ჯვარი დავიწერეთ.

მალე გავიგე და გამოირკვა თუ რად უნდოდა ფრაუ ფიშერს ჩემი, ე.ი. უცხოელის დაყნება ბინაზე. ის თურმე ებრაელი ქლი იყო. რადგან რამოდენიმე თვის წინ გერმანელი ქმარი გარდაეცვალა, თავს საშიშროების წინაშე გრძნობდა, ამიტომ არ გამოდიოდა სახლიდან საყდლებისთვისაც, რადგან ებრაელებს აკრძალული ჰქონდათ გერმანულ მაღაზიებში ყდვა. იგი მალე გამომიტყდა თავის უბედურებაში. ტიროდა და ღმერთს ევედრებოდა, რომ მის სახლს ბომბი დაცემოდა და მასთან ერთად დალუპულიყო. „მეც დამიჭვერენ, რადგან ჩემი მეუღლე აღარ არისო.“ განსაყუთრებით შესჩიოდა ჩემ მეუღლეს, რომელიც ცდილობდა ენუგეშებინა, რაც ადვილი არ იყო.

ერთ დღეს მოვედი სამსახურიდან და ფრაუ ფიშერზე კავშირის  
დამხცდა. მივაკითხე მეზობელს და მან მითხრა, რომ სახლში მოვაწყის და ფიშერს ჭრიაში გულზე შემოეყარა და წილი განეცნეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სახლში დავბრუნდი, ვხედავ კარებზე აწერია ცარცის დიდი ასოებით: „ი უ დ ე!“ ეს იყო ჩემთვისაც დიდი უბედურება, რადგან ბინა ჩამორთმეული იყო და იქიდან უნდა გადავსულიყვავი. ბინის შოვნა ძალიან ძნელი იყო. კიდევ იღბალი, პაპავის ოჯახმა გაშიკეთა წინადადება, გადავსულიყვავით მათთან ბინაზე. მათი ბინა იყო ჩინებული, მდიდარი ქართული წიგნთსაცავით. თვითონ თითქმის სულ არ იყნენ ჰამბურგში, პროვინციაში არიდებდნენ თავს.

ჰამბურგში მაშინ ცხოვრობდა კიტა ჩეხენგელიც. მასაც ბინა ახლოს ჰქონდა პაპავეებიდან: „როტენბაუმ შოსეზე.“ ჩვენი სახურავიდან მისი სახლი ჩანდა.

ასე გადიოდა დრო. ჰამბურგში მაშინ შედარებით სიმშვიდე იყო, ისე აღარ გვესხმოდნენ ბომბდამშენი. ეს ამბავი მაინც არ გვამშვიდებდა, რადგანაც ფარულად ყურს ვუგდებდით მოკავშირეების რადიო გადმოცემებს და გვესმოდა თუ რა მზადება იყო ამერიკაში საჰაერო თავდასხმებისათვის. ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან თავზე დაგვატყდებოდა დიდი უბედურება. ჩვენ ბინაზე საზღვანი იყო გაწმენდილი და ბოძებით გამაგრებული, შედარებით კარგ თავშესაფარად ითვლებოდა. თავდასხმების დროს იქ ჩავდიოდით. ბინაზე კი მზად გვერდი საქელდახელოდ შეკრული ბარგი, ვინიცობაა უცებ გასაქცევად.

ეს იყო 1943 წლის ივლისი. ჩემი შეილი კარამანი უკვე ერთო თვის იყო და დედამისს კალთაში ეწვინა, რომ ჩავედით სარდაფში თავდასხმების გამო. მაგრამ, ეს თავდასხმა არ ჰქავდა სხვებს, საშინლად ძლიერი გამოდგა. ამას ვატყაბდით თვითმფრინავებისა და აფეთქებების ხმაზე. მოელი მიწა იძროდა, ჩვენი სახლი ზანზარებდა, თავზარდაცემული ვისხედით მოკუნტულები და ვუცდიდით აგერ-აგერ ჩვენ სახლს დაეცემა ბომბი და თავზე დაგვანგრევს. არ ვიცი საიდან, ვიღაცამ დაიძახა: ჩვენ სახლს ბომბი დაეცაო! წამოვარდი ზეზე, მიკვირდა, რომ სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. თუ ბომბი დაგვეცა, რაში საქმე? გავექანე ჩვენი ბინისაკენ პირველ სართულზე რომ ბარგი გამომეტანა. კარებში რომ შევდიოდი, მესმის დაოთხილი კიბეზე ჩორობის ერთი პატარა გერმანელი და, რომ დამი-



ნახა საშინლად დამიღრიალა: „ჩქარა ადი ზევით, ბომბი და გვეცაო.“ ამ სიტყვებმა საშინლად გამაბრაზა, თუ ბომბი და ეცა, შენ სად გარბიხარ და მე რად უნდა ავიდე ძალლა-თქო. მართლაც, ვერ წარმომედგინა: ბომბი თუ რყა, უნდა გავეცეა ლიჭავით და ეს „გიში“ მასთან მაგზავნიდა! ვიფიქრე: იქნებ „ბლინდ გენგერი“-ი (ე.ი. ბომბი, რომელიც ცოტა გვიან შეიძლება აფეთქდეს.) უკვე შემთხვევაში, მე მისი ნახვა სრულებით არ მსურდა... იმან ერთი წუთით გაკვირვებით შემომხედა, არაფერი მითხრა და დაეშვა სარდაფისაკენ. მე ოთახში შევეღი სასწრაფოდ გაზ-ნილაბი გავიკეთე და ცოტა ჩამაფიქრა ამ ახირებული გერმანელის მოქცევამ... რას ვხედავ: სარდაფში მყოფი სწრაფად ამოდიან და მიეშურებიან სახურავისაკენ. მე გონჩე ვერ მოვდიოდი, ვიფიქრე, ჟელამ ჭირა დაკარგა-მეთქი. უცბად მომვარდა ვიცე-აღმირალის ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც ჩვენ სახლში ცხოვრობდნენ და მოხვევა: „მომეციო თქვენი გაზ-ნილაბი მე შევალ მაღლაო.“ ეს უკვე ჩემთვის ზედმეტი იყ! გავეშურე მაღლა, შევალე კარი უკანასკნელ სართულში და რას ვხედავ: ფოსფორის პატარა ბომბს სახურავი გაეხვრიტა და შუა ოთახში იშვიოდა. ის უკვე ეტკბა, რაც დიდიხანია იშვიოდა, რადგან ისვროდა უკანასკნელ ნაპერშტკლებს. გარშემო ავეჯს ცეცხლი ეკიდებოდა. ფოსფორის ბომბის დროს, ეს ყველაზე უცა-თესი დროა მის ჩასაქრობად, რადგან თვით ფოსფორი ძნელი ჩასაქრობია, მაგრამ ცოტა ანთებული ავეჯის ჩაქრობა უფრო ადვილია. სახლის მცხოვრებლებმა უცებ გააკეთეს რიგი და ვედროებით სავსე წყალს გვაწვდილენ აბაზანებიდან. ჩემთან ერთად ანთებულ ოთახში შემოვარდა ერთი ახალგაზრდა, შვებულებაში მოსული გერმანელი ჯარისკაცი, რომელმაც ყოჩალად ფანჯარა გაამტკრია და მასთან ერთად დავიწყო ანთებული ავეჯის ფანჯრიდან გადმოჭა... ცეცხლს როგორც იყ დავეუფლეთ და ბედნიერებით დავმშვიდი.

სახურავიდა ჩანდა საშინელი სურათი. მთელი ქალაქი გარშემო ცეცხლის აღში და ბუღლში იყ გახვეული.

გავიხედე კიტა ჩენენკელის სახლისაკენ.

მისი ქუჩა ჩვენთან კუთხეს აკეთებდა. სახურავში მოჩანდა პატარა ცეცხლი. ვიფიქრე, აღბათ ჩვენი ფოსფორის ბომბის ტოლი ბომბი დაეცა მას, მაგრამ იქ მისი ჩამქრობი არავინ

იყა და ეს უზარმაზარი სახლიც ისე დაიწვა ბოლომდე, როგორც სანთელი. რასაკვირველია რომ სახლთან ერთაში დაიწვა კიტას ბინაც და მთელი მისი ავიჯი და ქართული წიგნები.

რამოდენიმე დღის შემდეგ უბნის მოსახლეობას დაგვიძახეს იქვე ერთ დარბაზში. ვხედავ, ჩემი ეს პატარა გერმანელი დგას ამაღლებულ ადგილზე და მთავრობის წარმომადგენელმა დაკიდა ჯილდო გულზე სახლისა და შეიძლება მთელი ჩვენი პატარა ქუჩის გადარჩენისათვის და უთხრა ქათინაურები ყოჩალობისათვის. მან სამაღლობელი სიტყით უპასუხა, თავის მხრივ, მაღლობა გამოუცხადა ყველა მონაწილეო სახლის გადარჩენაში და დასძინა: „ზოგიერთმა გამოიჩინეს სისუსტე ამ ამბების დროს, მაგრამ ეს გასაგებია: „ადამიანურია“—ო. მე თავჩაღუნული ვუსმენდი მის სიტყებს და კარგად მესმოდა, რომ ეს „სუსტი“ ადამიანი მე ვიყვაო. იმაზე არ უფიქრია, რომ ჩემი სისუსტის მიზეზი თვითონ იყა.

( დამატება: საწყალი ფრაუ ფიშერის ვედრება ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ასრულდა. მთელი მათი ქუჩა და უბანი საესებით გადაიწვა და განადგურდა.

დაიწვა აგრეთვე პამბურგის სამხატვრო აკადემია, სადაც რუსულანი აგრძელებდა სწავლას. დაიღუპა ბევრი მისი ნახატები.)

### ირაკლი ოთხმეზური

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ი ა ს ო ნ მ ღ ვ დ ე ს ი

საჩხერე, იგი გადაშლილია მოდინახის მთის კლოებზე. ამ კალთების ბოლოს მას ორი მდინარე: ყირილა და ჩიხურა, ჩაუდის და თუ მთის ამ კალთებს მდინარეთა ნაპირებიდან ახედავთ, იგი მთიდან ჩმოშევებულ ხალიჩას მოგავონებსთ. აქ ამ მდინარეებიდან არც თუ შორს დგას მწვანებში ჩაფლული, თეთრი თლილი ქვით ნაშენი ეკლესია, რომელსაც რატომღაც სობოროს ეკლესიას უწოდებენ. ეს ეკლესია დედოფალივით გადაჰურებს მის ირგვლივ მდებარე ხოდაბუნებს.

იყო დრო ეს ეკლესია ცოცხლობდა, ცხოვრობდა მის სრულ უფლებებში. აქ ამ ეკლესიაში ჯვარს იწერდა წმინდა სიჭარული, სათნოება, მეგობრობა და კაცომფუარება. აქ ისმოდა გალობა, ამ ეკლესიის ზარების წკრიალა ხმები საჩხერლებს ახალი სი-



ცოცხლის, ახალი ცხოვრების დაწყებას ამცნობდა კუთხეულური უიმედოს იმედს უნერგავდა, წაქცეულს აყნებდა. კუთხეულური ქართველი კაცი ღინჯად, ულელვებლად. სჯეროდა მას, რომ იგი ახალ ქვეყნაში მიდიოდა. სჯეროდა, რომ იქ მას მისი ამ ქვეჭად ნამოქმედარის შედეგი დახვდებოდა, რაც აქ და-თესა იქ მოიმკიდა. ამიტომ იყო, რომ მორწმუნე ადამიანი ამ წუთისოფელს უმშიკვლოდ ატარებდა, სიკეთეს თესდა.

მაგრამ მოხდა ის, რომ ამ ეკლესიის ზარების წკრიალი რუ-სული ქვემეხების ქუხილმა და შაშხანების ტყიების ზულმა ჩაახშეს. ქართველ კაცს წაართვეს ღმერთი, დაუკარგეს რწმე-ნა. ჩაკვდა ადამიანთა სულთსაჭუდარის, ეკლესიის ცხოვრება. დაცალიერდა ეკლესიის ეზო. იქ მხოლოდ გარდაცვლილთა საფ-ლავები დარჩნენ.

ამ ეკლესიის ყაფილმა მღვდელმა, ბიძია იასონმა იკისრა ამ ეკლესიის მოვლა-პატრონობა. ბიძია იასონი ან, როგორც ზო-გჯერ მას ეძახდნენ: იასონ მღვდელი, ეკლესიის პირდაპირ, გზის მეორე მხარეს ცხოვრობდა. მისი ეზოსა და ეკლესიის ჭიშკრები ერთიმეორეს შეცჭრებდნენ. ბიძია იასონი ლამაზი გარევნობის კაცი იყო, მაღალი და წამოსადევი, მას სილამა-ზეს პმატებდა მოგრძო თხელი წვერი. მე მგონია, რომ იგი ჟელას უჟღარდა. ის მუდამ ეკლესიის პირდაპირ მოგრძო სკა-მზე იჯდა ხოლმე და ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს დიდსა თუ პატარას ჟელას პირველი აძლევდა სალამს.

არსებობის წყაროდ ბიძია იასონმა სადურგლო საქმეს მოჰ-კიდა ხელი. ვის რას არ უკეთებდა? დანასა და მაკრატელსაც ლესავდა, საფლავებს თხრიდა. თუ ვინმე რამეს მიცემდა, იმით იყო კმაყიფილი, თვითონ კი არავის არაფერს თხოვდა. იასონს მეუღლე ადრე გარდაეცვალა და მარტო ცხოვრობდა.

ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა ამ ეკლესიიდან ათოდე მეტრის დაშორებით, ამიტომ ბავშვობიდანვე ვიყავი მიჩვეული ბიძია იასონთან ყაფნას. იგი მამაჩემის მეგობარი იყო. ბიძია იასონი დამიჯენდა ხოლმე სკამზე მის გვერდით და ათას რამეს მიუ-ვებოდა ხოლმე. პირველად მისგან გავიგონე, რომ ქრისტე ღმე-რთი ებრაელი იყო. ამ ამბავმა დამაფიქრა: ეს როგორ? როდესაც ებრაელთა პასკა მოახლოვდებოდა და მაცას გამოვა-ცხობდით, მამაჩემი ბიძია იასონს აუცილებლად მიუტანდა ხო-ლმე მაცას საჩუქრად, რომელსაც, ბიძია იასონის თქმით,

რძესთან ერთად მიირთმევდა. მე მას ერთხელ შევეკიტხე: ბი-  
ძია იასონ, როგორ ბედავ შენ რომ მაცას მიირთმე? უკავშირი უკა-  
ომაც არა? - კითხვა დამიბრუნა. - გამიგონია, რომ ვითომი-  
და ებრაელები მაცაში ქრისტიანის სისხლს ურევენო, - მიუუგა.  
ბიძია იასონს ვაეცინა, „ეს ტყუილია, მიხაკო, ტყუილი. მე ვა-  
ტყუდი, რომ ეს უვიცი ხალხის მოგონილია, გაიზრდები და წა-  
იკითხავ ცნობილი ბეილისის საქმეს; ბეილისი, ეროვნებით ებ-  
რაელი, გასამართლეს ვინაიდან მას ბრალი დასდეს, თთქოს-  
და ქრისტიანი ბავშვის სისხლი აეღოს. ბოლოს იგი გაამართ-  
ლეს და მას დჟიველებად ჩეენი ქრისტიანული სტრუქტურების  
წარმომადგენლები დაუდგენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ  
ეს ტყუილია. რომაელმა პილატემ აწამა ქრისტე და ებრაელებს  
დააბრალა; ამიტომაა, დღესაც იტყვიან: პილატესავით დაიბანა  
ხელიო.“ - მითხრა ბიძია იასონმა.

ხშირად ბიძია იასონთან მოდიოდნენ ხოლმე აღსარების მისა-  
ლებად. ბიძია იასონი ცდილობდა, რომ აღსარება მის ბინაში  
მიეღო, მაგრამ იყო შემთხვევა, რომ აღსარებაზე მოსული და-  
იჩემებდა: არა, ეკლესიაში მირჩევნიან და იასონიც იძულებუ-  
ლი იყო გაეღო ეკლესია. მე ძალიან მაინტერესებდა დაგსტრე-  
ბოდი და მომესმინა აღსარება, მაგრამ მღვდელი იასონი მე  
კი არა, თავის შეილიშვილებსაც, როცა ისინი მასთან სახლში  
იჯნენ, გარედ გამოყიდა ხოლმე. როგორ არ ვეცადე, მაგრამ  
ბიძია იასონის აღსარების მიღებას ვერაფრით ვერ მივაჟურე.  
ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს ბიძია იასონთან მოვიდა ერ-  
თი ლამაზი ქალი და თხოვა, ეკლესიაში აღსარების მოსმენა.  
როდესაც ისინი ეკლესიაში შევიდნენ, მე მაშინვე მოვძებნე  
ბუჩქებში წინასწარ დამალული კიბე, სწრაფად მივადგი ეკლე-  
სიის კედელს, მაგრამ შუაგზაში კიბემ მიმტკუნა, ჩამოვგარდი  
და ფეხი ვიღრძე. როგორც იქნა ძლიერ მოვითქვი სული, ავდე-  
ჭი, კიბე ეკლესიის ეზოს ლობის იქით გადავაგდე და მე კო-  
ჭლობით გარეთ გამოვედი. ბიძია იასონმა დამინახა. - ჩა მო-  
გივიდაო, მეიოთხა. - ლავარტკისათვის ტოტის გამოჭრა მინდო-  
და და ხიდან ჩამოვგარდი - მეთქი. მან ფეხი დამიჭიმა, დამი-  
ზილა და მითხრა: წადი ახლა სახლში, დედაშენს უთხარი თბ-  
ილი ქნით ან ზეთით დაგიზილოს ნაღრძობი ადგილი და შეგი-  
ხვიოსო, მერე შევიდა სადუგრლოში და იქიდან გამოიტანა  
სალყარტკე, რომელიც მომცა და მითხრა: აპა, მისთვის იტე-



ხდი ფეხსო!

როდესაც ბიძია იასონი ვინმესგან აღსარებას მოისაზღვრეთ ათი - თხუთმეტი წუთი გაბუტულივით იჯდა სკამზე. თავს ძემო-იქით აქნევდა და იძახდა ესაა წუთისოფელი, ესაა წუთისო-ფელი. მაშინ ვერ გამეგო, რაში იყო საჭმე. ვფიქრობდი: ას-ეთია პროცედურა მეოქი, აღსარების შემდეგ რაღაც ლოცვას ამბობს-თქმ. მერე, როცა წამოვიზარდე მივხვდი, რომ ბიძია იასონისთვის ძნელი იყო ყველი აღსარების მიღება. ის განი-ცდიდა ხალხის გაჭირვებას. აღსარების შემდეგ ფიქრობდა მა-სზე და აანალიზებდა.

მჰაჩემიდან გამიგონია, იასონ მღვდელი ძალიან ბევრ ღვინოს სვამსო, ამერიკაში რომ წავიდოდეს იქ შეჯიბრში ყველას და-ამარცხებდა და მილიონერი გახდებოდათ. მე ბიძია იასონი მთვრალი არასდროს არ მინახავს. ერთხელ, როდესაც მასთან ვიჯეჭი, სოფლიდან გლეხმა სანოვაგე ჩამოუტანა, ორი ღოვი ღვინით და უთხრა: ეს შენი მონათლულის სახელზე ინებე ბი-ძია იასონო. მაშინ გავგედე და უთხარი: ბიძია იასონ, მით-ხეს, რომ იასონი ბევრ ღვინოს სვამსო. — მაგას მამაშენი გეტყდათ. — მთავარი ისაა, თუ სწორია-თქმ. ბიძია იასონს გაეცინა და არაფერი მითხრა. ისევ გავუმეორე შეკითხვა.

— შენ რად გინდა, რომ იცოდე, მიხაკოთ. — ვიტყვი, რომ ბი-ძია იასონი კარგი მღვდელიყა და კარგი ვაჟგაციც, ღვინის სმაში ტოლი არ ჰყავს-თქმ. ბიძია იასონმა თავზე მომკიდა ხელი და ჩამიხურა. — გააჩნია ღვინოს რა საჭმელთან სვამო. — რა საჭმელი გინდა რომ იყოს, ბიძია იასონ? - ვკითხე მე.

— ბევრი არაფერი: მწვანილი, ყველი, თევზი საკმარისია.

— მომიცია, ბიძია, მაგ საჭმელი, რჩდენს დალევ? — გააჩნია, რამდენი კაცი ზის სუფრაშიო. — რამდენი კაცი გირჩევნია, ბიძია-თქმ. — არა უმეტეს სამი-ოთხი კაცისაო. — მომიცია, ბი-ძია, ოთხი კაცი, რამდენს დალევ-მეთქი? — გააჩნია წლის რა დროათ. წლის რა დრო გირჩევნია-თქმ. — დეკემბრის ცივი ქარი, რამდ-ენს დალევ-მეთქი. — რამდენიც გინდაო. ეს სიცილით თქვა ბი-ძია იასონმა და რაღაც საეჭვოდ მივიჩნიე, მით უმეტეს: „რამდენიც გინდაო“, თუმცა ვიცოდი: ბიძია იასონი ტაცილს ხუმრობითაც არ იტყოდა.

გადავწყიტე მასწავლებლისათვის მეკითხა. სკოლაში გვჭვდა



ერთი ლოთი მასწავლებელი და გადაგწყვიტე, მას შეუცირდებოდა. მერე გადავიფიქრე, არ ეწყონოს-თქო. ბოტანიკურს უკიდურეს ლია, მინდა შევეკითხო მასწავლებელს, ხან ავწევ ხელს, ხან დაგწევ, მეშინია, რომ ამხანაგებმა სიცილი არ დამაყრონ; ეს შემამჩნია მასწავლებელმა და, რა გინდაო, მომმართა, მაგრამ მე მაინც ვერ გავგედე და მივუგე, რომ არა მაქვს შეკითხვა-თქო. როდესაც ზარი დაირეგა და მასწავლებელი გავიდა, მე მას დავეშვიე, ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი: ამხანაგების მომერიდა, ვერ შეგვეკითხეთ გაკვეთილზე-თქო; — რა არის შენი შეკითხვაო; — რამდენი ღვინის დალევა შეუძლია ადჭიანს-მეთქი? — მაგ იასონ მღვდელს შევეკითხეო, ესა თქვა და აჩქარებით შევიდა სამასწავლებლოში.

ვერ გავიგე თუ რას ნიშნავდა ეს. იქნება სკოლის აღმინის-ტრაციას არ მოსწონს ის, რომ მე ბიძია იასონთან დავდივარ? ღმერთო! რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდევო სკოლას, მე რომ ასეთ კეთილშობილ აღამიანთან ვიარო! გადაგწყვიტე, რომ არავის არაფერი ვუთხრა ამის შესახებ, არაფერი ვუთხრა თვით იასონსაცა და მამაჩემსაც. და, მართლაც, არავისთვის არ მითქვამს მასწავლებლის ნათქვამი.

საჩხერეში დავმთავრე საშუალო და თბილისში წავედი სწავლის გასაგრძელებლად. როდესაც, პირველი სემესტრის შემდეგ, სახლში დავბრუნდი, საჩხერის რკინიგზის სადგურიდან ჩემს საჭლში მიმავალს აუცილებლად ბიძია იასონის სახლთან უნდა გამევლო. მიუახლოვდი მის სახლს, სკამი ცარიელი იყო. გადავიხედე ეზოში, ვერც იქ დავინახე ბიძია იასონი. ეკლესიის კარებიც დაკეტილი იყო. რაღაც შიშის გრძნობა აღმეძრა. შევედი მის სახლში. დავინახე მისი შვილი თედაოზი. ერთმანეთს თვალებში შევაჩერდით. მას ცრემლები მოადგა თვალებზე და მითხრა: — იცი, მიხაკო, როგორ უფარდი მამაჩემს?! — ვიცი თედაოზ, ვიცი, — ვუპასუხე და მეც ცრემლები წამსკდა. წაგიდა მღვდელი, აღამიანი პატიოსანი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მისი მრევლის წინაშე მსახური და ვალმოხდილი, და ეს გახსენება იყოს მისი შესანდობარი.

მიხაკო საჩხერელი



ბ ა ვ შ ვ ი ბ ი ს ა დ ა ყ რ მ ო ტ ა რ ე ბ ე ბ ა  
მ თ გ თ ნ ე ბ ა  
(გაგრძელება. იხილეთ 8 და 9 ნომრები)

[შეცდომის გასწორება. „გუშაგი“ №9, გვ. 53, 25-ე პურაზე  
წერტილის შემდეგ იკითხება: „მისი ნამდვილი სახელი და გვა-  
რი იყო ნესტორ კალანდაძე“-ო. უნდა იყოს: „...შალვა შარაში-  
ძე. ამის გარდა, ბ. მიხეილ თარაშვილის სახელიც დამახინჯე-  
ბულია, რის გამოც მკითხველსაც და ავტორსაც შენდობასა  
ვთხოვთ. გუშაგი. ]

პაპა გიორგისთან ხშირად ვიყავი, როცა კი დრო მქონდა.  
ის მიამბობდა ძველ ამბებს. ლეგების თარეშობაზე კახეთში  
და სხვა. ერთხელ მითხრა: ვინც სამშობლოს უღალატებს, მას  
სიკედილის შემდეგ მოსვერება არ ექნება, მის ნაშთს სასაფ-  
ლოოდან ამოაგდებენო. მეორეთ კი მითხრა: ჩვენი მთავრობის  
პოლიტიკა არ მომწონს. რუსებთან მითომ კარგად არიან. არ  
იღებენ ზომებს ძლიერი ჯარის შესაქმნელად. რუსები ძნელად  
მოინელებენ საქართველოს თავისუფლებას. თუ ჩვენ ძლიერი

ჯარი არ გვეყლება ან რომელიმე ძლიერი სახელმწიფო  
მეგობრად, მაშინ რუსები საქართველოს შემოესევაანო.  
ერთხელაც მითხრა: მიშა, სამწუხაროა, რომ შენ ახალგაზრდა  
ხარ, რომ მე ვიამბო და შენ დასწერო, იმდენი რამე მაქვს  
საამბობიო. მე უთხარი, რომ მომავალ წელს შემეძლება და-  
წერა-მეთქი. „ძალიან კარგი, თუ ცოცხალი ვიქნები“-ო, მით-  
ხრა. 1919 წლის სექტემბერში გამოვემშვიდობე, თბილისში  
წავედი სასწავლებელში. წასვლის წინ გადამეხვია და მითხ-  
რა: „მიშა კარგათ ისწავლე, იქონიე ნებისჟაფა და საქართვე-  
ლო არ დაივიწყო“-ო.

10 მარტს 1920 წლისა გურჯაანიდან დეპეშა მივიღე: პაპა  
გიორგი გარდაიცვალა. ეს იყა ჩემთვის დიდი მწუხარება. მე-  
ორე დღეს მატარებელი ავიღე. დასაფლავების დროს მწარედ  
ვტიროდი...საწყლმა თან წაიღო, რაც სათქმელი ჰქონდა.

1914 - 19 წლებში კახეთის რკინის გზის ხაზი დამთა-  
ვრდა ერთ საღამოს ჩემი ბიძაშვილი მოვიდა ჩვენსა და გვი-  
თხრა ხვალ თბილისიდან მოდის პირველი მატარებელი, თუ გი-

ნდო წამოლით სანახავადო. მეორე დღეს ბიძაშვილები, მეზობლები, ჩვენც: დედა, ქეთო და მე, გაუდექით გზას და მიზევდით იმ ადგილას, სადაც რკინის გზა გადიოდა. ჩვენ რომ მივედით, უკვე ბევრი ხალხი იყო. ლაპარაკობდენ: როცა მატარებელი მოდის რკინის გზასთან არ უნდა იყო, თორემ შეგიტაცებს და გაგჰქვეტავს. დიდს თუ პატარას რკინის გზისა ეშინოდათ. თავის დღეში არ ენახათ.

შორს გამოჩნდა მატარებელი. დედებმა ბავშვები ხელით დაიჭირეს. მატარებელი რომ მოგვიახლოვდა და მემანქანემ ამდენი ხალხი დაინახა, სალამის მისაცემად საყვირი დააყვირა. შეშინებული ხალხი გაიქცა დიდი თუ პატარა, მაგრამ, რომ დაინახეს არავინ მისდევდათ, უცებ გაჩერდნენ და დაიწყეს სიცილი. მატარებელი დააყნეს რამდენიმე წუთი. ის შესდგებოდა ორთქმავლისა და ორი ვაგონისაგან. ერთმა კაცმა მოგვმართა: აი რკინის გზა დამთავრდა და მალე საშუალება გექნებათ იმგზავროთ.

აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიწყო კახეთის რკინის გზის რეგულიარული მუშაობა. პირველ ხანებში ას კილომეტრს ხუთი საათი უნდებოდა, ძალიან მძიმედ დადიოდა, რაღვან გზა არ იყო დამჯდარი. რასაკვირველია, მერე გაუმჯობესდა. ამიტომ მას ეძახდნენ „ქიზიყს ვირს“ ან „ქიზიყს ლოთს“, რაღვანაც მის საყვირს ლოთის ხმა ჰქონდა.

პირველი მატარებელი აგვისტოს ბოლო რიცხვებში ავიღეთ დედამ და მე. მე მივდიოდი სასწავლებელში დედა კი-დებისა და ძმების სანახავად.

### ჩემი უნიკობა მუსიკაში

მაშინ მე ვიყვი აი წლის. ოქტომბერი იყო. უკვე მეორე წელია, რაც სიმღერის გაკვეთილებს ვესწრებოდი. ეს სავალ-დებულო იყო, კვირაში ორი გაკვეთილი. გიმნაზიაში ძალიან კარგი გუნდი იყო. ჩვენი მასწავლებელი იყო ფალიაშვილი. ის მაშინ უცნობი იყო, შემდეგ კი-სახელგანთქმული კომპოზიტორი დაისისა და სხვა ოპერებისა.

ერთი დიდი ზალა იყო, რომლის შუაში იდგა ერთი პიანინო, რომლის გარშემოც მოწაფები ვიყავით ფეხზე. პირდაპირ იდგა დიდი დაფა, სადაც მასწავლებელი ცარცით წერდა ნოტებს. მას არ უჟვარდა ბავშვები, ვისაც ხმა ან სმენა არ ჰქონდათ.

ვინც ცუდად მღეროდა ან ხმას არ მისდევდა, ის მას მაშენდება ნერ იგებდა. მეც მხარზე გადმომკრა წკეპლა და მიობრუა: „შენ ხარ ცხვარივით რომ ბლავიხარ? თქვი: ა.ა.ა.“ გავიმეორე: ა.ა.ა.... „შენ აღარ უნდა იმღეროო“, მითხრა. მე ეს ძალიან მეწყნა. მიყვარდა ძალიან სიმღერა. რას ვიზამდი. მე უკვე მეთერთმეტე ვიჭვი კლასში დასჯილი. გაკვეთილს მაინც ვესწრებოდით 45 წუთის განმავლობაში. იმისდა მიუხედავად, რომ მამაჩემი და მამიდაჩემი კარგი მომღერლები იყვნენ და როცა ქორწილები ან დღეობები იყო, ისინი დაბატიულნი იყვნენ, მამა გიტარაზე უკრავდა და დასთან ერთად მღეროდა მე ალბათ ჯიღაურებისგან დამებედა. შვიდ და-ძმებში არც ერთი არ მღეროდა. პატარძეულში არც ერთი ჯიღაური არ იყო მომღერალი.

გურჯაანელი მეგობრები ყველა მევენაჲების შვილები იყვნენ და ყველანი მოწაფეები იყვნენ ან გურჯაანში და ან თელავ-ში. ზაფხულში ყველანი მუშაობდნენ ვენახებში. თითქმის ყაველ საღამოს ვიკრიბებოდით ერთად. კვირა საღამოს კი ვიკრიბებოდით ქაშვეთის ეკლესიის ეზოში. ყველანი კარგი მოძღვრები იყვნენ. ორი მათგანი იყვნენ მუღალაშვილის გუნდში. მუღალაშვილი იყო დაახლოებით 35 წლის, ლამაზი კაცი. ჩინხას იცვამდა, რაც ძალიან უხდებოდა. მას კარგი ხმა და კარგი სმენა ჰქონდა, ბავშვობიდანვე შეაღვინა გუნდი, რომელიც ძალიან კარგი იყო და ბევრი ჯილდოები მიიღო. ერთხელ, სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამი პირველი ჯილდო მიიღო გუნდმა. მისი გავლენით გურჯაანის ხუთ უბანში იყვნენ ბაგშვების და დიდების გუნდები. ყველანი მღეროდნენ.

**1919** წელს თბილისიდან რომ დაგბრუნდი, პირველ საღამოს შევხვდი ჩემს ტოლებს, რომლებიც ჩემსავით დაზრდილიყვნენ. საუბრის შემდეგ დაიწყუს სიმღერა. ერთმა მათგანმა შემჩნია, რომ მე არ ვმღეროდი. მითხრა: რატომ არ მღერიხარ? როცა სიმღერა გაითავეს, მე ვუამბე თუ რატომ არ ვმღეროდი. მთ სიცილი დაიწყუს. „შენ არ გინდა დიდი ხმა, არც დიდი სმენა, მოჰყვევი სიმღერას, ჩევენ სცენაზე არ გამოვდი-ვართ, ჩევენ ვმღერივართ, ვახარებთ ჩევენ ჭიასო. ნუ გეშინიან შენ ახავინ არ დაგძრახავსო“, მითხრეს მეგობრებმა. მის შემდეგ მეც ფუვი და სამი-ოთხი დღის შემდეგ მეც ვმ-

დეროდი მათთან ერთად და აღარ მეშინოდა, რომ ვინმე მეტ-  
ჟოდა: დაჩუმდი, ხმა არ გაქვს!



### კ ა ხ ე თ ი

კახეთის რკინიგზა სხვა რკინიგზებისაგან განსხვავდება, რო-  
ცა იმგზიავრებთ ამას ოქვენც შენიშნავთ. ობილისიდან თქვენ  
მიდინხართ თელავამდე. ნავთლუხიდან ვაზიანამდე გაივლით მინ-  
დვრებს და გადახარუკულ გორაკებს, რომელთა შორის რკინიგზა  
გადის. ვაზიანში არის რამდენიმე სახლი, ისიც მოსამსახურე-  
ებისათვის. ვაზიანი განთქმული იყო წინკალით. სადგურ ივრა-  
მდის სულ ტიტველა მინდვრები, არც ერთი ხე. მდინარე იორს  
უახლოვდებით, მარცხენა მხარეს—სართიჭალა, სადაც ცხოვრობენ  
გერმანელები (რომლებიც აუსებმა ჩამოასახლეს) და ქართველე-  
ბი. გერმანელების ეზოები და სახლები სუფთა იყო, მათ ჰყა-  
ვდათ ჰოლანდიური ჯიშის ძროხები, რომლებიც ათჯერ მეტ  
რძეს იძლეოდა, ვიდრე ჩევნებურები და ხორციც მეტი ჰქონ-  
დათ. ქართველების ეზოები კი— ნეხვითა და ნაგვით სავსე.  
მე მიკვირდა: თაობებით ქართველები და გერმანელები ერთ  
სოფელში ცხოვრობდნენ, როგორ მოხდა, რომ ქართველებმა  
მათგან ვერაფერი ისწავლეს?

ივრის ხიდს გადინხართ და ხუთას მეტრზე სადგური იორია,  
იქაც მხოლოდ ორი— სამი სახლი მოხელეებისათვის. ათ კილომე-  
ტრის მანძილზე ივრის ხეობას მისდევთ და მერე რკინიგზას  
შორდება იორი. საგარეჯო: აქაც რამდენიმე სახლი მოხელე-  
ების. საგარეჯოდან ხუთ კილომეტრზე მარცხნით გამოჩნდება  
ცივ-გომბორის მთები, რომლის ფერდობებზე დანახავთ სოფლ-  
ებს: პატარძეული, ნინო-წმინდა, საგარეჯო, კაკაბეთი და სხვა.  
ეს სოფლები დაშორებული არიან ერთი-მეორეზე ათი - თხუთმე-  
ტი კილომეტრით.

სადგურ ბადიაურიდან იორი უკვე შორს არის, მისი ხეობა  
ტიტველ გორაკებს მისდევს. ივრის მეორე მხარეს დაინახავთ  
ერთ სოფელს— ეს თაორების სოფელია. რამდენიმე კილომეტრ-  
ზე კიდევ ტიტველა მინდვრები, უხევოოთ. მანამ მიუახლოვდე-  
ბით სოფ. მელაანს სოფლებს ვერ ნახავთ, გარდა მოხელეების  
რამდენიმე სახლისა. მიხვეულ-მოხვეულებით ადიხართ ერთ მთა-  
ზე, რომელიც არის შტო გომბორის მთებისა. სადგურ მელაა-  
ნიდან ტჭუში შედი ხართ. რამდენიმე ხნის შემდეგ დეპორაცია

იცლება (თუ განსაკუთრებით მარტსა და აპრილში) მარჯვენა რობთ), მარჯვენა მხარეს უცებ გამოჩნდება ცაში თოვლი, რაც მატარებელი მიღის, თოვლი უფრო მაღლდება და განიერდება. გამოჩნდება კაგვასიონის ქედი მისი თოვლით. წუთი და წუთი დეკორაცია იცვლება და გამოჩნდება ალაზანი და ალაზნის ხეობა, რომელიც კაგვასიის მთებს მისდევს. უკვე რკინიგზა ვენახებში შედის. აქ ყველაფერი აყვავებულა: ნუში, ატამი, ქლიავი, ბალი და სხვა. აქ უკვე გაზაფხულია, თბილისში კი ზამთარი იყო.

უკვე შორს ხედავთ ალაზნის ველს, მარჯვნივ ქიზიყსკენ და მარცხნივ წინანდლამდის და უფრო შორსაც. როცა თბილისიდან გურჯაანში მოვდიოდი ამ გრანდიოზულ სანახაობას არ დაგვლებივარ.

გურჯაანის სადგურში მატარებელი ორად იყოფა: ერთი ნაწილი მიღის თელავისკენ და მეორე-წნორის წყლზე. აი გურჯაანი, ერთად ერთი სოფელი, რომელსაც თავისი სადგური აქვს. რამდენიმე წლის შემდეგ, რაც რკინიგზა გაიყანეს, სადგურის გარშემო სახლები ააშენეს და მაღე კომერციულ ცენტრად იქცა. გურჯაანიდან თბილისისაკენ როცა მიღიხართ ისეთი აღმართია, რომ საჭირო იყო ორი ორთქლმავალი: ერთი წინ და ერთი უკან.

**1920** წლის აგვისტოში გურჯაანის სადგური მორთული იყო ჟავილებით და ჟურნის ჩერებით, თეთრი და შავი ჟურნით, და დროშებით სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაციის საპატიოცემლოდ, რომელიც მოპატიუებული იყო ჩვენი სოციალისტების მიერ. დელეგაციაში იჭვნენ ფრანგი, ინგლისელი, ბელგიელი, გერმანელი, პოლონელი და სხვა სოციალისტები. ერთმა მათგანმა ილაპარაკა ფრანგულად. სადგურში ბევრი ხალხი იყო, რომელმაც ტაშითა და გაშათი უპასუხა. მერე ერთმა ორატორმა ქართულად ილაპარაკა. ხალხმა ისიც დიდი ტაშითა და ვაშათი დააჯილდოვა. მატარებელი წავიდა თელავისაკენ. ჩვენმა სოციალისტებმა დელეგაციას აჩვენეს მშვენიერი საქართველო.

### სათავაზაზნაურო გიმნაზია

**1920** წლის მაისის უკანასკნელ რიცხვებში, მალე სწავლა თავდებოდა, ისტორიის მასწავლებელმა გვითხრა: სასიამოვნო



ამბავი უნდა გითხრათ, პირველი სექტემბრიდან თბილისი კუნძული ექნებათ. ყველამ ტაში დავუკარით და ვართ მივაძახეთ, მაგრამ, როცა ერთმა მოწაფემ შეეკითხა: ბატონო მასწავლებელო, სად იქნება უნივერსიტეტი?“ და მასწავლებელმა: „აი, ამ შენობაში, ჯერჯერობით არ ვიცით ჩვენ სად ვიქნებით“-ო, ყველას გული დაგვწყდა, დაგვენანა გიმნაზია, რომელშიც ამდენი ხანი გავატარეთ. ამ ვიმნაზიას უწოდებდენ სათავადადაზნაუროს, თუმცა აქ ყველა წოდების ბავშვები სწავლობდენ. აქ ყველაფერი ქართულ ენაზე ისწავლებოდა, უცხო ენები იყვნენ: ფრანგული, გერმანული და რუსული ენაც კი. თბილისის სხვა სკოლებში სწავლება სულ რუსულ ენაზე იყო. შენობა მშვენიერი სტილით არის აშენებული, ოთხ სართულიანი, დიდი კლასებით და მაღალი ფანჯრებით, დიდი და განიერი კარიფორმი მთელი შენობის სიგრძეზე, სადაც დასვენებების დროს გამოვდიოდით, მუხის ფიცრის „პარკეტით“, რომელიც მუდამ თაფლის სანთლით პრიალებდა. ვიმნაზიას ჰქონდა ერთი დიდი და ერთი პატარა ვიმნასტრიკის ზალები. ვიმნასტრიკის მასწავლებელი გიორგი სიმონოვიჩი, რომლის გვარი აღარ მახსოვს, ჩამომავლობით რუსი იყო, მაგრამ მას რუსული არაფერი ჰქონდა, ქართველი პატრიოტი იყო.

შენობას ჰქონდა დიდი ეზო. მარცხენა მხარეს დიდი მინდორი, რომელიც მდინარე ვერემდე (ვერერეჩა) მიღიოდა. წინ გზა იყო ამაღლებული და გადიოდა მეორე მხარეს ისე, რომ ეტლს შეეძლო დიდ კარებამდის მისულიყო და გასულიყო მეორე მხარეს. დიდი კარების პირდაპირ იყო განიერი მარმარილოს კიბე, ორივე მხარეს მოაჯირით, რომელიც ჩადიოდა დაბლა გზამდის.

მესამე გაკვეთილის შემდეგ გვქონდა დიდი დასვენება **15** წუთით. როცა კარგი ამინდი იყო კარში გამოვდიოდით. მიუვარდა დავმჯდარიყვა მარმარილოს მოაჯირზე და უჭრებდი მოწაფეებს. სწორედ ასე ვიჯეჭი ამჯერადაც. მშვენიერი დღე იყო, ვაიქრობდი: ველარ ენახავ ამდენ გოგოებს ერთად, ერთი ერთმანეთზე ლამაზები რომ იყვნენ და კოხტები. იყვნენ შავთმიანები და თაფლისფერთმიანები. მე უკვე რომანებს ვკითხულობდი და ქალის სილამაზეს კარგად ვაფასებდი, თუმცა ამ კიდევ **15** წლის ვიწვი. ამ დროს იყვნენ ექიმ გომართ-

ლის ქალიშვილები ერთიმეორებზე ლამაზები, მათი ძმენისა და ქალისა ამხანაგი იყო.

მე შევნიშნე ერთი გოგონა, მაღალი ტანის, მშვენიერი თაფლისფერი თმებით. თვალებით ვჰქამდი. არ ვიცი ვინ იყო ან რა ერქვა. როცა კარგი ამინდები იყო, მისი მშვენიერების ცქერით ვტკბებოდი. მყავდა ერთი მეზობელი გოგონა. დილით ხშირად გიმნაზიაში ერთად მივდიოდით. ერთმანეთს ვათხოვებდით წიგნებს და მერე ამ წიგნზე ვლაპარაკობდით. **14** წლის იყო, ელისო ერქვა. ერთხელ, როცა მას შევხვდი დიდ დასვენებაზე, ვკითხე: ელისო, ვინ არის ის გოგონა თაფლის თმებით? — „ჩემი კლასის ამხანაგია. ალბათ შენ მოგწონს,“ მითხრა. „ძალიან“-მეთქი. მას ჰქვია მარიამ შენგელია, მითხრა ელისომ. ამის შემდეგ მასთან მარიამზე არაფერი მითქვამს. ჩევენში სიმღერა იყო: „გაუსვი და გამოუსვი როგორც ჭიანურია, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურია“ და ეს იყო ჩემი ლოზუნგიც. ელისო ლამაზი გოგონა იყო: მაღალი, შავი რემანი, შავი თმით და ძალიან ეშხიანი. მას მე უურებდი როგორც დას.

ხვალ მივდივარ გურჯაანში, სწავლა დამთავრდა. კიბეზე ჩამოვედი, ეზოში ელისოს შევხვდი. — ელისო, ხვალ მივდივარ გურჯაანში, მინდა გამოგემშვილობო. — მეც მივდივარ გორშიო. — მშვიდობით ელისო-მეთქი. შევატკე, რომ ცრემლები მოადგა თვალებში. ხელი გამიშვა, უცებ ლოჭაზე მაკოცა და გაიქცა. დიდხანს დავრჩი გაკვირვებული.

სოფელში მაღე დავივიწყ ჩემი თაფლისფერთმიანი და სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი შავთმიან ელისოზე. როცა აგვისტოში თბილისში დავბრუნდი ელისოს სახლის ფანჯრები დახურული იყნენ. მეორე დღეს მეზობელს ვკითხე, რომელმაც მიპასუხა: „უგვე ერთი თვეა, რაც აქიდან გადასახლდენ, თბილისში ცხოვრობენ, არ ვიცი სადაო.“ ელისოს ვეღარ შევხვდი, რამაც ძალიან დამაღონა. ერთი თვის შემდეგ ჩევნც გადავ-სახლდით ნახალოვკაში.

ერთ დღეს ერთ რომანს ვკითხულობდი, რომელიც ადრე ელისოს ვათხოვე, ერთ ადგილას წავიკითხე: ქალს უფარდა ვაუ. ქალი ძალიან ახალგაზრდა იყო, ვაუ მას უურებდა როგორც მეგობარს, მას სხვა ქალი უფარდა. ერთ საღამოს გამომშვიდობებისას ქალმა უეცრად იკოცა ვაუს და გაიქცა ტირილით.

თვალშინ წარმომიდგა ელისო და მაშინ მიგხვდი, რომელიც  
ვიჟარდი ელისოს და მას ეგონა, რომ მე მიყვარდნა მის მუხაზ  
სის თაფლისფერთმიანი ამხანაგი.

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში )

### მიხეილ თარაშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ე რ თ ა დ ქ ა რ თ ვ ე ლ ნ თ

(სიტყვა წარმოთემული დამოუკიდებლობის 68 წლის-  
თავზე პარიზში, 31 მაისს )

დღევანდელ დღეს ჩვენ ვიგონებთ იმ დიად მოვლენას, რომე-  
ლსაც ადგილი ჰქონდა ამ 68 წლის წინად ჩვენს პატარა საქ-  
რისტიან საქართველოში და, რომელმაც სამუდამოდ, ნეტარე-  
ბითა და წარმტაცი სიყვარულით დაისადგურა, ვით საოცნებო  
საუნჯე ცელა ქართველის გულში.

თუ კი აქ, თავისუფალ სამყაროში ჩვენ ახდილად აღვნიშნა-  
ვთ ამ საზეიმო დღეს, იქ ტჟეობაში მყაფი ქართველი ერი  
ფარულად იგონებს იმ სანუკვარ დაუგიშტარ დღეს, რომლის  
სახელია 26 მაისი.

დიახ, 117 წლის რუსეთის უღელქვეშ მუთმა განაწამებმა  
ქართველმა ერმა 26 მაისს დაანგრია მეფის რუსეთის მიერ  
აგებული საპყრობილე, გაპ ფანტა მონობა და ამოვლიჯა ჩვენი  
ბედკრული სამშობლო ძალით ჩაწნულ-ჩაქსოვილ რუსეთის გაუ-  
ვალ იმპერიის სხეულიდან.

აღსდგა საქართველო ერთი, მთლიანი და გაერთიანებული,  
რომლის მსგავსი აღარავის უხილავს დიდი თამარ მეფის შე-  
მდეგ. და, აი ეს განთავისუფლება, ჩვენი ქვექის დამოუკიდე-  
ბლობის კვლავ აღდგენა, მთელი ერის სახელით მსოფლიოს ამ-  
ცნო პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ შემდეგი სიტყვებით:  
„ამიერიდან საქართველო თავისუფალი, სუვერენული სახელმწი-  
ფოა, რომელიც მმართველობის ფორმად ირჩევს დემოკრატიულ  
რესპუბლიკას.“

ქართველი ხალხი დიდი გატაცებით, სიყვარულითა და ენერ-  
გით შეუდგა მის ახლადშობილ სახელმწიფოს აღმშენებლობას  
და აჩვენა მისი საოცარი ერთგულება დედულ-მამულის.

თუ მეფის რუსეთმა გატეხა სიტყვა მოცემული, არც უაბრაზონთ  
რუსეთმა დაგვინდო: ისიც მოვიდა ძალით, ხიშტით, შუბაზათუ-  
რად და თავს გადაგვახია, მის მიერ ცოტა ხნის წინ ხელმო-  
წერილი ცნობისა, მეგობრობისა და ხელშეუხებლობის ხელშეკ-  
რულობა, მოგვტაცა თავისუფლება, გაგვიუქმა სუვერენული სა-  
ხელმწიფო და ჩვენს განაწარმებ ერს მორჩილების შძიმე ხუნ-  
დები დადგა... მაგრამ 26 მაისის ეშხით მოხიბლული და გატა-  
ცებული ქართველი მამულიშვილები მტერმა ვერ დაიმონა და  
წინააღმდეგობაზე ხელი ვერ ააღებინა, არამედ უფრო მძლავ-  
რად შეაკავშირა ქართველობა ერთიმეორესთან, უფრო მეტად  
და ცხოვლად გაგვიმტკიცა ერთმანეთს შორის ნათესაობა და  
სიჭარული დაღვრილი სისხლით და გაგვიასკეცა ლტოლვა და  
იმედი თავისუფალი სამშობლოს აღდგენისა.

გასაჭირში ჩამდგარი ქართველი ერი გაერთიანდა ზოგელგვარ  
პარტიულ იდეოლოგიის გარეშე და პატრიოტ მებრძოლთა მთე-  
ლი ენერგია, ძალა და ლონე დაუპირდაპირა საოკუპაციო ხე-  
ლისუფლებას.

სხვა ფრონტი, სხვა ბანაკი დღეს ნამდვილი ქართველისათ-  
ვის არ არსებობს და აქეთკენ მოგვიწოდებს ჩვენც, თავისუ-  
ფალ ქვეწებში მყაფ ქართველობას, ჩვენი ტანჯული სამშობ-  
ლო. თუ ჩვენ გვსურს ვიყოთ ღირსეულნი შვილნი ჩვენი სამშო-  
ბლოსი, ჩვენ ამ დიად დღეს უნდა მივცეთ ფიცი, ფიცი გაუ-  
ტეხელი ერთობისა, რათა ვედგეთ ურუკ ჯებირად 26 მაისის  
დიად იდეებს, საჭართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფ-  
ლების აღდგენას, რომლის სამსხვერპლოზე თავი დადგეს ათა-  
სობით საუკეთესო ქართლისიანებმა.

მაშ, დიდება და გამარჯვება ჩვენს მხნე ერს, დიდება 26  
მაისს, რომელიც, ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ კიდევ უფ-  
რო მძლავრად გამობრწყნდება „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ“  
ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაც ლურჯ ცისკიდურზე, მისი  
თეთრი გიორგითა და სამფეროვანი ღროშით.

თამაზ ნასყდაშვილი, თავმჯდომარე  
საფრანგეთში ლტოლვილ ქართველთა სათვისტომოსი.



გუნდი „მერანი“ : (მარცხნიდან მარჯვნივ) ქქ. თინა კერძე-ლიძისა, ლია ვოდე-გოგიტიძე, დარეჯან ზურაბიშვილისა, ბბ. ოთარ პატარიძე, ოთარ ზურაბიშვილი, მერაბ ოდიშელიძე, კონსტანტინე კინსკი-შილაზავარი. ამ სურათზე არ ჩანს გუნდის წევრი ბ. მიხეილ ვოდე-გოგიტიძე.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### საზეიმო საღამო

წელს 26 მაისობის დღესასწაულობა გაიმართა შაბათს 31 მაისს, საფრნგეთის აერო-კლუბში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დასწრება ნამდვილად არ იყო ისე მრავალრიცხოვანი, როგორც ეს ამ დღეს შეეფერებოდა. ისინი, ვინც მობრძანება კეთილინებეს, იმათვანაც უმრავლესობა მობრძანდენ ძლიერ დაგვიანებით. ქართველების ეს ნაკლი საარაკოა, მაგრამ აქ მან საარაკოზე-საარაკო სახე მიიღო ისე, რომ თავმჯდომარე იძულებული იყო ზეიმი ორი საათის დაგვიანებით დაეწყო. ამრიგად, უმიზეზოდ დასჯილნი აღმოჩნდენ ჩვენი საპატიო სტუმრები, რომლებიც, მოსაწვევი ბარათების მიხედვით, ზუსტად რვა საათზე მობრძანდენ.

ემიგრაციამ დიდალი წევრი დაჰკარგა, ბევრი ლრმად მოხუცია, რომელთა მოყვანა-წაფვანაზე არავინ თავს არ იწუხებს,

ჯანღონით საესენი კი, შაბათ-კვირაობით პარიზში მოდის მუსიკის და ხელობრივი რესურსების მიერ მისამართი და ქართველი რაღა ქართველი იქნება, თუ ის კეთილცხოვრებაში სხვას ჩამორჩა?

ასეთ პირობებში ინერციით და ძველი გატკეპნილი გზით სიარული აღარ შეიძლება, დაუშვებელიცაა. ჩევნოვის უდავოა:

**26** მაისობის ყაველწლიური ზეიმი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მისი ორგანიზაცია უნდა შეიცვალოს ისე, რომ ახალგაზრდობა მოვიზიდოთ, რაც შეიძლება მეტი. ერთი სიტყვით, ამ ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს მოგვარება უნდა. პირველ რიგში ეს ეხება გამგეობას, მაგრამ ამაზე ზრუნვა ევალებათ პარტიულ თუ სხვა საზოგადოებრივ დაჯგუფებებს და თვით თითოეულ ჩვენთავანს. სწორედ ამ მიზნით ვსვამთ ასე ჯიშურად ამ საკითხს.

ზეიმს დაესწრო მნიშვნელოვანი დელეგაცია ჩვენს ბედს მყოფ ხალხთა ემიგრაციების წარმომადგენლებისა: ქალ, მინექლენი, ესტრენეთი, ბ. ვარდაი, უნგრეთი, ბ. დომოტორ დე ზზოემედეტერ, უნგრეთი, ბ. მალინევიჩი, უკრაინა, ბ. ამზაი, ავლანეთი, ბ. კორნე, რუმინეთი, ბბ. მოზოვესკი და დებრიენსკი, პოლონეთი ბბ. ტერ სარქისიანი, სერჟ აფანასიანი, და-ძმა ულუბეგიანი, სომხეთი.

საღამო გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარე ბატონ თამაზ ნასყდაშვილმა. იმპროვიზებულმა გუნდმა საკმაოდ კარგად შეასრულა საქართველოსა და საფრანგეთის ეროვნული ჰიმნები, რის შემდეგაც კრებას ჯერ ქართულად და მერე ფრანგულად სიტყვით მიმართა ბ. თ. ნასყდაშვილმა, რომლის ქართული ტაქსტი ზემოდ ქვეჭდება. თავმჯდომარის შემდეგ კრებას მხურვალედ მიესალმენ სტუმრებიდან: ბბ. მოზავესკი, დემბიენსკი და ისტორიკოსი სერჟ აფანასიანი.

პოლიტიკური ნაწილის შემდეგ მხატვრულ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ „მერანის“ ჯგუფი, რომელზედაც აქვთ ცოტა განსაკუთრებით შევჩერდები. დამსწრე ახალგაზრდობამ პროგრამის შემდეგ მშვენიერი დრო გაატარა, ბევრი იმღერეს, იცეკვეს, გვიან გათენებამდე.

„მერანი“

ოცდაექვს მაისობას ვუკავშირებთ და გვინდა პატივი მივაგოთ

ჩვენი ეგრეთ წოლებული „მერანი“-ს ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ჯგუფს, ბ. ოთარ პატარიძის ლოტბარიზმით, რომლის წევრებიც ზემოდ უკვე ჩვენთველილი გეგმაზან სურათთან დაკავშირებით. მერანის ჯგუფი რომ არ არსებობდეს, ალბათ მც უკანასკნელ წლებში ჩვენი ოცდაექვსი მაისობები სრულიად მხატვრული ნაწილის გარეშე დაგვრჩებოდენ. რამდენად ჩვენ ვიცით, მერანის გუნდი ჩვენი სათვისტომოს გარედაც, ფრანგებისათვის წარმოადგენს ხოლმე, რა თქმა უნდა, უსასაყიდლოდ, არა მოგების მიზნით, არამედ ქართული კულტურის გასაცნობად და სარგებლობს მოწონებით.

ვიცნობთ და ვიცით, რომ ამ ახალგაზრდების უმრავლესობა ოჯახის მქონე და სამსახურით ძლიერ დატვირთული არიან, ქართული საქმის სიყვარულის გამო ისინი მაინც შოულობენ თავისუფალ ღრის, რომ მას შესწირონ. ამ ჩვენ საფუძვლიან მოწონებასთან ერთად, მათ მოვუწოდებთ, რომ სათავეში ჩაუდგენ პარიზში ჩვენი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსწავლელ სკოლის თუ წრის დაარსებას, რომელიც ასე მწვავედ აკლია ჩვენ სათვისტომოს.

აქვე გვინდა განსაკუთრებით ვახსენოთ ქალბატონ თინა კერესელიძის ღვაწლი. ეს ახალგაზრდა მანდილოსანი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ახლო მეგობარ თუ ნათესავ ქართველების სულ ნორჩ ბავშვებს ასწავლის წარმატებით ქართულ ღვემისებს, სიმღერებს და ცეკვებს და ჭაველ წელიწადს წმინდა ნინობის ღღესასწაულებზე ქართულ კოსტუმებში გამოწყობილი გამოჰყავს ჩვენს წინაშე, რაც საერთო სიხარულსა და აღფრთვოვანებას იმსახურებს. ჩვენი სიამოვნების გარდა, ადგილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ, ლამაზ და წარუშლელ კვალს დასტოვებს ჟელაფერი ეს თვით ამ უცხო გარემოში აღზრდილ პატარებზე, როგორებიც არიან: სოფიო პატარიძე, გაიანე კედია, ნესტან კერესელიძე, მარიონ კედია, ნიკო პატარიძე, მერი ზურაბიშვილი და სხვები.

შეიძლება ქალ. თინას სხვებიც ეხმარებოდენ, მაშინ: ვაშა ჟელა მათ და ჩვენი თხოვნა იქნებოდა, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს ეს იშვიათი კერძო თაოსნობა, მთელი სათვისტომოს მასტრაბით და, რასაკვირველია, სათანადო დახმარება აღმოუჩინოს გამგეობამ.

† გიორგი ყიფიანი

„ავსა და კარგსა კაცისას ,  
„როდი ივიწყბს სოფელი.“

ჩვენი ემიგრაციის უანგარო მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის გიორგი ყაფიანსაც, რომელმაც ახლახან დაგვტოვა და ნეშთი მისი განისვენებს ჩვენს ლევილის სასაფლაოზე.

გიორგი (ტუხია) დაიბადა ქუთაისში 1910 წელს ვაჭრის ოჯახში, ჰყავდა ორი უფროსი და და ერთი უმცროსი ძმა, რომლის სიკვდილის გაგებამაც ამ ათიოდე წლის წინად გიორგი ღრმად დაამწუხრა. უფროსი და თამარი გათხოვილი იყო მარგველაშვილზე, რომელზე-დაც გიორგი ჩვენთან ხშირად ლაპარაკობდა და თვლიდა კარგ პატ-რიოტად. გიორგი სულ ახალგაზრდა ჩაება სოციალისტ ახალგაზრდობის რიგებში და მიიღო მონაშილეობა აგვისტოს ეროვნულ აჯანყებაში, რის შემდეგაც ჩეკა მას მოსვენებას არ აძლევდა და 18-19 წლის შიაწვილი იძულებული გახდა სამშობლოდან გადმოხვეწილიყო.

გიორგიმ თავიდანვე პარიზს მოაშურა და აქ ის ჩვენთან ერთად აქტიურად ჩაება პოლიტიკურ კულტურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკურად გ. ყაფიანი თავიდან დაუკავშირდა ე.წ. „მონატის“ ჯგუფს, რომელს მეთაურობდენ აწ განსვენებული ვიქტორ ნოზაძე და ისიდორე მანქავავი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის აქტიური წევრი გახდა აწ განსვენებულ ლევან ზურაბიშვილის მიერ დაარსებულ „თავი-





ვიქტორ ნოზაძე და გიორგი ყაფიანი 70-ანი წლების დასაწყისში

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

სუფალ ქართველთა კავშირი"-სა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გ. ყაფიანი დიაკონის მოვალეობასაც ასრულებდა ერთ ხანს, იყო აქტიური წევრი „ქართველ მწერალთა და უურნალისტთა“ საზოგადოების და სამოციანი წლებიდან სიკედილამდე მისი თავმჯდომარე. მაგრამ გიორგი ყაფიანის მთავარი დამახასიათებელი იყო მაინც პოეზია-ლექსების წერა. ის იყო ბუნებით დაჯილდოებული პოეტი და ამავე დროს მშრომელი, ენერგიული, უხვი შემოქმედი. გიორგი ყაფიანის ლექსები იბეჭდებოდნენ თითქმის ყველა ჩვენ ენიგრანტულ პერიოდულ პრესაში, აგერ ექვსი ათეული წლების განმავლობაში. ამის გარდა გიორგი ყაფიანს თავი მოჰქონდა, რომ ის იყო ექვსი ლექსთა წიგნის ავტორი და ეს სრულ სიმართლეს შეესაბამებოდა, რაღაც გამოსცა: ჯერ კიდევ 1935 წელს 80 გვერდიანი წიგნაკი: „ლექსები.“, 1951 წელს - 160 გვერდიანი „რჩეული შრების კრებული“, 1965-ში - 270 გვერდიანი „გიორგი ყაფიანი 30-65“, 1973-ში - 140 გვერდიანი „პოეზიის და სიცოცხლის ვაზი. პირველი და მეორე დავით ხელაძის გამოცემებია, მეორე და მეოთხე კი ვიქტორ ნოზაძის. ამის შემდეგ, გიორგი ყაფიანის რჩეულ ლექსთა 97 გვერდიანი წიგნაკი ფრანგულ ენაზე გამოსცა 1975 წელში ლა პანსე უნივერსელ -მა სათაუ-

შუაში პოეტი გიორგი ქაციანი, მის მარცხნივ, მისი მეუღლე ირინე დათავაშვილის ასული, გიორგის მარჯვნივ, მისი სილერი შუგანა და ირაშვილისა, სურათი გალ. 1970-ანი წლ. ბოლს ლევოლის ქ. გამულური



გამული  
გიორგის და  
ირაშვილის  
სურათი

რით: *Un Poete georgien à Paris* (ქართველი პოეტი პარიზში),  
რომლის თარგმანებიც შესრულებულია ირინე ქაფიანის, ასმათ  
ფადავის და ლევან ზურაბიშვილის მიერ. უკანასკნელად კი  
დღის სინათლეზე გამოვიდა ირინე და გიორგი ქაფიანის „სა-  
ზიარო პოეზია“, რომლის გმირულებული, რედაქტორი და ასოთ-  
ამწყბები თვით ავტორი გიორგი ქაფიანი იყო. ამ წიგნში 140  
გვერდი ლექსებს აქვს დათმობილი, აქედან 29 გვ. უკავია  
ირინეს ფრჩგულ პოემებს, და 6 გიორგის ფრანგულ ლექსეს,



რომლებიც თარგმნილი უნდა იქნენ ქალბატონ ირინესი დანარ რჩენი გვერდები წიგნში კი უკავიათ გამოძახილებს მისი მისახურის ანის მერ გამოცემულ ლექსთა წიგნებზე და ასევე მისი შემოქმედების შესახებ დაწერილ წერილებს ქართველი ავტორებისას.

გიორგი ყფიანი ადრე დაოჯახდა, მან პირველ ცოლად შეირთო ლამაზი (კორსიკის სილამაზის დედოფალი) ფრანგის ქალი, რომელმაც მას შესძინა ვაჟიშვილი გივი. ცოლქმარი მალე გაიყრა, მაგრამ შვილი მამამ აღზარდა. გივიმ ცოლად შეირთო ელისე პატარიძის ასული თინა, რომლებმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი სამჯერ ბაბუად გახადეს: ნათელა, თამაზი და გიორგის სახით.

მეორედ გიორგი ყფიანმა ცოლად შეირთო მასზე გაცილებით ახალგაზრდა ირინე დიმიტრი დათიაშვილის ასული, რომელთანაც მას, სხვათა შორის, პოეზიის სიყვარულიც აკავშირებდა.

გიორგი ყფიანი იყო მაღალი, წარმოსადეგი ლამაზი ვაჟკაცი, რაჭა-იმერეთის ტიპიური წარმომადგენელი. უკანასკნელ წლებში ის ნელ-ნელა დასნეულდა ფიზიკურად და მორალურადაც. ვიქტორ ნოზაძის გამდაცვალების შემდეგ ის კოლეგიალურ რედაქტორობას ეწეოდა კრებულ „კავკასიონი“-სას, რომლის სამი ნომერიც მან გამოსცა, მაგრამ მეოთხის დამთავრება, მიუხედავად დიდი მონდომებისა, გაუჭირდა და მხოლოდ მისი დასაფლავების დროს გამოვიდა სტამბილან.

გიორგი ყფიანმა საფლავის ქვაც თვითვე დაიდგა. ლევილის სასაფლაზე მის საფლავს ამშვენებს მარმარილოს ძეგლი, ამოტვიფრული ეტრატის გრავილი ბატის ფრთის კალმით და ფრანგული წარწერით: *Le Poete.*

საუკუნო ხსენება პოეტ გიორგი ყფიანს.

შოთა ბერეჟიანი

\*\*\*

გიორგი ყფიანის პოეზია

(ჩვენი გაგებით, გ. ყფიანის პოეტური შემოქმედების შესახებ ყელაზე მართებული და სხარტი აზრი ბატონმა მ. ქ - ძემ გამოთქვა „ივერია“-ს ფურცლებზე „საზიარო პოეზიის“ გამოსვლასთან დაკავშირებით. მოგვჟავს აქ მისი უმთავრესი ნა-

წილი. გუშაგი. )

იმპრეზული  
სიგულიტონისა

„პოეტი ყფიანი უეცარი აფეთქება არ ყოფილა. ობლის კვერი გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო. პირველი ნაბიჯი „ქუთაისელმა ბიჭმა“ გადადგა და ამ ბიჭის ნამდვილ ხელოვნად ქცევა მკითხველმა ძნელად შეატყო. არცა სჯეროდათ! ახლა კი დროა... კაცმა ცხადი უნდა დაიჯეროს: ჩვენს წინაშე ძლიერი და ორიგინალური ხელოვანია. გიორგი ყფიანი მარტო ემიგრაციის პოეტი აღარ არის. მას ქართულ პოეზიაში თავისი ადგილი აქვს, და არა, როგორც რიგით საშუალო პოეტს, არამედ, როგორც განსაკუთრებულ „მოვლენას,“ იგი ისევე ორიგინალური და კენტია, როგორც (მკრეხელობას ნუ მიკიუინებთ, მხოლოდ განცალკევდა და კენტობა არის შედარებული.) ვაჟა ან გრიშაშვილი. ყფიანის „ვერგაგება“ ცხადია იმის ბრალია, რომ მას აკლდა და ახლაც აკლია „ხელოსნობა.“ ეს მას გ. რობაჭიძემ შენიშნა, მაგრამ მაშინ ყფიანის პოეზია ჯერ კიდევ ჯეჯილი იყო და არავის შეეძლო გამოეცნო, როგორი ყნა დამწიფდებოდა. ახლა კი, როდესაც მის შემოქმედებას საკმაო მანძილი აქვს გავლილი და მის ყნაში მოკული მეექენე წიგნი გამოიცა, გაცვირვებით უნდა დავინახოთ, რომ სწორედ ეს „ხელოსნის წევართის“ უქონლობა წარმოადგენს მისი პოეზიის თავისებურებას და ძალასაც. ამიტომ არის იგი განცალკევებული მოვლენა.

მაგრამ მხოლოდ ამ თვისებით შორს ვერ წავიდოდა. ყფიანი ძლიერი ნიჭის პატრონი შემოქმედიც არის, რთული, ღრმა განცდათა კაცია და იშვიათი თვალი აქვს მხატვრისა. რაც შეეხება ქართული სიტყვის „ნამდვილ გამართვას“ (რობაჭიძე), სწორედ არანამდვილად გამართულ სიტყვათა მეშვეობით ახერხებს იგი ულამაზეს მეტაფერების და სურათების მოცემას. ეს მხოლოდ მაღალ ხელოვანს ძალუძა: იბადება შედარება: კომპოზიტორთან, რომელი მელოდიაში მოულოდნელ დისონანს რთავს, ან მხატვართან, შეგნებულად რომ არღვევს პერსპექტივას, მაგრამ ეს ნებისმიერი მოქმედებებია. უფრო სწორია, მისი ნაწერი მოზაიკას შევადაროთ — ტეხილ ხაზებიან მოფარგვლას ფიგურებისა. მოზაიკის კენჭებით „სწორად ხატვა“ ხომ არ შეიძლება?

არის საერთო ყფიანსა და ფიროსმანს შორისაც. არც ფირო-



სმანს პქონია ხელოსნობა და „ნამდვილი გამართვაც“ უწოდებული და მან, მაგრამ მით რაც ებადა შექმნა შედევრების და უცალებით გვეიძლავს იგი ჩვენ. მაგრამ ორთა შორის სხვაობაც დიდია. ფიროსმანი, რაც არ უნდა ვთქვათ, პრიმიტივია. ამას ვერ ვიტყვით ყაფიანზე, — გაუმართავი სიტყვა და წვართის სიმცირე პრიმიტივობა არ არის. მარტო მისი შაირების თემათა სიჩოულე და იდეათა სიმწიფეც გამორიცხავს ამგვარ დახასიათებას. კიდევ მეტი, ფილოსოფიურ ხასიათის მისი შაირები, როგორც: პრეისტორია, ისტორია, კაცი და გონიერა, მიწის გული, დრო, ორი ხევული, ხის ჩივილი და ყავილების ბორბლები, რომლებშიც თემა სრულად დაძლეულია, პოეტის ახალ შესაძლებლობათა მაუწყებელია.

ყაფიანის მიერ ნაპოვნი „თქმანი“ ამოუწურავი საწყოა. თითქმის ჭაველი შაირი შეიცავს „ახალს“ და „მოულოდნელს“. მხოლოდ ორიოდე ნიმუშად: სიტყვა სულის კალამი; იკვებს გადაჩეხავს სიტყვა ოქროს წალდი; რამდენი წელი წაიკცევა დროთი ნაცემი; მცირედი მტვერი სულის წვაში გადარჩენილი; ნასეტყვარი სიტყვა მზეს უბრუნდება. ასეთი „თქმებით“ სავსეა წიგნი. თუ ვ. ნოზაძის ღვაწლი ემიგრაციის წვლილია ქართულ მეცნიერებაში, ყაფიანიც ჩვენი წვლილია ქართულ პოეზიაში.“

8. ქ - ძე

(გადმობეჭდილი: „ივერია“ № 22, 1979 წ. „ირინე და გიორგი ყაფიანი“: „საზიარო პოეზია“.)

\*\*\*

გიორგი ყაფიანი:

ე ა რ თ უ ლ ი ე ნ ა (შემოქლებით)

დიდება შენდა ქართველთა ენავ,  
წარმოშვებულო სიტყის გამჩენად,  
დედის ღიმილით მოსულხარ ქვეჭად,  
ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად.

ლეგნდად დაჰყვა ქვასა და ლითონს,  
ქართული მოდგმა, ქართული ენა—  
პირველი ხილვა, პირველი ცქერა,  
ჩვენი სიცოცხლის გული და სმენა.

დროს წინ მიუძღვის მამა-პაპები,  
ჩაუქრობელი ბრძოლის ლამპრებით;  
ჩიხალდანობდნენ ქართვლის ამბები  
ოც საუკუნის გადალანდებით.

ენა მოჭრილი — ენა ადგმული,  
ჩაუქოლავი სიტყა ქართული,  
ისე, ვით ხმალი ფარნაოზისა,  
საუკუნეზე გადამართული.

\*\*\*

## პ ი ე ტ ი ს      ს ი ტ ყ ვ ა

პოეზიაში მქონდეს გრძნობა გულზე მთავარი,  
სამფერ დროშაზე ბრწყნვალებდეს სახე თამარის,  
დავით ალმაშენს ვადიდებდე, სიტყით თამამი  
და თვით ილია დავითობდეს, გონით მთავარი.

ქართველ პოეტებს შეუმშვიდო სიტყა ალალი,  
მათი სიცოცხლე იყს ჩემი მთავარსარდალი;  
გულს მიბორგავდეს მათი ბედის უბედურება,  
წითელფერებით გადაბორკილ გზებზე სავალი.

საქმარისია, რომ ვიყავი კარდუს მგოსანი,  
მისი დიდებულ მომავალის შესამოსავი,  
მას მიუტანე სიტყა ჩემი მორცხვი მშვენებით,  
ერთი აგური განთიადის ალმაშენები.

პოეზიაში მქონდეს გრძნობა გულზე მაღალი,  
სამფერ დროშაზე ბრწყნვალებდეს სახე თამარის;  
თვით სიკვდილშიდაც არ დამრჩება სიტყა სადარდი  
მომავალს უთხრა: გამარჯვება, აშ და მარადის!

1976

\*\*\*

## ს ა მ შ ა ბ ლ თ ს

მხოლოდ შენა ხარ ამა ქვეჭის უპირველესი



და შენ წინაშე მეტანით ვლიან მღლოცველნი,  
შენზე დაწერა პოეზიამ პირველი ლექსი,  
მშვენების ხილვა, სათნოებით განაოცარი.



მძიმე გრძნობებით დასწეულდა, მოკვდა მგოსანი,  
გადარჩა მხოლოდ მშობლის შობა ულამაზესი.

არ იცი კვნესა, არც სიცილი, არც ცივი ცრემლი,  
არც უხეში ხარ, არც მოქნილი და ლმობიერი,  
დაბადებილან დასასრული შენ არ მოგელის,  
მონად აქციე თვით ეშმაკი, სულით ცბიერი.

ასე ჯელანი სიყვარულის სევდით ვხუცდებით,  
მხოლოდ შენა ხარ ერთადერთი მუდამ უცვლელი.

დილა ამოდის იისფერი, მზე ოქროს აფენს,  
ჰორიზონტებად ეშვებიან მწვანე მინდვრები,  
ხან ცა ღრუბლებში ემსგავსება გაშლილ ჟირაფებს,  
ათასი ფერი ცისარტყლად შემოიკრების.

მიღიან წლები, სიყვარულის ეშხის ფურცლები.  
მხოლოდ შენა ხარ ერთადერთი მუდამ უცვლელი.

შენვე წარმოშვი სატანჯველად სიცოცხლის სული  
და სიყვარულით მოევლინე, როგორც ზღვის ტალღა;  
სცემს დედამიწა ცეცხლის ძარღვით შემოგარსული  
და ჟუმბარები ეცემიან საწუთროს საზღვარს.

შენგან შობილნი შენთვის ვკვდებით გამოუცდელნი,  
მხოლოდ შენა ხარ ერთადერთი მუდამ უცვლელი.

საშიშ მშვიდობას, გარდაუვალს, სამარადისოს,  
გიმღერ და გეტრფი, ვით პოეტი შენი დიდების;  
თუ განთიადი შავგა ღამემ კიდევ მაღირსა,  
მოგიძღვნი გრძნობებს, აფერილი ლურჯი იებით.  
დასრულდა ნატვრა. ღროთა ბრუნვის წამი სწრაფია,



გახიზნულ წლებს წაეწერა ეპიტაფია:

ვიყვავ დევნილი, მქონდა ზრახვა ივერიელის,

მწამდა სამშობლო, ყველ ღმერთზე უფრო ძლიერი.

1942.

† გ ი ღ ი ც ი ა ნ ი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ს ა მ გ ლ თ ვ ი ა რ თ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

\*\*\*

წელს, 22 მაისს ქ. მონმორესში(საფრანგეთი), ვალ დ'უაზის დეპ.)  
88 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალბატონი ანასტასია პრიმაკო-  
ვა, დაბადებული მიქელაძე. დაიკრძალა აღგილობრი ვად.

\*\*\*

წელს, ივლისის პირველ რიცხვებში პარიზში გარდაიცვალა კა-  
რლ ჩევიძის ქალიშვილი გერონიმა გრასმანი. განსვენებული  
იყო 76 წლის. რვა ივლისს დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე,  
მეუღლის გვერდით.

\*\*\*

არგენტინიდან მიღებული ცნობების თანახმად, ქალბატონი ლი-  
და ნასყდაშვილისა გვატყაბინებს:

ერთი და ნახევარი წლის წინად ქ. ბუენოს აირესში გარდაი-  
ცვალა ომის ემიგრანტი არჩილ გოჩიაშვილი, რომელსაც დარჩა  
12 და 9 წლის ორი ვაჟი.

\*\*\*

გასული წლის აგვისტოში ბუენოს აირესში გარდაიცვალა მეო-  
რე მსოფლიო ომის ემიგრანტი ტარასი ჩანავა.

\*\*\*

და თხაგრძნობას ვუცხადებთ მათ ჭირისუფალთ.

\*\*\*\*\*

გ უ შ ა გ ი ს ფ ი ნ დ ი (ფრანგულ ფრანკებში)

ვარლამ ანთელავა	300	თათრახან ანთაძე	100
ნიკლა მამულაშვილი	500	გიორგი ტოვონიძე	100
მეგობარი	100	ნამო გოგუაძისა	100
მართა სტურუასი	50	მანია ყაველაშვილისა	200

შოთა ბერეჟიანი  
ირაკლი ოთხმეზური  
მიხეილ თარაშვილი

100 ნიკო ბეღელაძე  
154 თამარ მუსხელიშვილისა  
300



100

200

\*\*\*

\*\*\*

ჯ ა მ ი

2.304

\*\*\*

### ადამიანები და წიგნები

ამ სათაურქვეშ გვინდა ერთად ვახსენოთ ფრანგულენოვანი ცი-  
ვილიზაციის ორი გამოჩენილი თანამედროვე მეცნიერი და ავტ-  
ორი. პირველია ინდო-ევროპული ცივილიზაციის სახელგანთქმუ-  
ლი მქვლევარი მხცოვანი პროფესორი უორჲ დიუმეზილი, მეორე  
კი, ფრანგული ლიტერატურის შეცნიერებათა დოქტორი, პარი-  
ზის პოლიტიკური ეტიუდების ინსტიტუტის პროფესორი, სსრ  
კავშირზე მრავალი ფუნდამეტური შრომების ავტორი, ქალბატ-  
ონი ელენე კარჩერ დანკოსი. მთავარი, რაც ამ ორ სწავლულ-  
სა და ავტორს აერთებს, ეს გახლავთ ის, რომ:

პირველი დიდმნიშვნელოვანი ქართველოლოგია და წარმატებით  
შეთაურობს საშეცნიერო სკოლას, რომელიც ამტკიცებს ქართვე-  
ლი და ბასკი ხალხების ნათესაობას; მეორე კი, ქალბატონი  
ელენე სისხლით და ხორცით ქართველია, რადგანაც იგია ასუ-  
ლი გიორგი ზურაბიშვილის და, მაშასადამე, შვილიშვილი სა-  
ხელოვანი ივანე ზურაბიშვილისა და შვილიშვილიშვილი დიდი  
ნიკოლაძის.

1.

### უორჲ დიუმეზილი

პროფ. უ. დიუმეზილს 88 წელი შეუსრულდა, მაგრამ მთავარი  
ეს კი არ გახლავთ, ჩვენ რომ შასზე ვლაპარაკობთ, არამედ  
ის, რომ მისი პიროვნებით ამჟამად განსაკუთრებით არის და-  
დაინტერესებული საფრანგეთის მასიური ინფორმაციის საშუ-  
ალებები. პრესა, რადიო თუ ტელეწამუნარები აქვთ აქვთ ეს სტა-  
ტიებსა თუ ინტერვიუებს სახელგანთქმულ ინდო-ევროპულ ცივი-  
ლიზაციის მქვლევარსა და თეორეტიკოსზე და, როგორც უბა-  
ლესი „გვირგვინის კურთხევა“, 11 ივლისს მას მიეძღვნა,  
საფრანგეთის ტელევიზიის განთქმული რეპრიკა: „აპოსტროფი.“,  
რაც შეიძლება შეედაროს განთქმულ ნობელის პრემიის საზე-  
იმო გადაცემას. თუმცა აქ არავითარ საჩუქარს ადგილი არა  
აქვს, არამედ ფრანგულენოვან მსმენელებს, რიგით აღამიანებს

აცნობენ სახელოვან ავტორებსა და მათ ნაწარმოებს. წარმოებების.. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროში საფრანგეთში „ბაეშმაც კი აცის“ ვინაა პროფ. უ. ღიუმეზილი, მისი „ინდო-ევროპელ ხალხთა სამი ფუნქციის თეორია“ და იშვიათი მისი სამაგიდო სახელმძღვანელო „ლოკი“, რომელსაც საფრანგეთის აკადემიის წევრმა კლოდ ლევი-შტრაუსმა „დიუ-მეზილის მეთოდის გაკვეთილები“ უწოდა-პროფ. უ. ღიუმეზილის საფრანგეთის ინსტიტუტის წევრად მიღების საზემო სიტყვაში. „აპოსტროფის“ დროს მან ჩვენ სასიამოვნოდ გაგვაოცა ფიზიკური სიჭარმაგითა და დიდი ახალგაზრდული გონებამახვილობით.

ინდო-ევროპელთა ლეგენდების ძეგბამ ალბათ, დიდი ენათმეცნიერი კავკასიაშიც შიიყვანა და იქ ის საბედნიეროდ შეხვდა ქართულ ცივილიზაციას. პროფ. უ. ღიუმეზილი დიდი ხანია, რაც კრებულ „ბედი ქართლისაში“ თანამშრომლობს. გასულ წელს კი მან პროფ. გიორგი შარაშიძესთან ერთად ინება „ქართულ და კავკასიურ ეტიუდების“ კრებულის ხელმძღვანელობა, და, ამრიგად, იგი აგრძელებს ახალგაზრდული შემართებით მოღვაწეობას მისი მეცნიერული ინტერესების სრულ სარბიერზე. ჩვენ ისლა დაგვრჩენია ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ჯანმრთელობა.

### *Helene Carrere D'Encausse: „NI PAIX NI GUERRE“*

პროფ. ელენ კარრერ დანკოსმა წელს კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნით გაამდიდრა საფრანგეთის ისტორიულ მეცნიერებათა ბიბლიოთეკა. წიგნს ეწოდება, „არც ომი, არც ზავი“ და ქვესათაურია: „საბჭოთა ახალი იმპერია ან დეტანტის კარგი გამოყენება.“ იგი ეხება უკანასკნელი ოცი წლის საერთაშორისო პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებს და კერძოდ, თუ როგორ ლ. ბრეუნევის საბჭ. კავშირმა შეძლო, საყველთაოდ გამოცხადებულ მშვიდობიან თანაარსებობისა და დეტანტის ატმოსფეროში, გაეფართოებია მოსკოვის იმპერიის საზღვრები ვიეტნამის, კამბოჯის, ანგოლის, ეთიოპიის, ნიკარაგუას და ავღანეთის დაპყრობებით. როგორც მის სხვა ხაწერებში, ისე აქაც ქ. ელენეს აუარებელი ოფიციალური თუ არაოფიციალური ლიტერატურა აქვს გადამუშავებული ფრანგულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. წიგნი თავისუფალია პარტიზანულ მიკერძოებათაგან და იყითხება დიდი ინტერესით.

1986 წ ლ ი ს 10 ვ ი ს ი ს ი

შინაარსი



- .2 ძალის მშვიდობა  
 .3 ჩელენჯერის კატასტროფა  
 .13 ჩერნობილის კატასტროფა  
 .23 კომპაგნირი და ახალგაზრდობა  
 .26 პოეზიის განყოფილება:  
     ლოროლის სიტყვა პარიზს  
 .29 საფრანგეთს  
 .30 რუსთველი 800 წლის  
 .31 მარტოობა  
 .32 სამშობლო  
 .33 ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!  
 .35 რაც ჟველი ქართველმა უნდა  
     იცოდეს  
 .39 კათალიკოსი ამბროსი  
 .45 ბასკები  
 .56 მოგონებათა განყოფილება:  
     ერთი ბომბის ამბავი  
 .60 იასონ მღვდელი  
 .65 ბაგშვილისა და ყრმობის მოგონა  
 .72 ერთად ქართველნოჭისიტყა)  
 .77 გლოვის ფურცელი:  
     + გიორგი ყაფიანი  
 .80 გ. ყაფიანის პოეზია(„ივერია“-დან)  
 .82 გიორგი ყაფიანის სამი ლექსი  
 .85 სამგლოვიარო განცხადებები  
 .86 აღამიანები და წიგნები:

შორე დიუმეზილი 88 წლის თავზე  
 ელენ კარჩერ დანკოსი: არც ზავი, არც ომი

- მოწინავე  
 პაპუნა ლუბაშვილი  
 გულბათ გულბათიშვილი  
 გურამ გელოვანი  
  
 გიორგი ტოგონიძე  
 გიორგი ტოგონიძე  
 ირაკლი ოთხმეზური  
 გივი შაორელი  
 ვალოდია კვაჭანტირაძე  
 მინდია ლაშაური

დავით ვაშაძე  
 თედო რაჭველიშვილი  
     ი მ ე რ ი

- ირაკლი ოთხმეზური  
 მიხაკო საჩხერელი  
 მიხეილ თარაშვილი  
 თამაზ ნასყდაშვილი

შოთა ბერეჟიანი  
 მ. კ - ძე

გ უ შ ა გ ი



# GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

*Directeur : GEORGES TSERETELI*

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS  
75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE